

Publikationen

zur rechtlichen Zusammenarbeit

6/2024

შედარებითი სამართლის
ქართულ - გერმანული ჟურნალი

Deutsch-Georgische Zeitschrift
für Rechtsvergleichung



Gefördert durch:



Bundesministerium
der Justiz

aufgrund eines Beschlusses
des Deutschen Bundestages



6/2024

შვედარეზიტი სარეტილი

ქართული-გერმანული ჟურნალი

Deutsch-Georgische
ZEITSCHRIFT FÜR
RECHTSVERGLEICHUNG



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი

წინამდებარე პუბლიკაცია გამოიცემა გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდის (IRZ) ფინანსური მხარდაჭერით.

გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდი (IRZ) შეიქმნა 1992 წელს და ამ დროიდან გერმანიის იუსტიციის ფედერალური სამინისტროს დაკვეთით დახმარებას უწევს პარტნიორ სახელმწიფოებს სამართლებრივი რეფორმების გატარებაში. ასეთი პროცესების მხარდაჭერა წარმოადგენს IRZ-ის ამოცანას, რომლის ფარგლებშიც ცენტრალური მნიშვნელობა ენიჭება პარტნიორი სახელმწიფოს ინტერესებს.

საქართველოსთან IRZ-ის თანამშრომლობა ეფუძნება საქართველოს და გერმანიის იუსტიციის სამინისტროთა 2005 წლის შეთანხმებას, რომლის განხორციელებაც 2006 წლიდან მიმდინარეობს. თანამშრომლობის მთავარი სფეროებია: საერთაშორისო შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების იმპლემენტაცია ქართულ კანონმდებლობასა და სამართალში, საკონსულტაციო საქმიანობა სისხლის სამართალში და სასჯელაღსრულების სფეროში და პრაქტიკოსი იურისტების განვითარებით იურიდიული განათლება.

Die vorliegende Publikation wird durch finanzielle Unterstützung der Deutschen Stiftung für internationale rechtliche Zusammenarbeit e.V (IRZ) herausgegeben.

Seit ihrer Gründung im Jahr 1992 berät die Deutsche Stiftung für internationale Rechtliche Zusammenarbeit e.V. (IRZ) ihre Partnerstaaten im Auftrag des Bundesministeriums der Justiz und für Verbraucherschutz bei der Reformierung ihrer Rechtssysteme und der Justizwesen. Rechtsstaatlichkeit und Demokratisierung sind Voraussetzung, um grundrechtliche Freiheiten zu wahren, stabile staatliche und gesellschaftliche Strukturen zu stärken sowie wirtschaftliches Wachstum anzuregen. Diesen Entwicklungsprozess zu unterstützen ist Aufgabe der IRZ, wobei die Bedürfnisse des jeweiligen Partnerstaats immer im Mittelpunkt stehen.

Die Zusammenarbeit mit Georgien basiert auf einer gemeinsamen Erklärung zwischen dem georgischen Justizministerium und dem Bundesministerium der Justiz von 2005 und wurde im Jahr 2006 aufgenommen. Die Schwerpunkte der Tätigkeit liegen in der Umsetzung internationaler Abkommen in georgisches Recht, in der Beratung im Straf- und Strafvollzugsrecht sowie der Aus- und Fortbildung von Rechtsanwenderinnen und Rechtsanwendern.

DEUTSCHE STIFTUNG FÜR
INTERNATIONALE RECHTLICHE
ZUSAMMENARBEIT E.V.




Gefördert durch:



Bundesministerium
der Justiz

aufgrund eines Beschlusses



ISSN 2587-5191 (ბეჭდვითი)

ISSN 2667-9817 (ელექტრონული)

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 2024

© საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდი (IRZ) 2024

© ავტორები, 2024

www.lawjournal.ge

მთავარი რედაქტორები

ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი
ასოც. პროფ. ლადო სირდაძე
პროფ. დოქ. ოლაფ მუთჰორსტი
ასოც. პროფ. დოქ. თამარ ზარანდია

გამომცემლები

პროფ. დოქ. საპატიო დოქ. ტიცინა ქიუზი	დავით მაისურაძე
პროფ. დოქ. ოლაფ მუთჰორსტი	ადვოკატი გიორგი ჟორჟოლიანი
ნოტარიუსი რინარდ ბოკი	ადვოკატი თემურ ბიგვავა
მოსამართლე ვოლფრამ ებერჰარდი	ადვოკატი ზვიად ბატიაშვილი
პროფ. დოქ. არკადიუმ ვუდარსკი	ხატია პაპიძე
მოსამართლე დოქ. ტიმო უტერმარკი	დოქ. არჩილ ჩოჩია
ადვოკატი დოქ. მაქს გუთბროდი	პროფ. დოქ. გიორგი სვანაძე
პროფ. ტანელ კერიკმაე	ადვოკატი გონა ოყრეშიძე
პროფ. დოქ. გიორგი ხუბუა	დემეტრე ეგნატაშვილი
პროფ. დოქ. ლაშა ბრეგვაძე	ადვოკატი ქეთევან ბუაძე
პროფ. დოქ. ირაკლი ბურდული	ადვოკატი ნიკოლოზ შეყილაძე
პროფ. დოქ. ნუნუ კვანტალიანი	თორნიკე დარჯანია
პროფ. დოქ. ზვიად გაბისონია	ასისტ. პროფ. დოქ. თემურ ცქიტიშვილი
ფრანკ ჰუპფელდი	რაჟდენ კუპრაშვილი
ხათუნა დიასამიძე	სულხან გველესიანი
ასოც. პროფ. დოქ. სულხან გამყრელიძე	ნატალი გოგიაშვილი
ასოც. პროფ. დოქ. თამარ ზარანდია	ჰატიმ ჰუსეინი
ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი	დანიელ ფოა
ასოც. პროფ. დოქ. შალვა პაპუაშვილი	დიმიტრიოს პაპადოპულოსი
ასოც. პროფ. ლადო სირდაძე	ოსკარ ფონ კოსელი
	რაფაელ კნეერი

ტექნიკური რედაქტორი

დავით მაისურაძე

სამუშაო ჯგუფი

სოფო ზარანდია
ნინო ქავშაია
თათია ჯორბენაძე
ანა ბაიაძე
ტილმან სუტორი

სარჩევი

სტატიები

- სასამართლო რეფორმის სტრატეგია საქართველოში:
მოსაზრებები პრეზიდენტის ქარტიის თაობაზე
ულრიხ ჰაგენლოხი 7
- მართლმსაჯულების ურთიერთობა საზოგადოებასთან: დიალოგი თუ
დაპირისპირება?
ლია შატბერაშვილი 22
- საქართველოში მიმდინარე დავის წარმოების შეჩერება უცხო ქვეყნის
არბიტრაჟის მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე
ნუნუ კვანტალიანი 40
- ბლოკჩინ ტექნოლოგიების გამოყენება და ხელოვნური ინტელექტის სისტემის
სამართლებრივი რეგულირება საგზაო გადაზიდვებში
გიორგი ელიაძე 47

უცხოური სასამართლო პრაქტიკა

- ნასყიდობის გაყვლეფის დარ გარიგებად დაკვალიფიცირების
წინაპირობები (რუსიაშვილი) 53

სასამართლო რეფორმის სტრატეგია საქართველოში*

- მოსაზრებები პრეზიდენტის ქარტიის თაობაზე -

ულრიხ ჰაგენლოხი

დრეზდენის უმაღლესი სამხარეო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე**

საქართველოს პრეზიდენტმა თავის ქარტიის¹ შეიმუშავა სასამართლო რეფორმის წინადადებები. ქვემოთ მოცემულია სასამართლო რეფორმის შესაძლო სტრატეგიები და პრეზიდენტის წინადადებები შეფასებულია ამ კრიტერიუმების საფუძველზე. ამის შემდეგ კი წარმოდგენილია დამატებითი შემოთავაზებები.

I. ზოგადი სტრატეგია

როგორც სხვაგან² უკვე აღინიშნა, ქართული მართლმსაჯულების მთავარი პრობლემები მდგომარეობს შემდეგში:

- წლების განმავლობაში არსებობდა

საქართველოს სასამართლო ხელისუფლების ძალაუფლების ცენტრის მხრიდან ამ ძალაუფლების მასობრივი გადამეტების არსებითი ნიშნები. კერძოდ, ეჭვები სხვადასხვა სახის ნეპოტიზმთან დაკავშირებით (ოჯახური კავშირები, „ერთგულების“ დაჯილდოება, „კლანური ეკონომიკა“), ასევე, ზოგიერთი გადაწყვეტილების გამოტანის სანაცვლოდ, ქონებრივი მდგომარეობის დაუსაბუთებელი და უეცარი გაუმჯობესება.³

- მოცემულ საკითხთან მჭიდრო კავშირშია ის პრობლემა, რომ ქართული სასამართლო სისტემის შიგნით, დროთა განმავლობაში

* გერმანულიდან თარგმნა დავით მაისურაძემ.

** 1993 წლის 1 იანვრიდან ავტორი ჩართული იყო საქსონიის თავისუფალი მხარის სასამართლო სისტემის განვითარებაში, როგორც დრეზდენის უმაღლესი სამხარეო სასამართლოს ვიცე-პრეზიდენტი. იქ მიღებული გამოცდილება გამოყენებულია ამ სტატიაში.

¹ https://president.ge/index.php?m=209&news_id=2211&lng=eng&fbclid=IwAR1kftHspRigtmNj9WseOV00CaN6d7YnXmfOkktzxbBG9MRVrsj_zXhOZU.

² ჰაგენლოხი, სასამართლო სისტემის რეფორმის განხორციელება - ანალიზი და ევროპული პერსპექტივა, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი,

11/2023, გვ. 1 და შემდგომი.; *Hagenloch, Umsetzung der Justizreform innerhalb der Gerichte - Analyse und europäische Perspektive*, DGZR 5 - 2023 (DE), Seite 1 ff.; ორივე შემთხვევაში: www.lawjournal.ge.

³ როდესაც ქვემოთ ვსაუბრობთ უფლებამოსილების გადამეტებასა და მოვალეობის დარღვევაზე, ყოველთვის ვგულისხმობთ კონკრეტული ფაქტებით გამყარებულ მინიშნებებს [ბრალდებებს]. დღემდე არ ჩატარებულა გამოძიება და, შესაბამისად, არც გადაწყვეტილებები არსებობს, რომლებშიც სამსახურებრივი უფლებამოსილების დარღვევა სამართლებრივად დადგინდა.

ბაში შეიქმნა ისეთი სამუშაო გარემო, რომელიც მოსამართლეთა დაშინებითა და გაურკვეველ მდგომარეობაში ჩაყენებით ხასიათდება.

- ის ფაქტი, რომ ქართული სასამართლო ხელისუფლების ძალაუფლების ცენტრი სათანადოდ არ ითხოვს მოსამართლეთა პროფესიულ კვალიფიკაციას, მზარდი და გადაუჭრელი პრობლემაა. გარდა ამისა, საკადრო გადაწყვეტილების მიღებისას ამ ცენტრის მიმართ „ერთგულება“, ხშირად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პროფესიული უნარები, კვალიფიკაცია (რაც მოსამართლის შინაგან დამოუკიდებლობას გააძლიერებდა) და მზადყოფნა არსებული პრობლემების კონსტრუქციული ძალისხმევით დაძლევისათვის.

სასამართლო რეფორმის სტრატეგია სწორედ ამ ამოსავალ ვითარებას უნდა ეფუძნებოდეს. პირველ ეტაპზე უნდა გატარდეს ის ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუშლის შემდგომში უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას და სასამართლოებში შექმნის დისკუსიისა და დებატების ღია კულტურას.

მოცემული მიზნის მიღწევის გზაზე გასათვალისწინებელია შემდეგი ზოგადი ნაწინამძღვრები:

II. მესამე ხელისუფლების თავისებურებები

ხელისუფლების სხვა შტოების ტრანსფორმაციის ნაცადი და აპრობირებული კონცეფციები მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება გამოდგეს ხელისუფლების მესამე შტოსათვის.

1. მოსამართლეთა ჩართვა და თანამონაწილეობა

პარლამენტმა უნდა შექმნას ნორმატიული ჩარჩო პირობები, რომლებიც აუცილებელია რეფორმის ნარმატებით განხორციელებისათვის. თუმცა, სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპიდან გამომდინარე, ხელისუფლების სხვა შტოებს სასამართლო სისტემაში რეფორმების განხორციელება მხოლოდ შეზღუდულად შეუძლიათ.⁴ მართალია, კანონმდებელს შეუძლია, გარკვეულწილად, ჩაერიოს არსებულ სტრუქტურებში და ხელი შეუწყოს ლუსტრაციას, მაგრამ მეტწილად მხოლოდ თავად მოსამართლეებს შეუძლიათ რაიმე ახლის შექმნა. ამიტომ, საკანონმდებლო ორგანოს უმშვენიერესი არქიტექტურაც კი ვერაფერს გახდება, თუ ის არღვევს სამშენებლო რეგლამენტს ან თუ არ გვაქვს სამშენებლო მასალები და არ გვყავს მშენებლები.

ამიტომაც, სასამართლო რეფორმის მთავარი საზრუნავი უნდა იყოს ის, რომ მოსამართლეთა უმრავლესობა მაინც გახდეს რეფორმის პროცესის მამოძრავებელი ძალა და მხარი დაუჭიროს კურსის შეცვლას. სხვაგვარად რომ ითქვას: კონტრპროდუქტიულია ისეთი კონცეფციების შემუშავება, რომლებსაც შეაფერხებს მოსამართლეთა პროტესტი და სამართლებრივი სახელმწიფოს იდეის მატარებელ მოსამართლეთა თუნდაც ნაწილის უარყოფითი დამოკიდებულება. თუ მოსამართლეები ვერ აღიქვამენ საკუთარ თავს რეფორმის მამოძრავებელ ძალად, ეს რეფორმა, ფაქტობრივად, არაფრის მომცემია. მით უმეტეს, უსარგებლოა ისეთი კონცეფციები, რომლებიც არსებულ უსამართლო

⁴ ამის თაობაზე დანვრისთვის: ჰაგენლოხი, სასამართლო სისტემის რეფორმის განხორციელება - ანალიზი და ევროპული პერსპექტივა, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 11/2023, გვ. 1 და შემდგომი, განსაკუთრებით თავი III. 3, ასევე V. და VI.;

Hagenloch, Umsetzung der Justizreform innerhalb der Gerichte - Analyse und europäische Perspektive, DGZR 5 - 2023 (DE), Seite 1 ff., insb. unter III. 3 sowie V. und VI.; ორივე შემთხვევაში: www.lawjournal.ge.

რთლობას ახალი უსამართლობის შემოღებით უპირისპირდებიან.

ეს ნიშნავს, რომ სასამართლო სისტემაში რეფორმები ერთ დამეში ვერ განხორციელდება. პირიქით, მოთმინება და, განსაკუთრებით პირველ ეტაპზე, მკაფიო პრიორიტეტების განსაზღვრაა საჭირო. გადამწყვეტია, რომ პირველ ეტაპზე შეიცვალოს სტრუქტურები და შეიზღუდოს მათი გავლენა, რომელთა დეკლარირებული ან შეცნობადი მიზანიც რეფორმის წარმატების ხელშეშლაა. ეს უნდა გაკეთდეს სწრაფად და ეფექტურად, რათა შევცვალოთ ტენდენცია. ყველაფერი დანარჩენი მოითხოვს მიზანდასახულობას, მაგრამ ასევე – დროსაც.

გერმანიაში ხანდახან ხატოვნად ამბობენ, რომ ხელისუფლების მესამე შტო ჰგავს უზარმაზარ ტვირთშიდ გემს ოკეანეში: რთულია მისი აჩქარება, გაჩერება და გეზის შეცვლა. ეს ინერცია დადებითი ფაქტორია, როდესაც რთულ პერიოდში საჭიროა სტაბილურობა, მაგრამ იგი ტრანსფორმაციის პროცესს ართულებს. მოცემულ კონტექსტში კი არსებითი ისაა, რომ ტვირთშიდი გემის კურსი, ძირითადად, მხოლოდ ბორტზე მყოფმა ეკიპაჟმა შეიძლება შეცვალოს.

თუმცა, ბორტზე საუკეთესო გუნდიც კი მეტწილად უძლურია, თუ დამტვირთავი ჯგუფი, ანუ კანონმდებელი, გემზე ძალიან ბევრ კონტეინერს დებს. გადატვირთული გემი შეიძლება მარტივად ჩაიძიროს, რადგან მას არ გააჩნია უსაფრთხოების რეზერვები და სისტემები, რათა გაუძლოს ქარიშხლებს ან „აჯანყებულთა“ თავდასხმებს ნებისმიერი სახის დაზიანების შემთხვევაში. ვისაც ზეამბიციურად ყველაფრის მიღწევა

სურს, ჩვეულებრივ, ცოტასაც კი ვერ აღწევს ხოლმე.

2. სხვა ზოგადი პირობები

სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპი და მისი დაცვის აუცილებლობა თავიდანვე მკაცრ საზღვრებს უდგენს ხელისუფლების სხვა შტოების მიერ წარმართულ სარეფორმო პროცესებს. სასამართლო რეფორმის განსახორციელებლად არ უნდა დაირღვეს კედელი, რომელიც აღმართულია სახელმწიფო ხელისუფლების შტოებს შორის, რათა დაცული იქნეს ხელისუფლების დანაწილების პრინციპი და სასამართლოების ინსტიტუციური დამოუკიდებლობა.⁵

თუმცა, არა მხოლოდ მესამე სახელმწიფო ხელისუფლების ინსტიტუციური დაცვა აუცილებელია, არამედ ასევე, უნდა გამოირიცხოს ყველა ღონისძიება, რომელიც არაპროპორციულად ან მართლსაწინააღმდეგოდ ერევა ცალკეული მოსამართლეების ინდივიდუალურ უფლებებში:

მოსამართლის პიროვნულობის ზოგადი უფლებები⁶ და მოსამართლის დამოუკიდებლობა მისი საქმიანობის შინაარსობრივ ნაწილში (რაც კონსტიტუციით არის დაცული) თავისთავად არ გამორიცხავს სასამართლოს ქმედებებზე დაკვირვებას (თუ არსებობს ამისათვის ობიექტური საფუძველი).⁷ თუმცა იგი, როგორც წესი, მიმართულია სასამართლო პროცესთან დაკავშირებული და (უფრო ვიწრო ფარგლებში) მოსამართლის ქცევის შესახებ ინფორმაციის მიღებისკენ. თუმცა, მოსამართლის პიროვნებასთან დახასიათთან დაკავშირებული ნიშნების მოკვლევა დაუშვებელია. აქედან გამომდინარე,

⁵ დანვრილებით: ჰაგენლოხი, სასამართლო სისტემის რეფორმის განხორციელება - ანალიზი და ევროპული პერსპექტივა, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 11/2023, გვ. 1 და შემდგომნი; www.lawjournal.ge, თავი III. 3. a).

⁶ იხ. ამ ტერმინის განმარტებასთან დაკავშირებით: ჰაგენლოხი, შედარებითი სამართლის ჟურნალი, 4/2023, 1-ლი და მომდევნო გვერდები.

⁷ დანვრილებით: ჰაგენლოხი, ვეტინგი და პროფესიული კვალიფიკაცია საქართველოს სასამართლო სისტემაში, <https://lawjournal.ge/wp-content/uploads/DGZR-4-2024.pdf>, გვ. 1 და შემდგომნი, თავი A. I.

განხილვის საგანი შეიძლება გახდეს მხოლოდ ის ფაქტი, დაარღვია თუ არა მოსამართლემ სამსახურებრივი ვალდებულებები (ამის თაობაზე ქვემოთ, IV. 1. a)). გამონაკლისის სახით, მოცემულ კონტექსტში (მაგრამ მხოლოდ ამ კონტექსტში), შეიძლება მართლზომიერი იყოს ინდივიდუალური, პიროვნული თვისებების შესახებ ცოდნის მოპოვება, მაგრამ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს თავისი არსით დაკავშირებულია მოსამართლის მხრიდან მოვალეობის დარღვევასთან.

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია შემდეგი ზოგადი ნაწინამძღვრები:

- ნებისმიერი სასამართლო რეფორმა საჭიროებს ადამიანურ რესურსებს, რომელთა ამ პროცესში ჩართვაც იწვევს სხვა ადგილას მათ ნაკლებობას, განსაკუთრებით, სამართალშემფარდებელ საქმიანობაში. გარდა ამისა, რეფორმის ტვირთი არ უნდა განაწილდეს ზედმეტად ბევრი ადამიანის მხრებზე, რადგან მოსამართლეთა დიდი ნაწილი ამ ტვირთს ვერ ზიდავს.

- რეფორმის პროცესში აუცილებელია ქართული სასამართლოს ფუნქციაუნარიანობის შენარჩუნება. სასამართლო რეფორმის განხორციელების სასარგებლოდ უკანა პლანზე არ უნდა დაიხიოს ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელების კონსტიტუციით დადგენილმა ვალდებულებამ. სხვაგვარად რომ ჩამოვაცალიბოთ: საქმე ეხება ცოცხალი ორგანიზმის რეფორმას; ეს დაახლოებით ჰგავს ტრანსპლანტაციის გზით მკურნალობას, როდესაც ყველგან, სადაც კი რაიმე შესაცვლელი ან მოსაშლელია, უნდა არსებობდეს უკეთესი ჩამნაცვლებელი.

- შეზღუდული რესურსების გათვალისწინებით, არსებითია, რომ კონცენტრირება მოხდეს ცენტრალურ პრობლემებზე. სასწრაფო დახმარების ექიმებიც ხომ ჯერ სიცოცხლის შენარჩუნებაზე ზრუნავენ და არა მცირე ჭრილობების მოშუშებაზე.

- წარსულის მსხვერპლებს ხშირად აქვთ დაკმაყოფილებისა და სამართლიანობის აღდგენის შინაგანი მოთხოვნილება. თუმცა, ეს გასაგები მოთხოვნილება ვერ შეცვლის იმას, რომ წარსულთან გამკლავებას მხოლოდ იმ ფარგლებში ენიჭება პრიორიტეტი, რამდენადაც იგი მიმართულია არსებული სტრუქტურებისა და ხელისუფლების ცვლილებისაკენ. ამიტომაც, მიზანთა კოლიზიისას, უფრო მნიშვნელოვანია მომავლის ფორმირება, ვიდრე წარსულის რევიზია.

III. ქარტიის ძირითადი კონცეფცია

პრეზიდენტის ქარტია ეფუძნება ამოსავალი სიტუაციის ზუსტ ანალიზს. შესაბამისად, ქარტიის მიზანია ძალაუფლების ბოროტად გამოყენების, კორუფციისა თუ სხვა სერიოზული სამსახურებრივი დარღვევის გამოვლენა და არსებული ძალაუფლების სტრუქტურების შეცვლა. ეს მიზნად ისახავს იმ ტიპის მართლმსაჯულების სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც აკმაყოფილებს ევროპულ სტანდარტებს და უზრუნველყოფს მოსამართლისათვის დაშინებისა და გაურკვევლობისგან თავისუფალი სამუშაო გარემოს შექმნას. „არაპოპულარული“ მოსამართლეების დასჯა და „ერთგული“ მოსამართლეების დაჯილდოება აღარ უნდა იყოს ძალაუფლების შენარჩუნების ინსტრუმენტი.

ამ კონცეფციაში სწორია, რომ პრეზიდენტი იძლევა ამ პრობლემების მოსაგვარებლად ორმხრივი მიდგომის რეკომენდაციას; კერძოდ, ერთი მხრივ, სახეზეა სტრუქტურული კომპონენტი და, მეორე მხრივ – საკადრო კომპონენტი. თუმცა, დიფერენცირებული და ზოგჯერ ძალიან კრიტიკული მსჯელობა და შეფასებები მოითხოვს კონკრეტულ წინადადებებს გასატარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით. კერძოდ:

IV. ადამიანურ რესურსთან დაკავშირებული კონცეფცია

პერსონალთან დაკავშირებული კონცეფციის საფუძველია ე. წ. კეთილსინდისიერების შემონმება და დაუსაბუთებელი ქონების გამოვლენა. ეს უკანასკნელი, ზოგადად, სამართლებრივად უმტკივნეულო და პერსპექტიული ჩანს. თუმცა, არსებობს სერიოზული შეშფოთება კეთილსინდისიერების შემონმებასთან დაკავშირებით, როდესაც ის ტარდება მოსამართლის მხრიდან მოვალეობის დარღვევაზე ყოველგვარი მინიმუმების გარეშე, ანუ უმიზეზოდ, ან დაკავშირებულია გარკვეული („პოლიტიკური“) სასამართლო გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობასთან. სამართლებრივად მიზანშეწონილია (და, მით უმეტეს, დასაშვებია) მოსამართლეთა მხრიდან, დაკისრებულ მოვალეობის დარღვევის საკმარისად კონკრეტული ნიშნების არსებობის შემთხვევაში, მათი დეტალური მოკვლევა. თუმცა, კეთილსინდისიერების შემონმებად წოდებული ღონისძიებები უნდა შემოიფარგლოს შესაბამის ქმედებასა და ქცევასთან დაკავშირებული ასპექტების მოკვლევით. ცხადია, მართლსაწინააღმდეგო იქნებოდა ამ ღონისძიებების ერთგვარ საბაზად გამოყენება მოსამართლის პირადი თვისებებისა და თავისებურებების შემდგომი შეფასებისთვის.

1. მოსამართლეთა კეთილსინდისიერების შემონმება

a) წინასწარი შენიშვნა ევროკავშირის მოთხოვნებთან დაკავშირებით

2023 წლის 8 ნოემბრის ანგარიშში⁸ ევროკავშირი, სხვა საკითხებთან ერთად, გა-

წვერიანების წინაპირობის სახით საქართველოსგან ითხოვს:

„გარდა ამისა, მნიშვნელოვანია შეიქმნას სასამართლოში ყველა წამყვან პოზიციაზე გამწესებული მოსამართლის კეთილსინდისიერების ექსტრაორდინალური შემონმების სისტემა, საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით, და შეიქმნას ქონების დეკლარაციების ეფექტური სისტემა.“

aa) „integrity checks“ – ტერმინის განმარტება

რას გულისხმობს ქართია და ევროკავშირი ტერმინში „კეთილსინდისიერების შემონმება“ საკმაოდ ბუნდოვანი რჩება. თუმცა, მოსამართლის მიმართ ჩატარებული ნებისმიერი მოკვლევის უკიდურესად მაღალი სენსიტიურობის გათვალისწინებით, სამართლებრივი სიცხადის პრინციპის უზრუნველსაყოფად, არსებითი იქნება განსახილველი სამოქმედო გეგმის საკმარისად ცხადად განსაზღვრა (ზუსტად რა უნდა შემონმდეს?). ამჟამინდელ ფორმულირებაში, წამოყენებულ მოთხოვნათა ბუნდოვანება ხელს უწყობს არასასურველ ინტერპრეტაციებსა და თვითნებობას. ამიტომაც ჯერ უნდა გაირკვეს, თუ ზოგადად რა სამოქმედო ფარგლები შეიძლება იქნას დადგენილი „integrity checks“-ისთვის.

მოსამართლის პიროვნული პროფილის ანალიზისა და შეფასების შესაძლებლობას ხელისუფლების სხვა შტოები არ უნდა ფლობდნენ. მოსამართლის ყველა არსებითი თვისება და მახასიათებელი განუყოფლად არის დაკავშირებული მის სამოსამართლო საქმიანობასთან და, შესაბამისად, მისი დამოუკიდებლობის ძირითადი და ხელშეუხე-

⁸ <https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/system/files/2023->

11/COM_2023_690%20Communication%20on%20EU%20Enlargement%20Policy_and_Annex.pdf, გვ. 25.

ბელი ბირთვის ნაწილია. ამიტომაც, გამო-
რიცხული უნდა იყოს, არა მხოლოდ, ყოველ-
გვარი გავლენა პიროვნების პროფილზე,
არამედ ნებისმიერი შეფასება ამ მიმართუ-
ლებით, ანუ, პიროვნების სკრინინგის ნები-
სმიერი გამოვლინება. მაშასადამე, ეს არა-
სოდეს არ შეიძლება იყოს პირად მახასიათე-
ბლებზე დაფუძნებული მოკვლევა, არამედ
– ვინრო ფარგლებში – მხოლოდ და მხო-
ლოდ გამოვლენილი ქცევის გარკვევისკენ
უნდა იყოს მიმართული; სხვაგვარად რომ
ითქვას: ქმედებასთან დაკავშირებულ გარე-
მოებებს უნდა მიემართებოდეს.

თუ ქვემოთ მაინც იქნება გამოყენებული
ბუნდოვანი ტერმინი „კეთილსინდისიერე-
ბის შემონმება“, ეს მხოლოდ ქარტიისა და
ევროკავშირის გამოყენებული ტერმინის პი-
რდაპირ ენობრივ შესატყვისს წარმოად-
გენს. თუმცა, ავტორი გულისხმობს მხო-
ლოდ იმ ზომებს, რომელიც მიზნად ისახავს
დაადგინოს, დაარღვია თუ არა მოსამართ-
ლემ მისთვის დაკისრებული მოვალეობა.⁹

**bb) მოკვლევის დაწყების წინაპირობე-
ბი**

ზემოთ ხსენებულისაგან ცალკეა გამო-
საყოფი იმ წინაპირობების საკითხი, რომელ-
თა არსებობის შემთხვევაშიც უნდა დაინ-
ყოს მოკვლევა მოსამართლის წინააღმდეგ,
მისი მხრიდან მოვალეობის დარღვევასთან
დაკავშირებით. საწყის ეტაპზე გასათვალის-
წინებელია, რომ ყოველგვარი მოკვლევა
წარმოადგენს ჩარევას მოსამართლის პირო-
ვნულობის ზოგად უფლებებში, სასამართ-
ლოს დამოუკიდებლობის ინსტიტუციურ
დაცვაში¹⁰ და, ზოგჯერ, საქმიანობის შინაა-

რსობრივ ნაწილში მოსამართლის დამოუკი-
დებლობაში. ამრიგად, მოკვლევა მხოლოდ
მაშინაა მართლზომიერი, როდესაც ჩარევის
მიზეზისა და ინტენსივობის გათვალისწინე-
ბით, შესაბამის მოსამართლეთა პიროვნუ-
ლი უფლებები და სამოსამართლო დამოუ-
კიდებლობა რანგით უკან გადაიწევს „კეთი-
ლსინდისიერების შემონმებით“ დასახული
მიზნების მიღწევის სასარგებლოდ. მოკ-
ლედ: შემონმება უნდა შეესაბამებოდეს სა-
მართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან
წარმომდგარ პროპორციულობის მოთხოვ-
ნას. ასეთი მოკვლევის პროპორციულობის
წინაპირობების შესახებ ქვემოთ **b)** თავში
იქნება მსჯელობა.

cc) შეჯამება

კეთილსინდისიერება უდავოდ ფუნდამე-
ნტური მოთხოვნაა მოსამართლის საქმიან-
ობის განხორციელებისთვის, მაგრამ მისი
შემონმება ყოველთვის კონკრეტული არა-
კეთილსინდისიერი ქცევის საბაბით [ამ ტი-
პის ქცევასთან დაკავშირებული ეჭვით] უნ-
და დაინყოს. [ზოგადად] კეთილსინდისიერე-
ბის „შეფასება“ წარმოშობს საფრთხეს, რომ
მან შეიძლება დაკარგოს ბმა კონკრეტულ
ქცევასთან და, ამგვარად, არაკონსტიტუცი-
ური გახდეს. ამიტომაც, მოკვლევის ღონის-
ძიების ფარგლები და ჩარჩოები მკაცრად და
განუხრელად უნდა იქნეს დაცული. **მაქსი-
მუმ დასაშვებია იმის გამოკვლევა, დაარ-
ღვია თუ არა მოსამართლემ საკუთარი
მოვალეობები, რაც შეიძლება მიანიშნებ-
დეს მის [ზოგად] არაკეთილსინდისიერე-
ბაზე.**

⁹ ამის თაობაზე ასევე იხ. თავი IV. 1. d).
¹⁰ სასამართლოების ინსტიტუციური დამოუკიდებლობა
ნიშნავს, რომ სახელმწიფო ხელისუფლების სხვა შტოე-
ბმა უნდა შექმნან ჩარჩო პირობები, რომელიც უზრუნ-
ველყოფს ცალკეული მოსამართლეების ფაქტობრივი

და პირადი დამოუკიდებლობის განვითარებას, რაც თა-
ვისუფლად შეიძლება. ამიტომ, თავიდან უნდა იქნას
აცხილებული ყველა ზემოქმედება, რომელიც არ არის
გამყარებული საკმარისად მნიშვნელოვანი მიზეზებით,
სამართლებრივი ინტერესების ანონ-დანონვისას.

b) ზოგადი ამოსავალი სიტუაცია

იმისათვის, რომ შევძლოთ იმ წინაპირობების ანონ-დანონვა, რომელთა არსებობისასაც, პროპორციულია მოსამართლის მიერ ვალდებულების შესაძლო დარღვევის დადგენა, წინასწარ უნდა გავარკვიოთ სამართლებრივი და ფაქტობრივი ამოსავალი სიტუაცია:

aa) ზოგადი სამართლებრივი წანამძღვრები

ისევე როგორც სხვა დროს საჯარო სამართალში, მოსამართლის ქცევის შემონმების შემთხვევაშიც უნდა გაიმიჯნოს ღონისძიებები, რომელთა ინიცირებასაც სჭირდება მიზეზი და საფუძველი, და ღონისძიებები, რომელთაც ეს არ სჭირდებათ (ექვსისგან დამოუკიდებელია). მიზეზის გარეშე შემონმება გულისხმობს შემთხვევას, როდესაც ღონისძიება ტარდება მოვალეობის დარღვევის თაობაზე ყოველგვარი კონკრეტული მინიშნების გარეშე; მიზეზზე მიბმული – შემონმება, რომელიც ასეთ მინიშნებებს საჭიროებს.

სამართლებრივად ამ გამიჯვნას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ღონისძიების პროპორციულობის შემონმებისას. ურთიერთდაპირისპირებული სამართლებრივი სიკეთეების ანონ-დანონისას მიზეზზე დაფუძნებულ ჩარევას (მაგ.: საფუძვლიანი ეჭვის გამო მიღებულია კონკრეტული სიტუაციის გამორკვევის გადაწყვეტილება) საგრძნობლად მეტი წონა და ლეგიტიმაცია აქვს კონკრეტული მიზეზის გარეშე ინიცირებულ ჩარევასთან შედარებით (მაგ.: ზოგადად, აბსტრაქტული „სარისკო ვითარების“ არსებობს გამო, მიღებულია გადაწყვეტილება წინასწარ დადგინდეს, ხომ არ გამოვლინდება კონკრეტული „საფრთხის“ ნიშნები; მაგალითად, როგორც, აეროპორტში პი-

რადი კონტროლისას). ე. ი. უმიზეზო შემონმების დასაშვებობას უფრო მაღალი მოთხოვნები წაეყენება, ვიდრე კონკრეტული მიზეზის გარეშე შემონმების დასაშვებობას. თუმცა, საბოლოოდ, ყოველთვის გადამწყვეტია, რომელი უფლებები გადანონის ჩარევის მიზნისა და ჩარევის ღონისძიების ინტენსივობის შენონა-შეპირისპირებისას.

გარდა ამისა, კონკრეტული მიზეზის გარეშე შემონმება ობიექტურ საფუძველს მაინც საჭიროებს (პასუხი უნდა გაეცეს შეკითხვას, რატომ და რა კრიტერიუმებით ხორციელდება ეჭვებისგან დამოუკიდებელი შემონმება). თუ იგი ობიექტურ საფუძველს არ ემყარება, იგი თვითნებური და ზოგჯერ, დისკრიმინაციულიცაა. ასეთ დროს, ურთიერთდაპირისპირებული სამართლებრივი სიკეთეების შენონამდე საქმე აღარც მიდის.

bb) ზოგადი ფაქტობრივი წანამძღვრები

ქართულ სასამართლო სისტემაში კორუფციის ფაქტებისა თუ მოსამართლეების მხრიდან მოვალეობის სისტემატური დარღვევის შესახებ, სულ მცირე, წინამდებარე წერილის ავტორი ინფორმაციას არ ფლობს. ამაზე არ საუბრობს არც ევროკავშირი, არც საქართველოს სხვა საერთაშორისო პარტნიორები თუ სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ბრალდებები ძირითადად წაეყენება მოსამართლეთა კონკრეტულ წრეს, რომლებიც ძალაუფლების ბერკეტებს ფლობენ. ამას შეიძლება დაემატოს გარკვეული განაპირა საკითხები, უფრო ბუნდოვანი მოხაზულობით.

cc) სასამართლო სისტემის ბენეფიციარებთან დაკავშირებით

საქართველოს სასამართლო ხელისუფ-

ლების ძალაუფლების ცენტრის (რიცხოზრივად საკმაოდ მცირე) ბირთვმა დროთა განმავლობაში თავის გარშემო შექმნა ქსელი.¹¹ თუმცა, ქსელის წევრობა თავისთავად მართლსაწინააღმდეგო არ არის. ამიტომ, ვალდებულების დარღვევის არსებობისათვის მხოლოდ ისაა გადამწყვეტი, თუ კონკრეტულად როგორ იქცევიან ქსელის წევრი მოსამართლეები.

არსებითად, იგივე ეხება იმ მოსამართლეებსაც, რომლებიც დაწინაურებას არა თავიანთ კვალიფიკაციას, არამედ ქართული სასამართლო ხელისუფლების ძალაუფლების ცენტრის „ერთგულებას“ უნდა უმადლოდნენ. მაგრამ, ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ პერსონალის შერჩევის გადაწყვეტილების მართლზომიერებაზე სამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებს და არა კანდიდატს; მაშინაც კი, როდესაც ეს უკანასკნელი დაკისრებულ ვალდებულებებს [წინასწარ შეცნობადად] ვერ გაუმკლავდება [თანამდებობისათვის შეუსაბამოა].

მართალია, პროფესიული კვალიფიკაციის დეფიციტი პიროვნულ რესურსთან დაკავშირებულ მთავარ ამოსავალ პრობლემად რჩება, თუმცა, ამის მიზეზი, როგორც წესი, არის არა მოსამართლის მხრიდან კვალიფიკაციის ამაღლების საკითხის უგულებელყოფა, არამედ ობიექტური გარემოებები. სხვაგვარად არის საქმე იმ შემთხვევაში, როდესაც კონკრეტული მოსამართლე მიმართავს გონივრულ ძალისხმევას იმისკენ, რომ შეძლებისდაგვარად აღმოფხვრას ან მინიმუმამდე დაიყვანოს კვალიფიკაციის დეფიციტი, პროფესიული გადამზადების

კურსების მეშვეობით. თუმცა, დღეის მდგომარეობით, მოცემულ პრობლემასთან მიმართებით, კონკრეტული მოსამართლეების დადანიშნულების წინააღმდეგ მეტყველებს, სულ მცირე, ის გარემოება, რომ საქართველოს სასამართლო სისტემა არ სთავაზობს მათ შემდგომი კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობას აუცილებელი და საჭირო მოცულობით; USAID-ის კანონის უზენაესობის პროგრამის ფარგლებში სპეციალური სასწავლო პროექტები კი რეალურ საჭიროებას ვერ ფარავს.

შესაბამისად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს პარლამენტის საკადრო პოლიტიკასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები მრავალი წლის განმავლობაში მნიშვნელოვან ტვირთად დააწვება ქართულ სასამართლო სისტემას. ეს საქართველოს გაურთულებს ევროკავშირის მიერ კოპენჰაგენის დეკლარაციის 27-ე თავით მოთხოვნილი „მართლმსაჯულების მაღალი ხარისხის“ მიღწევას.¹² თუმცა, თუ ვალდებულების დარღვევა არანაირად არ მტკიცდება, ამ მოსამართლეების მიმართ ოფიციალური ზომების გატარება უნდა გამოირიცხოს¹³, ამრიგად, რჩება მხოლოდ ფაქტობრივი ობიექტური ზომები, რათა შესაძლებელი იყოს ევროკავშირის მიერ, მოსამართლეთა პროფესიულ კვალიფიკაციასთან დაკავშირებით წაყენებული მოთხოვნების შესრულება, განსაკუთრებით, უზენაესი სასამართლოს დაკომპლექტების ნაწილში:

გარდა კვალიფიკაციის ამაღლების ყოვლისმომცველი კონცეფციისა, მიზნისკენ მიმავალი გზა შეიძლება იყოს მოსამართლის თანაშემწეების, რომლებიც ავტორის

¹¹ შდრ. ჰაგენლოხი, სასამართლო სისტემის რეფორმის განხორციელება - ანალიზი და ევროპული პერსპექტივა, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 11/2023, გვ. 1 და შემდგომში; www.lawjournal.ge, თავი V. 1.

¹² იხ. ასევე: ჰაგენლოხი, ვეტინგი და პროფესიული კვალიფიკაცია საქართველოს სასამართლო სისტემაში,

<https://lawjournal.ge/wp-content/uploads/DGZR-4-2024.pdf>, გვ. 1 და შემდგომში, თავი B. I. 1. და 2.

¹³ დაწვრილებით: ჰაგენლოხი, ვეტინგი და პროფესიული კვალიფიკაცია საქართველოს სასამართლო სისტემაში, <https://lawjournal.ge/wp-content/uploads/DGZR-4-2024.pdf>, გვ. 1 და შემდგომში, თავი B. I. 4.

შთაბეჭდილებით, ძალიან კვალიფიციურნი არიან, ჩართულობის უზრუნველყოფა და მათი შემდგომი მხარდაჭერა. უზენაეს სასამართლოში ვითარების განმუხტვა ასევე შესაძლებელია მოსამართლეთა რაოდენობის გაზრდით, ორგანული კანონის 14 III მუხლში ცვლილების შეტანის გზით. ეს უზენაესი სასამართლოსკენ გზის გაკაფვის საშუალებას მისცემს პირველი და მეორე ინსტანციის იმ მოსამართლეებს, რომლებსაც მაღალი პროფესიული კვალიფიკაცია და შესაბამისი პიროვნული უნარები აქვთ, მაგრამ დღემდე იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს პარლამენტის მიერ „უცხო სხეულებად“ აღიქმებიან. ანალოგიურად, მოსამართლეთა რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებად შეიძლება დაინიშნონ უნივერსიტეტის მაღალკვალიფიციური ლექტორები და ადვოკატები. მაღალკვალიფიციურ მოსამართლეებთან ერთად, რომლებიც უკვე დასაქმებულნი არიან უზენაეს სასამართლოში (რომლებიც ჯერ კიდევ არსებობენ, გაურკვეველი მდგომარეობის მიუხედავად), ეს ხელს შეუწყობს უზენაეს სასამართლოში უფრო მეტ პროფესიულ და კვალიფიკაციურ „მრავალფეროვნებას“ და მნიშვნელოვნად შეამსუბუქებს პრობლემებს.

მოკლედ რომ შევაჯამოთ: არ არსებობს მტკიცებულება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს მიერ სამსახურებრივი მოვალეობის სისტემური დარღვევის დამადასტურებელი ობიექტური მტკიცებულებები. მხოლოდ უზენაეს სასამართლოში სამოსამართლო საქმიანობის განხორციელება ან ამ თანამდებობაზე დანიშვნა არ იძლევა საკმარის მტკიცებულებას მოვალეობის დარღვევის შესახებ. შესაბამისად, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა კეთილსინდისიერების შემონმება, რომელიც ეფუძნება მხოლოდ მათ თანამდებობრივ სტატუსს, უნდა ჩაითვალოს კონკრეტული საფუძვლის

გარეშე შემონმებად, ზემოაღნიშნული გაგებით.

ავტორი არ იცნობს საკონსტიტუციო სასამართლოში არსებულ ვითარებას, ამიტომ საკუთარ შეფასებას ვერ გააკეთებს.

dd) იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებისა და სააპელაციო და საქალაქო სასამართლოების თავმჯდომარეებთან დაკავშირებით

ეჭვი, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყველა წევრი საკუთარ მოვალეობებს მნიშვნელოვნად არღვევს, საფუძვლიანი და საკმარისად დასაბუთებულია. გაუძეერებული და პასუხგაუცემელი ბრალდებების რაოდენობის გათვალისწინებით, ეს არ მოითხოვს დამატებით დასაბუთებას.

იგივე ეხება სააპელაციო და საქალაქო სასამართლოების თავმჯდომარეებს, რადგან მათი ამოცანები და კომპეტენციები მჭიდროდ არის გადაჯაჭვული იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ამოცანებთან. ამიტომ, არ არის გამორიცხული, რომ ეს პირები ურთიერთშეთანხმებულად და განზრახ არღვევენ საკუთარ მოვალეობებს. გარდა ამისა, მოსამართლეთა ერთი ნაწილის მიმართ შეიძლება არსებობდეს საკმარისი ნიშნები სხვა მოვალეობების დარღვევასთან დაკავშირებით (უმაღლესი საბჭოს ქმედებებისგან დამოუკიდებლად).

b) კეთილსინდისიერების შემონმება კონკრეტული საფუძვლის გარეშე

aa) უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა კეთილსინდისიერების შემონმება კონკრეტული საფუძვლის გარეშე

ისმის კითხვა, შეესაბამება თუ არა პროპორციულობის პრინციპს, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები ზოგადად

დაექვემდებარონ კეთილსინდისიერების შემოწმებას, მხოლოდ მათი თანამდებობრივი სტატუსიდან გამომდინარე, ანუ მათი მხრიდან მოვალეობის დარღვევის შესახებ საკმარისი ფაქტობრივი ნიშნების არარსებობის მიუხედავად.

არც თუ ისე მარტივია პასუხი გაეცეს კითხვას, თუ რატომ უნდა შემოწმდეს მოსამართლეთა კეთილსინდისიერება, თუ არ არსებობს ეჭვი მათი მხრიდან გადაცდომებთან დაკავშირებით. თუ ობიექტური საფუძველი უცნობია ან, სულ მცირე, შეცნობადი არაა, მოსამართლის პიროვნების კონკრეტული საფუძველის გარეშე შემოწმება კონსტიტუციასთან შესაბამისობის კუთხით მნიშვნელოვნად მოიკოჭლებს:

ევროკავშირი, სავარაუდოდ, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების უფლებებში ჩარევის ობიექტურ საფუძველს ხედავს იმაში, რომ ქართულ სასამართლო სისტემაში უკვე სახელგატეხილ¹⁴, დევიაციური პროფესიული ქცევით გამორჩეულ მოსამართლეებს შეეძლოთ მიეღოთ ინდულგენცია იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს პარლამენტის მიერ უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ გამწესების ფორმით. ეს აბსტრაქტული „სარისკო ვითარება“, პრინციპში, ასევე შეიძლება წარმოადგენდეს ობიექტურ საფუძველს, კონკრეტული ეჭვისგან დამოუკიდებლად, მოსამართლეთა კეთილსინდისიერების შემოწმებისათვის.

თუმცა: ევროკავშირი და ქარტია, ნებისმიერ შემთხვევაში, პირდაპირ არ საუბრობენ იმაზე, რომ ეს უნდა იყოს (ერთადერთი კონსტიტუციურად დასაშვები) საფუძველი, ეჭვისგან დამოუკიდებლად, მოსამართლეთა კეთილსინდისიერების გადამოწმებისათ-

ვის. სულ მცირე, ქარტია ასევე ითვალისწინებს კეთილსინდისიერების შემოწმებას (სავარაუდოდ) „პოლიტიკურად მოტივირებულ“ სასამართლო პროცესებში მონაწილეობის საბაბით. ამასთან, როგორც ქვემოთაც იქნება ახსნილი, ასეთი საფუძველი აშკარად მართლსაწინააღმდეგო იქნება (ამის თაობაზე ქვემოთ IV. 1. c) bb)). შემოწმების კონკრეტული საფუძველების მკაფიოდ მითითების სავალდებულობის გარეშე, არ არის გამორიცხული, რომ უზენაეს სასამართლოშიც კეთილსინდისიერების შემოწმება რეალურად ინსპირირებული იყოს არა ინდულგენციით აღჭურვილი მოსამართლის გამოვლენით, არამედ ამ, სავარაუდოდ, „პოლიტიკურად მოტივირებული“ გადანყვეტილებით [ამის გამო მათი დასჯის მიზნით] (რაც თავიდანვე მართლსაწინააღმდეგოა).

საბოლოო ჯამში, ეს შეიძლება გადამწყვეტი არც იყოს, რადგან კონკრეტული ეჭვებისგან დამოუკიდებლად კეთილსინდისიერების შემოწმება, ნებისმიერ შემთხვევაში, სულ მცირე, პროპორციულობის ნაწილში, (ავტორის აზრით: აშკარად) მართლსაწინააღმდეგოდ უნდა შეფასდეს. მაშინაც კი, როდესაც ასეთი შემოწმება ზემოაღნიშნულ ვინრო სამოქმედო ჩარჩოებში (იხ. ზემოთ IV. 1. a) aa)) ხორციელდება, ის დაკავშირებულია პიროვნულობის ზოგად უფლებებსა და სამოსამართლო დამოუკიდებლობაში ისეთ მნიშვნელოვან ჩარევასთან, რომ ურთიერთდაპირისპირებული სამართლებრივი ინტერესების შეფასებისას მოსამართლეთა დაცვის საჭიროება აშკარად გადანონის:

როგორც უკვე აღინიშნა, კეთილსინდისიერების შემოწმება შეიძლება ემსახურებოდეს (მხოლოდ) მოსამართლის გადაცდომების იდენტიფიცირებას, რათა აქედან შე-

¹⁴ დაზუსტებისთვის: იმისათვის, რომ შეეძლოთ უკვე „გამოაშკარავებული“ დევიანტი მოსამართლის შემოწმება,

საერთოდ არ არის საჭირო კეთილსინდისიერების ზოგადი და საფუძველს მონყვეტილი შემოწმების განხორციელება.

საბამისად გაკეთდეს დასკვნა მოსამართლის პროფესიული უნარებისა და კვალიფიკაციის არარსებობის თაობაზე. მაგრამ, თუკი არ არსებობს საკმარისი ეჭვი კონკრეტული მოვალეობის დარღვევის შესახებ, ასეთი „საგამოძიებო მიდგომა“ ნაკლოვანია. ამიტომ, შესაძლო ვალდებულების დარღვევის გამოსააშკარავებლად საჭირო ხდება სამოსამართლო საქმეში საკმაოდ უმიზნო და უმართავი ფორმით ჩარევა. საუკეთესო შემთხვევაშიც კი, ეს „ხელების ცეცებით“ ძიება, მხოლოდ ბედნიერი შემთხვევითობის წყალობით თუ გამოავლენდა რეალურ გადაცდომებს. თუმცა, ახსნასაც არ საჭიროებს ის ფაქტი, რომ ამგვარი მიდგომის საფუძველი და „ნარმატების პერსპექტივა“ არაპროპორციულია მოსამართლეთა პიროვნულობის უფლებებსა და სასამართლოს დამოუკიდებლობაში მასობრივ ჩარევასთან მიმართებით.

თუ რეალურად არსებობს საკმარისი მტკიცებულება იმისა, რომ მოსამართლემ პირადად დაარღვია დაკისრებული მოვალეობა (არა კოლექტიური ბრალის შერაცხვა, სხვა მოსამართლეების მიერ მოვალეობის დარღვევის გამო), რა თქმა უნდა, დასაშვებია ამ ქმედებიდან (და არა ზოგადად მისი პიროვნებიდან) გამომდინარე მოკვლევის ნაშრომება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების წინააღმდეგ.

bb) კეთილსინდისიერების საფუძვლის გარეშე შემონმების პრაქტიკული შედეგები

გარდა ზემოთ მოყვანილი სამართლებრივი არგუმენტაციისა, უნდა ითქვას, რომ კეთილსინდისიერების კონკრეტული საფუძვლის გარეშე შემონმება, საბოლოოდ იმ მოსამართლეებს ნაადგებათ, რომელთა შე-

მთხვევაშიც მოვალეობის დარღვევის კონკრეტული ნიშნები არსებობს და შემჩნეულნი არიან კონკრეტულ გადაცდომებში. ამდენად, ეს სტრატეგიულადაც კონტრპროდუქტიულია, თუკი სასამართლო რეფორმის ნარმატება გვსურს:

თუ კეთილსინდისიერების შემონმება ყოველგვარი კონკრეტული საფუძვლისაგან მოწყვეტილად განხორციელდებოდა, სასამართლო რეფორმაზე პასუხისმგებელი პირები დადგებოდნენ ისეთი ამოცანების წინაშე, რომლებიც ძნელად თუ იქნებოდა დაძლევადი არსებული რესურსებით. საერთაშორისო ექსპერტების ჩართვა სურათს ვერ შეცვლის, რადგან ეს არის სუვერენული ამოცანა, რომელშიც საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობა ზღვარდადებულია.

გარდა ამისა, კეთილსინდისიერების უმიზნო შემონმება მოსამართლეთა უმრავლესობას აუცილებლად განაწყობს ამ რეფორმის წინააღმდეგ. საქართველოში რეფორმაზე ორიენტირებული ძალების მიზანი საპირისპირო უნდა იყოს. როგორც უკვე ითქვა, სასამართლო რეფორმის ნარმატების საწინდარია, რომ რაც შეიძლება მეტმა მოსამართლემ დაუჭიროს მას მხარი. მართალია, სასამართლო ხელისუფლების მმართველი ბირთვის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი ქართული სასამართლო სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილის კეთილგანწყობას დაიმსახურებს, რადგან ბევრი მოსამართლე საკუთარი საქმიანობის განხორციელებისას პირდაპირი თუ ირიბი მუქარის მსხვერპლია, მაგრამ, მეორე მხრივ, კეთილსინდისიერების შემონმება კონკრეტული საფუძვლის გარეშე, სულ მცირე, გამოიწვევს ორაზროვან რეაქციას სასამართლო სისტემაში, ასევე, სავარაუდოდ, მნიშვნელოვან პროტესტსაც.

c) კეთილსინდისიერების შემონმება კონკრეტული საფუძვლით

aa) ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულების ნაწილში

საწყისი ეტაპი, შეიძლება იყოს მოსამართლის კეთილსინდისიერების შემონმება მის მიერ განხორციელებული ადმინისტრაციული საქმიანობის გამო, იმ დათქმით, რომ არსებობს ვალდებულების დარღვევის საკმაოდ კონკრეტული ნიშნები. თუმცა, მოსამართლეების წინააღმდეგ ასეთი მოკვლევის მაღალი სენსიტიურობის გამო, საჭიროა კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული პროცედურისა და ეფექტური სამართლებრივი თავდაცვის მექანიზმების უზრუნველყოფა.

ზოგადად, ასეთი ზომები არ წარმოადგენს რაიმე სახის ჩარევას სასამართლოს დამოუკიდებლობაში.¹⁵ თუმცა, მოკვლევის კონკრეტული ღონისძიებების განხორციელებისას აუცილებელია, რომ მათ არ ჰქონდეთ არაპირდაპირი ზეგავლენა სამართალშეფარდებით საქმიანობაზე.

როგორც უკვე აღინიშნა,¹⁶ შესაძლოა საჭირო გახდეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და დამოუკიდებელი ინსპექტორის კომპეტენციების გამიჯვნის კანონით დარეგულირება.

bb) მონაწილეობა კონკრეტულ სასამართლო პროცესებში

რამდენადაც, ქარტიის თანახმად, კეთილსინდისიერების შემონმება უნდა უკავშირდებოდეს გარკვეულ სასამართლო პროცესებში მოსამართლის მონაწილეობას, შერჩეული ფორმულირება უკვე დამაბნეველია.

ქარტიაში საუბარია პოლიტიკურად მოტივირებულ გადაწყვეტილებებზე და მათ მიერ მიყენებულ რეპუტაციულ ზიანზე, თუმცა არც ერთი და არც მეორე არ არის ცალსახად დადგენილი და ამასთან დაკავშირებული ეჭვის კონკრეტული საფუძველიც კი არ არსებობს. ბოლო რამდენიმე წლის სასამართლო პოლიტიკასთან დაკავშირებული დისკუსიები იძლევა იმის საფუძველს, რომ წინასწარ განვაცხადოთ:

პოლიტიკურად მოტივირებული ქმედება და გადაწყვეტილების მიღება მოსამართლის მიერ მოვალეობის ყველა შესაძლო დარღვევიდან ერთ-ერთი უმძიმესია. გერმანიაში ეს წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს – მოსამართლის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის თავის არიდებას/„მართლმსაჯულების გამრუდება“ (*Rechtsbeugung*), რაც ისჯება, როგორც დანაშაული ერთიდან ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთით.

თუმცა, სასამართლოს გადაწყვეტილება ვერ ჩაითვლება პოლიტიკურად მოტივირებულად მხოლოდ იმიტომ, რომ ის არ მოსწონთ პოლიტიკურ აქტორებს. სასამართლო ხელისუფლება საკამათო გადაწყვეტილების მიღებით არ აზიანებს თავის რეპუტაციას. თუმცა, სასამართლოს რეპუტაცია ილახება მაშინ, როდესაც მას ადანაშაულებენ პოლიტიკურად მოტივირებულ ქმედებებში, ვალდებულების დარღვევის რაიმე კონკრეტული ნიშნების გარეშე. სწორად გაცნობიერებული რეალობა არის შემდეგი:

მოსამართლის ქცევის ნებისმიერი ფორმით შემონმება და გამოკვლევა იწვევს სასამართლოს დამოუკიდებლობის სერიოზულ ხელყოფას, თუ არ არსებობს საკმარისად

¹⁵ შდრ. ჰაგენლოხი, ვეტინგი და პროფესიული კვალიფიკაცია საქართველოს სასამართლო სისტემაში, <https://lawjournal.ge/wp-content/uploads/DGZR-4-2024.pdf>, გვ. 1 და შემდგომი, თავი B. I. 2. b).

¹⁶ შდრ. ჰაგენლოხი, ვეტინგი და პროფესიული კვალიფიკაცია საქართველოს სასამართლო სისტემაში, <https://lawjournal.ge/wp-content/uploads/DGZR-4-2024.pdf>, გვ. 1 და შემდგომი, თავი B. II. 3.

კონკრეტული ეჭვი პოლიტიკურად მოტივირებულ ქმედებებთან დაკავშირებით. თუმცა, ასეთი ეჭვი მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება გამომდინარეობდეს სასამართლოს გადაწყვეტილებიდან. ეს იმიტომ, რომ ზომიერად ნიჭიერი, პროფესიონალი მოსამართლეც კი შეძლებს სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთებას (თუ სამართლებრივი შედეგი თავისთავად უკანონო არ არის) ისე, რომ ნებისმიერი პოლიტიკური მოტივაცია ან „ტენდენციური მორჩილება“ დაფაროს. შედეგად, მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება იყოს სამართლებრივად დასაშვები (თუ საერთოდ შეიძლება იყოს) მოსამართლის კეთილსინდისიერების შემონმების დანყების საფუძვლად, მის მიერ გარკვეულ სასამართლო გადაწყვეტილებებში მონაწილეობის მითითება.

მაგრამ ავტორი თვალს არ ხუჭავს იმაზე, რომ წარსულში ქართულ სასამართლო სისტემაში არსებობდა სასამართლო გადაწყვეტილებებზე მეტ-ნაკლებად ღია გავლენის აშკარა ნიშნები. ასევე ეჭვგარეშეა, რომ ქართულ სასამართლოებში შექმნილია ისეთი პირობები, რომლებიც ახალისებს „ტენდენციურ მორჩილებას“. თუმცა, ამის თაობაზე საკმარისად კონკრეტული ეჭვი თითქმის ვერასოდეს დაეფუძნება სასამართლო გადაწყვეტილებების „ანალიზს“. აქ შეიძლება უფრო სასარგებლო იყოს მამხილებლის ან ოქროს მონმის კონცეფციები. თუმცა, როდესაც საქმე მოსამართლეებს ეხება, თავის მხრივ, ეს იმდენად პრობლემურია, კანონის უზენაესობის კუთხით, რომ ისინი, სავარაუდოდ, უმალ ახალ უმართლობას ჩაიდენენ, ვიდრე ჩადენილი უსამართლობის გამორკვევას შეუწყობენ ხელს.

დიდი სიფრთხილით უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი ასპექტი: განცხადებამ, რომ მოსამართლეები „პოლიტიკურად მოტივირე-

ბული“ გადაწყვეტილებების მიღების შემთხვევაში დაექვემდებარებიან კეთილსინდისიერების შემონმებას, შეიძლება გამოიწვიოს ზვაგი, რომელიც დაახრჩობს სასამართლო სისტემას. თუ სხვა სახელმწიფო ორგანოები შექმნიან შთაბეჭდილებას, რომ ისინი გადაწყვეტილების მიღებისას პოლიტიკური მოტივებით ხელმძღვანელობდნენ, პროცესში ჩართულთაგან ბევრი, ალბათ, მათთვის არასახარბიელო სასამართლო გადაწყვეტილებასაც „პოლიტიკურად მოტივირებულად“ ჩათვლის და მოითხოვს შესაბამის მოკვლევას.

d) ახლად დანიშნული მოსამართლეების კეთილსინდისიერების შემონმება

რეალურად რას გულისხმობს ახლადდანიშნული მოსამართლეების კეთილსინდისიერების შემონმება, გაურკვეველია. ამ შემთხვევაში, თავიდანვე არ არსებობს სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევა, რომლის გადამონმებაც შესაძლებელი იქნებოდა.

პერსპექტიული მოსამართლის ქცევა, რომელიც არ არის კავშირში სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებასთან, მხოლოდ საკმაოდ შეზღუდულ ფარგლებში შეიძლება გახდეს მის პიროვნულ შესაბამისობასთან დაკავშირებული ეჭვის საფუძველი. დასაშვებია ნასამართლობის შესახებ ცნობის მოთხოვნა (შესაძლოა ასევე პროკურატურის საგამოძიებო აქტებიდან), რათა დადგინდეს, ჩაიდინა თუ არა მომავალმა მოსამართლემ ისეთი დანაშაულებრივი ქმედებები, რომლებიც მიუთითებენ მის პიროვნულ შეუსაბამობაზე. თუ არსებობს ეჭვის საფუძველი, ასევე შეიძლება შემონმდეს, იცავდა თუ არა ახლადდანიშნული მოსამართლე კონსტიტუციას წინა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას. საჭიროების შემთხვევაში, მას შეიძლება მოეთხოვოს კონსტიტუ-

ციისადმი ერთგულების გამოცხადება ან საქართველოში გავრცელებული ნარკოლოგიური ტესტის გავლა (მაგრამ ესეც კი სამართლებრივად დასაშვების ზღვარზეა). თუმცა ეს, ჩვეულებრივ, ისედაც ასე ხდება.

მომავალი მოსამართლის პიროვნული პროფილის გამოკვლევა არღვევს მისი პიროვნულობის ზოგად უფლებებს, რადგან ის არ არის მიმართული კონსტიტუციის შესაბამისი ლეგიტიმური მიზნისაკენ.¹⁷ მოსამართლეებს არ სჭირდებათ გარკვეული „არსებითი მახასიათებლები“ თავიანთი ამოცანების შესასრულებლად, არამედ შინაგანი თავისუფლება და შემოქმედებითი სული. რაც შეეხება მათ პიროვნულ მახასიათებლებს, მათ შეუძლიათ და უნდა იყვნენ საზოგადოების ანარეკლი. მოსამართლეები მხოლოდ სოციალური სპექტრის განაპირა რეგიონებით არ უნდა შემოიფარგლონ. ხასიათების ამგვარი მრავალფეროვნება გადამახალისებელი და ნაყოფიერია სასამართლო სისტემისთვის. ეს მნიშვნელოვნად უწყობს ხელს შიდა კონსტრუქციულ-კრიტიკულ დისკურსს.

ესე იგი: მომავალი მოსამართლეების კეთილსინდისიერების შემოწმება აღნიშნული ვინრო ფარგლების მიღმა არა მხოლოდ დაუშვებელია სამართლებრივი საფუძვლების გამო, არამედ არსებით ზიანს აყენებს სასამართლო სისტემას.

კიდევ ორი ასპექტი უნდა აღინიშნოს: უპირველეს ყოვლისა, ხელისუფლების სხვა შტოების წარმომადგენლების კეთილსინდისიერების რაიმე ფორმით შემოწმება არც ბუნებრივია და არც კონსტიტუციურად დასაშვები. ამიტომ, ვინც ასეთ შემოწმებას ითხოვს სასამართლო სისტემაში, გასაგებად

უნდა ახსნას, თუ რატომ უნდა არსებობდეს სხვადასხვა დონის კეთილსინდისიერების სტანდარტი ხელისუფლების სამი შტოს წარმომადგენლებისთვის. მეორე მხრივ, გამოსაცდელი პერიოდის განმავლობაში, სათანადო და ეფექტური რეაგირება შეიძლება მოჰყვეს მოსამართლის არაკეთილსინდისიერ ქცევას. თუმცა, როგორც გერმანიის გამოცდილება აჩვენებს, ეს მხოლოდ აბსოლუტურად გამონაკლის შემთხვევებშია საჭირო. მოსამართლის პროფესია არც თუ ისე მიმზიდველია იმ ახალგაზრდა იურისტებისთვის, რომლებიც ერთდროულად ავლენენ შესანიშნავ პროფესიულ კვალიფიკაციას და, ამავდროულად, კეთილსინდისიერების დეფიციტს.

2. დაუსაბუთებელი ქონების გამოკვლევა

მიუხედავად იმისა, რომ ეს პირდაპირ არ არის ნახსენები ქარტიაში, უნდა ვივარაუდოთ, რომ გაურკვეველი ქონებრივი გარემოებების შემოწმება უნდა გავრცელდეს არა მხოლოდ პირდაპირ მოსამართლეებისთვის გადაცემულ ქონებრივ აქტივებზე, არამედ, ასევე, ახლო ნათესავების ქონებრივი მდგომარეობაც უნდა შემოწმდეს. შემოწმების ფარგლების ამგვარი გაფართოება, საჭიროა არა მხოლოდ ქონების გადამალვის თავიდან აცილების მიზნით, არამედ ასევე შეესაბამება კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონის მე-15 და შემდგომი მუხლების დებულებებს.

როგორც სხვაგან უკვე უფრო დეტალურად იყო ახსნილი¹⁸, ასეთი შემოწმება, როგორც წესი, არ არღვევს მოსამართლეთა

¹⁷ შდრ. კონსტიტუციურად ლეგიტიმური მიზნის განხორციელების, როგორც სახელმწიფოს მხრიდან ნებისმიერი ჩარევის ძირითადი წინაპირობისათვის: ჰაგენლოხი, ვეტინგი და პროფესიული კვალიფიკაცია საქართველოს სასამართლო სისტემაში, [https://lawjournal.ge/wp-](https://lawjournal.ge/wp-content/uploads/DGZR-4-2024.pdf)

[content/uploads/DGZR-4-2024.pdf](https://lawjournal.ge/wp-content/uploads/DGZR-4-2024.pdf), გვ. 1 და შემდგომი, თავი B. I.

¹⁸ ჰაგენლოხი, სასამართლო სისტემის რეფორმის განხორციელება - ანალიზი და ევროპული პერსპექტივა, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 11/2023, გვ. 1 და შემდგომი.; Hagenloch, Umsetzung

კონსტიტუციით გარანტირებულ დამოუკიდებლობას.¹⁹ თუმცა იგი დაკავშირებულია პიროვნულობის ზოგად უფლებაში, პირველ რიგში კი, ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლებაში მნიშვნელოვან ჩარევასთან. მით უფრო, რომ შემონმება ვრცელდება ოჯახის წევრების დაუსაბუთებელ ქონებაზე, ანუ, ის მნიშვნელოვნად ერევა მესამე პირთა უფლებებშიც.²⁰

ამიტომ, ასეთი შემონმება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მკაცრად და განუხრელად იქნება დაცული სამართლებრივი პრინციპები, განსაკუთრებით, პროპორციულობის სტანდარტი და უზრუნველყოფილი იქნება, რომ შემონმებას დაქვემდებარებულ პირებს მიენიჭოთ თავის დაცვის ეფექტური სამართლებრივი მექანიზმები. მაშასადამე, ქონებრივი გარემოებების შემონმება არ უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ მოსამართლის თანამდებობრივ სტატუსს. აუცილებელია ამ შემონმების საჭიროების ობიექტური დასაბუთება.²¹

სავარაუდოდ, ამასვე გულისხმობს ქარტიაც, რადგან მის მიხედვით მხოლოდ „დაუსაბუთებელი“ ქონება და მისი შექენის გარემოებები უნდა იყოს გამოკვლეული. თუმცა, აღნიშნული გაურკვევლობა/დაუსაბუთებლობა არის ინდივიდუალური გარემოება (არ უკავშირდება თანამდებობას), რადგან ის მხოლოდ მაშინ გვაქვს სახეზე, თუ ცხოვრების წესი და/ან ქონებრივი მდგომარეობა ვერ აიხსნება და ვერ იქნებოდა შესაძლებელი შესაბამისი მოსამართლის მიერ მიღებული

ლი ხელფასით და/ან შემოსავლის ან ქონების სხვა ცნობილი წყაროებით (მეუღლის ან პარტნიორის შემოსავლები; შემოსავალი ინვესტიციებიდან ან უძრავი ქონებიდან; მემკვიდრეობით მიღებული ქონება და ა. შ.).

V. განსახილველ საქმეთა განაწილების ელექტრონული სისტემა

პრეზიდენტი სამართლიანად ითხოვს, რომ სასამართლოს ხელმძღვანელებს აღარ შეეძლოთ გავლენის მოხდენა განსახილველ საქმეთა განაწილების პროცესზე:

თუმცა, გონივრული იქნება, ამ ზემოქმედების აღმოფხვრასთან ერთად, მოხდეს საქმეთა კლასიფიცირება, მათი სირთულისა თუ, ზოგადად, ტიპისდა მიხედვით²² და ამ კლასიფიცირების კრიტერიუმები პირდაპირ ელექტრონულ სისტემაში აისახოს. ეს მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს მოსამართლეთა სპეციალიზაციას და მნიშვნელოვანი იქნებოდა სამუშაო დატვირთვის თანაბრად განაწილებასათვის. თუმცა, ეს არ არის სასამართლო რეფორმის სპეციფიკური პრობლემა, რის გამოც ამ თემას (რომელიც მაინც მხოლოდ „ინსაიდერებისთვის“ არის ადვილად გასაგები) აქ მოკლედ შევეხებით.

VI. ნაფიცო მსაჯულები

ნაფიცო მსაჯულთა თემა, ერთი მხრივ, მჭიდროდ არის დაკავშირებული ე. წ. სასამართლო სისტემის მოწყობის სამართალსა (სასამართლოს ორგანიზაციის სამართალი)

der Justizreform innerhalb der Gerichte - Analyse und europäische Perspektive, DGZR 5 - 2023 (DE), Seite 1 ff.; ორივე შემთხვევაში: www.lawjournal.ge.

¹⁹ შდრ. ჰაგენლოხი, ვეტინგი და პროფესიული კვალიფიკაცია საქართველოს სასამართლო სისტემაში, <https://lawjournal.ge/wp-content/uploads/DGZR-4-2024.pdf>, გვ. 1 და შემდგომი, თავი B. I. 2. b).

²⁰ შდრ. ჰაგენლოხი, ვეტინგი და პროფესიული კვალიფიკაცია საქართველოს სასამართლო სისტემაში,

<https://lawjournal.ge/wp-content/uploads/DGZR-4-2024.pdf>, გვ. 1 და შემდგომი, თავი B. II. 1.

²¹ შდრ. ჰაგენლოხი, ვეტინგი და პროფესიული კვალიფიკაცია საქართველოს სასამართლო სისტემაში, <https://lawjournal.ge/wp-content/uploads/DGZR-4-2024.pdf>, გვ. 1 და შემდგომი, თავი B. II. 1.

²² მაგალითად: დატვირთვის თვალსაზრისით, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობით დადგენილი პროცესი უტოლდება ზოგადი სამოქალაქო სამართლის ორ პროცესს.

და მოსამართლის პროფესიის მარეგულირებელ სამართალთან და, მეორე მხრივ, მატერიალურ სამართალთან. ძალიან მარტივად:

ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტი ორგანული ანგლო-ამერიკულ სამართლებრივ სისტემაში. მაგრამ, რთულია მისი მორგება კონტინენტური ევროპის სამართლებრივი სისტემებისათვის, სადაც სამართალშემფარდებლის როლი და ფუნქცია მთლიანად პროფესიონალ მოსამართლეს აკისრია [იგულისხმება: ამ სისტემებში სამართალი მხოლოდ პროფესიონალი იურისტისათვის გასაგებ ენაზეა დაწერილი]. ამიტომ ჯერ უნდა გაეცეს პასუხი გადამწყვეტ კითხვას, კონტინენტურ ევროპულ სამართლებრივ სისტემას გვინდა მივეკუთვნებოდეთ, თუ – ანგლო-ამერიკულს? ნაფიცი-მსაჯულთა ინსტიტუტის შემოტანით კონტინენტურ-ევროპულ სამართლებრივ სისტემაში არსებობს პროფესიონალი მოსამართლეებისათვის შექმნილი მატერიალური სამართლის კონცეფციასა და სასამართლო ორგანიზაციულ სტრუქტურებს შორის ნაპრაღის გაჩენის რისკი. ეს რეალურად გამოიწვევს არა სასამართლოსა და საზოგადოების დაახლოებას, არამედ უბრალოდ მართლმსაჯულების ხარისხის დაწევას. შესაბამისად, თუ არაპროფესიონალ მსაჯულთა ელემენტი ფართოდ დამკვიდრდება ქართულ მართლმსაჯულებაში, ეს წინააღმდეგობაში მოვა ევროკავშირის ლეგიტიმურ მოთხოვნებთან „მართლმსაჯულების მაღალი ხარისხის“ უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. სხვათა შორის, ამ მიმართულებით რაიმე ტიპის დისკუსიის საფუძველი იარსებებდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩავთვლიდით, რომ არაპროფესიონალთა ელემენტი დღემდე არასაკმარისად იყო წარმოდგენილი.

თუ ვინმეს სურს სასამართლო სისტემის დაცვა ელიტიზმისა და საზოგადოებისაგან გაუცხოებისგან, ამის მიღწევას არ უნდა

ეცადოს ნაფიცი მსაჯულთა სისტემის გაძლიერებით. უფრო მეტიც, ამ მიზნის მიღწევის საუკეთესო საშუალება იქნება, (მომავალი და ამჟამინდელი) მოსამართლეების კეთილსინდისიერების შემოწმებაზე უარის თქმა და ამით ხელის შეწყობა, რომ სასამართლოები განსხვავებული და მრავალფეროვანი პიროვნული თვისებებისა და პროფესიული ბიოგრაფიების მქონე მოსამართლეებით იყოს დაკომპლექტებული.

VII. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმა

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფართომასშტაბიან რეფორმირებასთან დაკავშირებული წინადადებები ძირითადად მხარდაჭერას იმსახურებს. იმის გამო, რომ ვენეციის კომისიამ უკვე გააკეთა ვრცელი განცხადებები ამასთან დაკავშირებით, მხოლოდ მოკლე რემარკით შემოვიფარგლებით:

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრისა თუ ადმინისტრაციულ თანამდებობაზე განმეორებით თუ ხელახლა არჩევის გამორიცხვის შემოთავაზება გარკვეულწილად პრობლემურია. მიუხედავად იმისა, რომ ხელს შეუშლიდა კორუმპირებული სტრუქტურების ჩამოყალიბებას, ეს ვერ ჩაითვლება არსებული კორუმპირებული სტრუქტურებისა და არსებული ქსელების წინააღმდეგ ქმედით ზომად. უპირველეს ყოვლისა, ყოველი ახალი საკადრო ცვლილებით იკარგება პროფესიული გამოცდილება და ცოდნა. შედეგად, სულ მცირე, ტენდენციურად მაინც, ამ ორგანოს ეფექტურობა და მისთვის დაკისრებული ვალდებულებების შესრულების ხარისხი იკლებს. გარდა ამისა, ეს გაზრდის იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და შესაბამისი სასამართლოების ადმინისტრაციული აპარატის გავლენას (და პარალელურად იკარგება სასამართლო ხელისუფლებაზე

პასუხისმგებელი პირების [წინა წევრთა] გამოცდილება). ამ ფონზე, ავტორის რეკომენდაციაა მსგავს ზომებზე უარის თქმა. თუმცა, ისინი შეიძლება გამართლებული იყოს არსებულ ვითარებაში.

გარდა ამისა, ქარტიაში გათვალისწინებულია მხოლოდ ის, რომ უმაღლეს საბჭოს უნდა ჩამოერთვას მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური პროცესის წამოწყების უფლებამოსილება. თუმცა, პასუხგაუცემელია კითხვა, თუ რომელი ორგანოსათვის უნდა მოხდეს მოცემული კომპეტენციის გადაცემა. ვინაიდან, სხვა, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებისათვის ამ კომპეტენციის მინიჭება იმთავითვე გამორიცხებულია, ერთადერთი ალტერნატივა არის პროცესის წამოწყების კომპეტენციის გადაცემა უზენაეს სასამართლოსთან არსებულ დისციპლინარული პალატისთვის ან ცალკე სასამართლო ორგანოს ჩამოყალიბება, რომელიც მიიღებდა შესაბამის გადაწყვეტილებებს.

რა თქმა უნდა, მიზანშეწონილია, რომ იუსტიციის უმაღლესი სკოლა გახდეს დამოუკიდებელი და მას აღარ ხელმძღვანელობდნენ უმაღლესი საბჭოს წევრები. თუმცა, წინა დისკუსიების გათვალისწინებით, უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ აქვს აზრი, უმაღლესი სკოლა და უმაღლესი საბჭო სრულად კი არ დაშორდეს ერთმანეთს, არამედ, იმუშაონ კოორდინირებულად საკვანძო საკითხების ნაწილში, როგორც თანაბარი რანგის პარტნიორებმა (თუ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება უმაღლეს სკოლას დარჩება).

საერთო ჯამში, ის ცვლილებები, რომლებსაც გვთავაზობს ქარტია უმაღლესი საბჭოს სტრუქტურების რეფორმასთან დაკავშირებით, აუცილებელია არსებული გაურკვევლობების აღმოსაფხვრელად და სამო-

მავლოდ უკეთესი ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოსაყალიბებლად. თუმცა, როგორც ქვემოთ უფრო დეტალურად იქნება ახსნილი, ეს შემოთავაზებები არ არის საკმარისი იმისთვის, რომ მოკლევადიან პერსპექტივაში შეცვალოს არსებული მდგომარეობა და სასამართლოებს საშუალება მიეცეთ განახორციელონ (კონსტიტუციით მოთხოვნილი) ეფექტური მართლმსაჯულება. სამართლებრივი თვალსაზრისით, ეს არის აუცილებელი,²³ მაგრამ არა საკმარისი ზომები.

VIII. ავტორის წინადადებები

1. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ორგანიზაციულ სტრუქტურასა და შემადგენლობაში ჩარევა

მიუხედავად იმისა, რომ ქარტიის კონცეფცია ითვალისწინებს ცვლილებებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სტრუქტურაში, ის ამ ეტაპზე არ ეხება წინა პერიოდის არასასურველი მოვლენების შედეგების გამოსწორებას. ვინაიდან საპირისპირო აზრი არ გამოთქმულა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სტრუქტურული ცვლილებების ფაქტობრივი განხორციელება, რომელიც გავლენას ახდენს პერსონალის შემადგენლობაზე, უნდა მოხდეს მხოლოდ უმაღლესი საბჭოს ამჟამინდელი წევრების უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ, ანუ, პროცესი წლები გაინელეება:

a) სანყისი მდგომარეობა, ფაქტობრივი და სამართლებრივი კუთხით

თუმცა, ასეთ ხანგრძლივ გარდამავალ პერიოდს აზრი არ აქვს და შესაძლოა მისი კონსტიტუციურობა კითხვის ნიშნის ქვეშაც

²³ გარდა მცირე დათქმებისა მეორე ვადისა და ხელახალი არჩევის საკითხებთან დაკავშირებით.

დადგეს. ეს იმას ნიშნავს, რომ ქართული სასამართლო სისტემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში ვერ განახორციელებს კონსტიტუციით მოთხოვნილ ეფექტურ მართლმსაჯულებას შესაბამის ფარგლებსა და შესაბამისი ხარისხით. გარდა ამისა, სარეფორმო ღონისძიებების წარმატებით განხორციელების შანსები მნიშვნელოვნად შემცირდება, თუ წარსულში უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მქონე ორგანოს წევრები ძალაუფლების ინსტრუმენტებს თავიანთი უფლებამოსილების რეგულარული ვადის დასრულებამდე შეინარჩუნებენ. დეტალურად:

ქარტია სამართლიანად ხედავს ფუნდამენტური ორგანიზაციული ცვლილების საჭიროებას, მაგრამ საქართველოს სასამართლო სისტემის ცენტრალური პრობლემები მდგომარეობს არა მხოლოდ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სტრუქტურაში, არამედ ძალაუფლების ბოროტად გამოყენებაში, რასაც ხელს უწყობს სტრუქტურული ხარვეზები. ასეთ ვითარებაში რეფორმის პირველი ნაბიჯი უნდა მოიცავდეს როგორც სტრუქტურის შეცვლას, ასევე კონტროლის ცენტრის ხელახალ დაკომპლექტებას.

წევრთა უფლებებში ჩარევა, რაც ამას უკავშირდება, გამართლებული იქნება ურთიერთდაპირისპირებული სამართლებრივი ინტერესების შენონის შედეგად. ეს იმიტომ, რომ უმაღლეს საბჭოში მანდატის შეწყვეტა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს იმას, რომ საბჭოს სტრუქტურების რეფორმამ კონსტიტუციით მოთხოვნილ მიზანს ეფექტურად და მოკლე ვადებში მიაღწიოს. უფრო გასაგებად რომ ითქვას: აუცილებელია, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა სტრუქტურული რეფორმის ფარგლებში დაკარგონ თავიანთი თანამდებობები, რათა ქართულმა სახელმწიფომ შეასრულოს ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვალეობა

მოქალაქეების წინაშე, კერძოდ, უზრუნველყოს, რომ სასამართლოში ყველამ იპოვოს თავისი წილი სამართლიანობა.

დღევანდელ ვითარებაში ამ კონსტიტუციური მიზნის მიღწევა ან თუნდაც მასთან ახლოს მისვლა შეუძლებელია უფრო მსუბუქი საშუალებებით. ასევე დაცულია პროპორციულობა ვინრო გაგებით. თავიანთი დამოუკიდებლობის გამო, მოსამართლეები ასევე სარგებლობენ კონსტიტუციური დაცვის ძალიან მაღალი სტანდარტით. მაგრამ, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის გაუქმებასთან დაკავშირებული ჩარევა არ მოქმედებს არც მოსამართლის სტატუსზე და არც უშუალოდ სასამართლო საქმიანობაზე და, შესაბამისად, არც მოსამართლის დამოუკიდებლობის ვინრო ბირთვზე.

პროფესიის არჩევის თავისუფლებასა და გაერთიანების თავისუფლებაში ჩარევა, რომელიც დაკავშირებულია წევრობის გაუქმებასთან, გამართლებულია მართლმსაჯულების ეფექტიანი განხორციელების უფრო მაღალი რანგის კონსტიტუციური მიზნით. ეს გამომდინარეობს, ასევე, იქიდან, რომ სასამართლოს თვითმმართველ ორგანოს აქვს ვალდებულება, გააცნობიეროს მოქალაქეთა უფლება ეფექტურ მართლმსაჯულებაზე და მისი მნიშვნელობა და, შესაბამისად, ცალკეული წევრის პირადი უფლებები უფრო ნაკლები მნიშვნელობისაა, ვიდრე თვითმმართველი ორგანოს კონსტიტუციური ამოცანების შესრულება.

თუმცა, რადგან წევრობის გაუქმებასთან დაკავშირებულია ბოროტად გამოყენების საფრთხე, უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტას მაღალი მოთხოვნები უნდა წაყენოს. ეს მოთხოვნები დაცული იქნება იმ შემთხვევაში, თუ ცვლილებებს ექნება მნიშვნელოვანი ობიექტური საფუძველი/ლეგიტიმური მიზანი, რომელსაც არსებული ორგანიზების სისტემა მნიშვნელოვ-

ნად ხელყოფს და, შესაბამისად, იმდენად გადაუდებელია, რომ უფლებამოსილების ვადის დასრულების ლოდინი რეფორმის მიზნის მიღწევას შეუქმნიდა საფრთხეს.²⁴

აქედან შეიძლება დავასკვნათ: ხარვეზიანმა ორგანიზაციულმა სტრუქტურებმა უკვე მიგვიყვანა ძალაუფლების ისეთ ცენტრამდე, რომელიც ძალაუფლების ბოროტად იყენებს. ასევე არ შეიძლება გვეკონდეს მოლოდინი, რომ ძალაუფლების ცენტრი აღიარებს სასამართლოს ძირეული რეფორმის აუცილებლობას და მხარს დაუჭერს მის წარმატებით განხორციელებას. ამიტომაც, არსებობს რეალური საშიშროება იმისა, რომ ძირეული სტრუქტურული რეფორმებით დასახული საკონსტიტუციო მიზნები ვერ მიიღწევა მანამ, სანამ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ამჟამინდელ წევრებს ძალაუფლების ბერკეტები ხელში უჭირავთ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საგნობრივი დამოუკიდებლობისა და არასაკმარისი კონტროლის მექანიზმების გათვალისწინებით, თითქმის არ არსებობს უმაღლესი საბჭოს მიერ სასამართლო რეფორმის ბლოკადის თავიდან აცილების შესაძლებლობა წევრების მანდატების ვადამდე შეწყვეტის გარეშე.

ბ) კონკრეტული შემოთავაზება

თუ შესაძლებელი იქნება ზემოთ ხსენებული ნაბიჯების განხორციელებისათვის აუცილებელი საპარლამენტო უმრავლესობის მიღწევა, უნდა განიხილებოდეს შემდეგი მიდგომა, რომლის ელემენტებიც აქ მხოლოდ მოკლედ იქნება ჩამოთვლილი:

- პირველი ნაბიჯია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა წევრობის შეწყვეტის გზით არსებული ძალაუფლების სტრუქტურების დაშლა. ამასთან, ამ წევრებს, მათ შორის, მოსამართლე წევრებს, ხელახლა ირჩევს პარლამენტი გარკვეული გარდამავალი ვადით ხოლო, ერთ წევრს ხელახლა ნიშნავს პრეზიდენტი. ამ კონტექსტში ასევე განხორციელდება სხვა სტრუქტურული სარეფორმო ღონისძიებები. უნდა მიეცეთ თუ არა წევრებს კომპენსაცია შემოსავლის დაკარგვის გამო, როგორც ეს უმაღლესმა საბჭომ გადაწყვიტა, ამას აღარ ჩავუღრმავდებით.

- როგორც კი აშკარად გამოჩნდება, რომ ძალაუფლების სტრუქტურები მოიშალა, სასამართლოებში მოსამართლეთა დაშინებას ადგილი აღარ აქვს და, საჭიროებისამებრ, შეიქმნება პროფესიული ორგანიზაციები,²⁵ მოსამართლე წევრების არჩევა მთლიანად ან ნაწილობრივ მოსამართლეთა კრებას გადაეცემა. გარდა ამისა, შეიძლება განიხილებოდეს არჩევნებში კანდიდატად მონაწილეობის უფლების დროებით შეზღუდვა იმ მოსამართლეებისთვის, რომლებიც წარსულში აშკარად შემჩნეულნი არიან უფლებამოსილების გადამეტებაში.

2. კვალიფიკაციის ამალგების კონცეფცია

სასამართლო რეფორმის წარმატებით განხორციელებისთვის, ასევე აუცილებელია პრეზიდენტის წინადადებების მხარდაჭერა მოსამართლეთა კვალიფიკაციის ამალგების ყოვლისმომცველი კონცეფციის

²⁴ BVerfG (Bundesverfassungsgericht), Beschluss vom 15. Januar 1999 - 1 BvR 1946/98 - NVwZ-RR 1999, 376, juris Rn. 36, სამაუნყებლო კომპანიის ორგანიზაციულ სტრუქტურებში ჩარევის თაობაზე.

²⁵ ამის თაობაზე: ჰაგენლოხი, სასამართლო სისტემის რეფორმის განხორციელება - ანალიზი და ევროპული პერსპექტივა, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 11/2023, გვ. 1 და შემდგომი; www.lawjournal.ge, თავი V. 2. და VI. 2. c).

ფარგლებში. როგორც სხვაგან უკვე აღინიშნა,²⁶ პროფესიული კვალიფიკაციის მაღალი დონე არის გარე გავლენისა და ტენდენციური მორჩილების თვიდან აცილების საწინდარი.

3. ეფექტური სამართლებრივი დაცვის კონცეფცია

ლონისძიებები, რომლებიც აქ არის აღწერილი და სამართლებრივად დასაშვებია, როგორც წესი, წარმოადგენს მაღალი ინტენსივობის ჩარევას. მით უფრო ეფექტური და მასშტაბური უნდა იყოს პროცედურული გარანტიები, მათ შორის, ეფექტური სამართლებრივი დაცვის მექანიზმების ჩათვლით.

ეს მოითხოვს დისტანციის შექმნას ამ პროცესის პოტენციურ მონაწილეებსა და ამ პროცესის/საქმის განმსჯელ მოსამართლეებს შორის. ამიტომ მიზანშეწონილია სპეციალური სასამართლო განსჯადობის შექმნა. ამ საქმეებზე მოსამართლეები უნდა დანიშნოს არა იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, არამედ უნდა აირჩიოს პარლამენტმა. ამას დადებითი გვერდითი ეფექტი ექნება სასამართლო პრაქტიკის ერთგვაროვნებისა და მისი ხარისხის ხელშეწყობის კუთხით.

4. შეფასების სისტემა

და ბოლოს, შეიძლება მიზანშეწონილი იყოს მოსამართლეთა შეფასების სისტემის შემოღება, რათა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს და, საჭიროების შემთხვევაში, პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მიერ ჩატარებულმა გამოკითხვებმა, რომლებიც, როგორც ჩანს, გამჭვირვალე, მაგრამ ხშირად საკმაოდ უცნაურია, აღარ იქონიოს საკადრო გადაწყვეტილებაზე არსებითი გავლენა.

თუმცა გადასვლა სისტემაზე, სადაც შედეგის ევალუაცია რეგულარული ინტერვალებით და, პარალელურად, ასევე, განაცხადების საფუძველზე განხორციელდება, იმდენად რთულია, რომ ამ ეტაპზე მხოლოდ ერთადერთი რეკომენდაციის შემოთავაზებაა შესაძლებელი. არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ ევალუაციის სისტემა უზადოა, ზოგიერთი პრობლემა ამით მხოლოდ სახელს შეიცვლის. თუმცა, ყველა დადებითი და უარყოფითი მხარეების ანონ-დანონისას, საქართველოში შეფასების სისტემის უპირატესობები, ალბათ, აჭარბებს მის მინუსებს; ასევე იმიტომაც, რომ, ევალუაციის უფლებამოსილების გამოყოფა უმაღლეს საბჭოსთან დარჩენილი საკადრო გადაწყვეტილებების კომპეტენციებიდან და მისთვის ამ უფლებამოსილების ჩამორთმევა, გამოიწვევს ძალაუფლების დეკონცენტრაციას და შემოწმებისა და ბალანსის სისტემის ჩამოყალიბებას.

IX. საბოლოო შენიშვნა

სასამართლო რეფორმის წარმატება მნიშვნელოვანად შეიძლება შეაფერხოს, ასევე, არასამართლებრივმა ფაქტორებმა:

ზედმეტად მაღალმა მოლოდინებმა და მოთმინების ნაკლებობამ შეიძლება გამოიწვიოს იმედგაცრუება და გადაიზარდოს საპირისპირო რეაქციაში. რეალისტურად პროგნოზით, წლობით დაგროვილი სერიოზული არასასურველი მოვლენების შედეგები შეიძლება აღმოიფხვრას მხოლოდ გრძელვადიან პერსპექტივაში. ეს პროგნოზი მით უფრო სწორია, რამდენადაც არსებული ძალაუფლების ცენტრი, სავარაუდოდ, არ იქნება დაინტერესებული სასამართლო რეფორმის წარმატებით განხორციელებაში და მის მიერ შექმნილი ქსელი თავისთავად არ

²⁶ ჰაგენლოხი, ვეტინგი და პროფესიული კვალიფიკაცია საქართველოს სასამართლო სისტემაში,

<https://lawjournal.ge/wp-content/uploads/DGZR-4-2024.pdf>, გვ. 1 და შემდგომი, თავი B. I. 2. b).

დაიშლება. ამიტომ კარგი იქნება, თუ სასამართლოში, პოლიტიკასა და ქართულ სამართლებრივ და სამოქალაქო საზოგადოება-

ში, სასამართლო რეფორმის მომხრეები სწრაფად აირჩევენ სწორ გეზს, მაგრამ შემდგომ მოთმინებით აღიჭურვებიან.

მართლმსაჯულების ურთიერთობა საზოგადოებასთან: დიალოგი თუ დაპირისპირება?*

ლია შატბერაშვილი

თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და ინტერნაციონალიზაციის სამსახურის ექსპერტი

შესავალი

„Justice should not only be done, but should manifestly and undoubtedly be seen to be done.“¹

ეს სიტყვები 100 წლის წინ ინგლისის მთავარმა მოსამართლემ ჰიუარტმა (Lord Chief Justice Hewart) კონკრეტულ სასამართლო საქმის გარემოებებთან დაკავშირებით თქვა. მართლმსაჯულება არა მხოლოდ კანონიერად და ობიექტურად უნდა ხორციელდებოდეს, არამედ ასეთადაც უნდა აღიქმებოდეს საზოგადოების მიერ. ამ გამოთნაქვამის ციტირება დღემდე ხდება, რაც იმაზე მეტყველებს, რომ პრობლემის აქტუალობა დღესაც არ დაკარგულა. პრობლემა კი შეეხება ურთიერთობებს სასამართლოსა და საზოგადოებას შორის, რომელიც, როგორც ჩანს, აშკარად არაა იდეალური. რა განსაზღვრავს საზოგადოებაში მართლმსაჯულების მიმართ ნდობის არსებობა-არარსებობას? რისი თქმა შე-

უძლია მოსამართლეს საჯარო სივრცეში? შეუძლია მოსამართლეს, თავი დაიცვას სასამართლოს გზით თავისი აზრის თავისუფალი გამოხატვის უფლების შეზღუდვის გამო? რა განაპირობებს სასამართლოსა და მედიებს შორის დაძაბულობის არსებობას? ახდენს თუ არა საზოგადოებრივი აზრი გავლენას სასამართლო პროცესების მიმდინარეობასა და მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე? ეს თემები განხილულია მრავალი ევროპელი თუ ამერიკელი მეცნიერის ნაშრომში, თუმცა, თავად მეცნიერთა აზრით, ჯერ კიდევ არასაკმარისად, რადგან ამ პრობლემის სრულფასოვანი ანალიზისთვის აუცილებელია ერთიანი, ინტერდისციპლინური მიდგომა, რომელიც უნდა მოიცავდეს მედიების, კომუნიკაციის მეცნიერების, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიისა და იურიდიული მეცნიერებების ასპექტებს². ამ ნაშრომის მიზანი არ არის მოცემული პრობლემატიკის ღრმა მეცნიერული ანა-

* სტატია არის ლადო ჭანტურიას საიუბილეო კრებულში (ლადო ჭანტურია 60, თსუ, თბილისი 2023) გამოქვეყნებული სტატიის განახლებული ვერსია.

¹ The origins of “Justice must be seen to be done” (barandbench.com) (წვდომა 01.08.2024).

² Sandra Pöschl, Nicola Döring, Der Einfluss von Medien auf Gerichtsverfahren - Ein Forschungsüberblick aus

kommunikationswissenschaftlicher und psychologischer Perspektive, in: Frank Fechner (Hrsg.), Zeugenbeeinflussung durch Medien - Philosophische, psychologische und juristische Gedanken zu einem Aspekt der „Litigation-PR“, Medienrechtliche Schriften, Band 9, Münster 2012, 112: <https://d-nb.info/102380347X/34> (წვდომა 01.08.2024).

ლიზი, ის მიეძღვნება მხოლოდ ზემოთ დასახელებული საკითხების მიმოხილვას არსებული მიდგომებისა და მოცემულობების საფუძველზე.

1. მოსამართლე – საკრალური პროფესია?

1.1 აქვს თუ არა მოსამართლეს გამოხატვის თავისუფლება? არსებული წარმოდგენები

მოსამართლის პროფესიის მიმართ სათუთი და, იმავდროულად, ძალიან მაღალი მოთხოვნების მქონე დამოკიდებულება ჩამოყალიბდა. ეს გასაგებიცაა, თუ გავითვალისწინებთ მართლმსაჯულების განსაკუთრებულ როლს, რომელიც მონოდებულია, დაამკვიდროს სამართლიანობა, დაიცვას ადამიანის უფლებები ყოველგვარი დარღვევებისგან, უზრუნველყოს კანონიერების დაცვა და ამით საბოლოო ჯამში თავად სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობა.³ ფაქტობრივად, მოსამართლე მონოდებულია, დაამყაროს სამოქალაქო მშვიდობა და სამართლიანობა, და ამით ხელი შეუწყოს თავად სახელმწიფოს არსებობის გამყარებას. ამ ამოცანების შესასრულებლად აუცილებელია მოსამართლის ძლიერი და დამოუკიდებელი პოზიციის არსებობა, რათა მან მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებებიც, რომლებმაც შესაძლოა, არ მოიპოვონ საზოგადოების მონონება.⁴ იმავდროულად, მოსამართლის განსაკუთრებული სტატუსისა და თავისი საქმიანობის უკიდურესი მნიშვნელობის გამო მას საზოგადოებაში ლამის საკრალური შარავანდედი მიუჩინეს და ჩვეულებრივი ადამიანური თვისებებისგან განწმენდილ სიმბოლოდ წარმოიდგინეს. მოსამართლის მიერ საჯაროდ აზრის გამო-

თქმა და, მით უმეტეს, საჯარო დისკუსიებში მონაწილეობა დღესაც დაუშვებლად და მის პროფესიასთან შეუთავსებლად მიიჩნევა.

1.2 რას ამბობს ევროპულ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო (CCJE)?

საბჭო თავის 2022 წლის 2 დეკემბრის N 25 მოსაზრებაში⁵ ადასტურებს, რომ მოსამართლეები სარგებლობენ აზრის გამოთქმის თავისუფლების უფლებით ისევე, როგორც ყველა სხვა მოქალაქე, თუმცა – ისევე, როგორც სახელმწიფოს სამსახურში მყოფ ყველა მოხელეს – მათ ეკისრებათ განსაკუთრებული პასუხისმგებლობა, მათი პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე, ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებით. CCJE-ს მიაჩნია, რომ მოსამართლეებმა თავი უნდა შეიკავონ, საკუთარი შეხედულებებისა და მოსაზრებების გამოთქმისგან, თუ ამით შეიძლება საფრთხე შეექმნას მათ დამოუკიდებლობას, მიუკერძოებლობას, მათ თანამდებრივ ღირსებას, ან საფრთხე შეუქმნას სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტს.⁶

იმავდროულად, CCJE ხაზს უსვამს, რომ ყველა მოსამართლე ვალდებულია, იმუშაოს სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობისა და კონსტიტუციური წესრიგის დასაცავად, როდესაც საფრთხე ემუქრება დემოკრატიას ან კანონის უზენაესობას, მათ შორის პოლიტიკურად მგრძობიარე საკითხებზე. ამ პრობლემების ირგვლივ მსჯელობა, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე, მათ ვალდებულებასაც კი წარმოადგენს.⁷

დოკუმენტში ასევე ხაზგასმულია მოსაზრება, რომ ცალკეულ მოსამართლეს – ისევე რო-

³ Consultative Council of European judges, "Magna Carta of judges' CCJE (2010)3, 17 November 2010, § 1; ECtHR, *Harabin v. Slovakia*, 20 November 2012, Para 133.

⁴ *Hildur Hjörvar*, Judges as Rightsholders, in: Liber amicorum Robert Spano, 2022, 327; ასევე: *Bertram Schmitt*, Der mediale Druck auf die Rechtsprechung hat zugenommen. Auch Richter sind für einen Applaus empfänglich, *Zeitschrift für Rechtspolitik*, 13. Oktober 2011, 44. Jahrg., 221.

⁵ CCJE Opinion No. 25 (2022) on freedom of expression of judges, 1680a973ef (coe.int) (წვდომა 01.08.2024).

⁶ იხ. ასევე კვლევა: *თამთა კახიძე, მაგდა ჯიმშელიძე-ლი, ივანე ჩიტაშვილი*, მოსამართლეთა გამოხატვის თავისუფლების ფარგლები, USAID, 2021, მე-6 და მომდევნო გვერდები:

https://www.transparency.ge/sites/default/files/mosamartleta_gamoxatvis_parglebi_1.pdf (წვდომა 01.08.2024).

⁷ CCJE Opinion No. 25 (2022) on freedom of expression of judges 1680a973ef (coe.int) N 46, N 48. (წვდომა 01.08.2024).

გორც იუსტიციის საბჭოებსა და მოსამართლეთა გაერთიანებებს – ეკისრებათ ეთიკური მოვალეობა, აუხსნან საზოგადოებას სასამართლო სისტემის ფუნქციონირებისა და მისი ღირებულებების შესახებ, რათა ხელი შეუწყონ და გაზარდონ საზოგადოების ნდობა სასამართლოს მიმართ.⁸

რისკების თავიდან აცილების მიზნით, CCJE რეკომენდაციას უწევს სასამართლო ხელისუფლებასა და მოსამართლეთა გაერთიანებებს, ადეკვატურად მოამზადონ მოსამართლეები მედიასა და სოციალურ ქსელებში კომუნიკაციისთვის, შეიმუშაონ წესები მოსამართლეთა გამოხატვის თავისუფლების ფარგლებსა და მათი განხორციელების შეზღუდვის შესახებ.⁹

როგორც ვხედავთ, CCJE მოიაზრებს თანამედროვე მოსამართლეს, ერთი მხრივ, როგორც თავისი პროფესიის ერთგულ და მიუკერძოებელ განმახორციელებელსა და ლოიალურ მოხელეს, მეორე მხრივ კი, როგორც საზოგადოების აქტიურ წევრს, რომელიც ჩართულია მართლმსაჯულების საჭირობო საკითხების საჯარო განხილვაში.

1.3 რას ამბობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო?

აღსანიშნავია, რომ სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკაში აშკარად მოიმატა მოსამართლის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებულმა საქმეებმა და, შესაბამისად, საქმეებმა, რომლებშიც განმცხადებლები თავად მოსამართლეები არიან.¹⁰

სტრასბურგის სასამართლო მუდმივად ხაზს უსვამს მართლმსაჯულების განსაკუთრებულ ბუნებასა და მის განსაკუთრებულ როლს სახელმწიფოში. დამოუკიდებელი სასამართლო გა-

დამწყვეტი ძალაა ხელისუფლების კონტროლისთვისა და ადამიანის უფლებების დაცვისთვის.¹¹

საინტერესოა იმ პროცესის განხილვა, რომელიც წინ უძღოდა სტრასბურგის სასამართლოს მიერ მოსამართლეთა სარჩელების მიღებას, რომლებიც ითხოვდნენ მათი დამოუკიდებლობის დაცვას კონვენციის მე-6 მუხლის საფუძველზე, მათ შორის მოსამართლის გამოხატვის უფლების შეზღუდვის გამო.

1.3.1 სასამართლოსადმი წვდომის საკითხი

კერძოდ, საჯარო მოხელეების, მათ შორის მოსამართლეების, სასამართლოსთან წვდომის უფლება განსაკუთრებით რთული საკითხია სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში. სირთულე მდგომარეობდა იმ საკითხის გადაწყვეტაში, შეიძლება თუ არა დავა თანამდებობის პირებსა და მთავრობას შორის კლასიფიცირებული იყოს, როგორც სამოქალაქო ხასიათის და, შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 6 I მუხლს დაექვემდებაროს. საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა სტრასბურგის სასამართლოს, ამ კითხვაზე დადებითი პასუხის გაცემაზე. ადრინდელ სასამართლო პრაქტიკაში ძირითადი პრინციპი იყო, რომ დავები, რომლებიც დაკავშირებულია საჯარო მოხელეთა – ე. ი., ასევე მოსამართლეთა – შრომით ურთიერთობებთან და მათ სტატუსთან, არ ექვემდებარებოდა ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის 6 I მუხლის დაცვის სფეროს. ამიტომ სასამართლომ არ დააკმაყოფილა მთელი რიგი დავები, რომლებშიც საჯარო მოხელეები, და მათ შორის მოსამართლეები ჩიოდნენ, რომ შელახული იყო მათი უფლება სამართლიან სასამართლოზე, კონვენციის მე-6 მუხლის შესაბამისად.

⁸ იქვე, N 63 – N 65.

⁹ იქვე, N 67.

¹⁰ R. Spano, The Rule of Law as the Lodestar of the European Convention on Human Rights: The Strasbourg Court and the Independence of the Judiciary, (2021) 27 European Law Journal 1-17, The rule of law as the lodestar of

the European Convention on Human Rights: The Strasbourg Court and the independence of the judiciary - Spano - 2021 - European Law Journal - Wiley Online Library (წვდომა 01.08.2024).

¹¹ Hildur Hjörvar, Judges as Rightsholders, in: Liber amicorum Robert Spano, 2022, 328.

თავის შემდგომ პრაქტიკაში, ესკელინენის საქმეში - *Vilho Eskelinen ფინეთის წინააღმდეგ*¹² - სასამართლომ დაადგინა ფუნქციური კრიტერიუმები, რომელთა მიხედვით შესაძლებელი ხდებოდა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 6 I მუხლი გავრცელებულიყო თანამდებობის პირსა და სახელმწიფოს შორის დავის მიმართ. თუმცა, იმავე კრიტერიუმებით ასევე შესაძლებელი იყო დავების დაკმაყოფილების გამორიცხვა იმ შემთხვევებში, თუ სახელმწიფო კუმულაციურად ასრულებდა ორ პირობას: პირველი - მან უნდა აჩვენოს, რომ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად საჯარო მოსამსახურის უფლება მიემართა სასამართლოსთვის და დაეწყო დავა აღნიშნულ საკითხზე პირდაპირ იყო გამორიცხული, და მეორე - რომ ეს გამორიცხვა გამართლებული იყო ობიექტური მიზეზებით, სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე.

ამ ახალმა მიდგომამ გზა გაუხსნა საჯარო მოხელეებს, და მათ შორის მოსამართლეებსაც, რათა თავიანთი დამოუკიდებლობის ხელყოფის შემთხვევაში მიმართონ სტრასბურგის სასამართლოს¹³ და ისარგებლონ კონვენციის 6 I მუხლის დაცვით.

მოგვიანებით ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თავის პრაქტიკაში ესკელინენის ტესტის გამოყენება მოსამართლეების მიმართ კიდევ უფრო განავითარა იმ მიმართულებით, რომ მან მოცემული სახელმწიფოსთვის კიდევ უფრო გაართულა ორივე კრიტერიუმის შესრულების წინაპირობები. ესკელინენის ტესტის პირველი კრიტერიუმის მიხედვით, ქვეყანაში საჯარო მოხელეთათვის, ან პროფესიების გარკვეული ჯგუფისთვის მკაფიოდ უნდა იყოს აკრძალული წვდომა სასამართლოსადმი. *ოლუჩის* საქმეში ხორვატიის წინააღმდეგ¹⁴, ასევე მოგვიანებით *ვოლკოვის* საქმეში უკრაინის წინააღმდეგ¹⁵ სასამართლომ წინა პრაქტიკისგან

განსხვავებით, დაადგინა, რომ მხოლოდ ის გარემოება, რომ კომპეტენტური ეროვნული ორგანოს გადაწყვეტილების შემდგომი გადამოწმება სასამართლოს მიერ არსებული კანონმდებლობით გამორიცხულია, მაინც არ ნიშნავს იმას, რომ ეროვნული კანონმდებლობა ცალსახად კრძალავს სასამართლო განხილვის უფლებას. ორივე შემთხვევაში სასამართლო არ დაკმაყოფილდა საკანონმდებლო რეგულაციის არსებობით და განიხილა იუსტიციის საბჭოს მიერ დისციპლინური დევნის საკითხის განხილვა როგორც კონტრადიქტორული წარმოება, რომელიც მტკიცებულებების წარმოდგენას, ცალკეულ შემთხვევაში კი მოსამართლეების მოსმენასაც მოიცავს და იგი სასამართლო წარმოებას გაუთანაბრა. შედეგად, ესკელინენის პირველი კრიტერიუმი - კანონმდებლობით სასამართლოსადმი მიმართვის უფლების აკრძალვა - შესრულებულად არ ჩაითვალა. ასევე შემდგომ ორ საქმეში - *სტურუა საქართველოს წინააღმდეგ*¹⁶ და *დი ჯოვანი იტალიის წინააღმდეგ*¹⁷ - სასამართლომ ჩათვალა, რომ ქართული და იტალიური საბჭოები მოქმედებდნენ როგორც სასამართლოები და, შესაბამისად, ეს იმას ნიშნავდა, რომ სასამართლოს უფლება პირველი კრიტერიუმის შესაბამისად გამორიცხული არ იყო. ეს იმას ნიშნავს, რომ სასამართლომ ესკელინენის ტესტის პირველი კრიტერიუმის გამოყენებისას წმინდა ფორმალური მიდგომა მატერიალური ანალიზით შეცვალა და ამით საგძნობლად გაურთულა მოპასუხე სახელმწიფოს ამ კრიტერიუმის შესრულება.

თავის შემდგომ პრაქტიკაში, განსაკუთრებით ორ საქმეში თურქეთის წინააღმდეგ¹⁸ - *ბილგენი თურქეთის წინააღმდეგ* და *ემინაგაოღლუ თურქეთის წინააღმდეგ*¹⁹ - სასამართლომ კიდევ უფრო განავითარა ესკელინენის ტესტის განმარტება.

¹² ECtHR, *Vilho Eskelinen and others v. Finland* [CC], 19 April 2007, § 62.

¹³ ECtHR, *Vilho Eskelinen and others v. Finland* [CC], 19 April 2007.

¹⁴ ECtHR *Olujic v Croatia* 22330/05 5 February 2009, § 37–43.

¹⁵ ECtHR, *Oleksandr Volkov v. Ukraine*, 9 January 2013.

¹⁶ ECtHR, *Sturua v. Georgia*, 27 April 2017.

¹⁷ ECtHR, *Di Giovanni c. Italie*, 9 December 2013.

¹⁸ *Eminağaoğlu v Turkey and Bilgen v Turkey* (Strasbourg Observers, 1 April 2021).

¹⁹ *Mathew Leloup*, Not Just a Simple Civil Servant: The Right of Access to a Court of Judges in the Recent Case Law of the ECtHR, in: *European Convention on Human Rights. Law Review* 4 (2023), 28; ECtHR, *Bilgen v Turkey*, 09 June 2021; ECtHR, *Eminağaoğlu v Turkey* 76521/12, 9 March 2021.

Bilgen-ის შემთხვევაში, იუსტიციის საბჭომ განამწესა მოსამართლე თავისი სამუშაო ადგილიდან მოშორებულ და უფრო დაბალი კატეგორიის სასამართლოში მისი თანხმობის გარეშე, *Eminağaoğlu-ს* შემთხვევაში იუსტიციის საბჭომ მოსამართლეს დისციპლინური სანქციები დაუწესა მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე დავებთან დაკავშირებით მის მიერ კრიტიკული მოსაზრებების გამოთქმის გამო. ორივე შემთხვევაში საკითხი იდგა იმგვარად, რომ საფრთხე ექმნებოდა მათი დამოუკიდებლობის ხარისხს. ორივე შემთხვევაში მოსამართლეებს არ ჰქონდათ საშუალება, მიემართათ სასამართლოსადმი თავიანთი უფლების დასაცავად, რადგან თურქეთის კონსტიტუცია ცალსახად კრძალავდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას.

ამ, უდავოდ ძალზე საინტერესო და გზამკვლევ გადაწყვეტილებებს, სამწუხაროდ, ვერ განვიხილავთ დანვრილებით ამ სტატიის ფარგლებში, მაგრამ ვეცდებით წარმოვაჩინოთ, როგორ შეიცვალა სასამართლოს მიდგომა მსგავსი საკითხებისადმი და რა ტენდენციები იკვეთება ამ მიდგომის შედეგად მომჩივანი მოსამართლეებისთვის.²⁰

პირველ რიგში, გასარკვევი იყო, შესრულებულია თუ არა ესკელინენის ტესტის პირველი კრიტერიუმი – ანუ არის თუ არა სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობით სასამართლოსადმი მიმართვის უფლება ცალსახად გამორიცხული მოსამართლეთათვის. თურქეთის კონსტიტუციით განსაზღვრულია, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებები არ არის გადამოწმებადი სხვა ინსტიტუციების მიერ, თავად საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი არ ითვალისწინებს კონტრადიქტორულ წარმოებას და, შესაბამისად, მის მიერ ჩატარებული პროცედურები ვერ გაიგივდება სასამართლო წარმოებასთან. შედეგად, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ პირველი კრიტერიუმი შესრულებული იყო.

შემდგომი ამოცანა იყო მეორე კრიტერიუმის არსებობის დადგენა – ანუ იყო თუ არა სახელმწიფოს მიერ სასამართლოსადმი წვდომის აკრძალვა გამართლებული სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე.

აქ სასამართლომ თავის დასაბუთებაში იმსჯელა იმის თაობაზე, თუ რა განსხვავებაა ჩვეულებრივ მოხელესა, მაგალითად, საგადასახადო სამსახურის მაღალი რანგის ჩინოსანსა²¹ და მოსამართლეს შორის. სასამართლო განმარტავს, რომ მოხელესა და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის არსებული ურთიერთობა გულისხმობს მოხელის დამოკიდებულებას ხელისუფლებაზე და მის მიმართ განსაკუთრებული ლოიალობის არსებობას. გარკვეულწილად, მოხელე ხელისუფლებას წარმოადგენს საზოგადოებასთან ურთიერთობაში და მისი განსაკუთრებული ნდობით უნდა სარგებლობდეს. განსხვავებულია მოსამართლის პოზიცია: იგი დამოუკიდებელია აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებებისგან, იგი მხოლოდ კანონს, სამართალსა და დემოკრატიის პრინციპებს ექვემდებარება. მისი ფუნქცია, სწორედ რომ ხელისუფლების მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების გაკონტროლებაა და, შესაბამისად, იგი დისტანცირებული უნდა იყოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებებისგან, რათა ობიექტურად განახორციელოს თავისი საქმიანობა. შესაბამისად, სასამართლომ ჩათვალა, რომ კონვენციის მე-6 მუხლის დაცვისგან მოსამართლეთა გამორიცხვა ხელისუფლების მიმართ თავიანთი განსაკუთრებული ლოიალობისა და ნდობითი ურთიერთობის გამო, გამართლებული არ არის და არც სახელმწიფოს ინტერესებს შეესაბამება. შედეგად დადგინდა, რომ ესკელინენის მეორე კრიტერიუმი შესრულებული არ იყო და საქმე მიღებულ იქნა განსახილველად.

თავის შემდგომ პრაქტიკაში მოსამართლეთა სარჩელების დასაშვებობის საკითხების განხილვისას სასამართლო უფრო შორს წავიდა და

²⁰ იხ. უფრო ვრცლად *Mathew Leloup, Not Just a Simple Civil Servant: The Right of Access to a Court of Judges in the Recent Case Law of the ECtHR*, in: *European Convention on Human Rights. Law Review* 4 (2023), 28-32.

²¹ ECtHR, *Spūlis and Vaškevičs v Latvia* 2631/10 and 12253/10, (18 November 2014).

მოსამართლეთა პოზიცია კიდევ უფრო გააძლიერა. *Broda und Bojara*-ს საქმეში პოლონეთის წინააღმდეგ, *Gumenjuk*-ის საქმეში უკრაინის წინააღმდეგ და შემდგომ *Loquifer*-ის საქმეში ბელგიის წინააღმდეგ სასამართლომ მართალია ნაწილობრივ განიხილა პირველი კრიტიკერიუმის არსებობა, მაგრამ ამ ნაწილში დასკვნის გაკეთების გარეშე განაცხადა, რომ არც აქვს მნიშვნელობა, არის თუ არა შესრულებული პირველი კრიტიკერიუმი, რადგან ცხადია, რომ მეორე კრიტიკერიუმი – სწორედ იმიტომ, რომ საქმე გვაქვს მოსამართლეთა – შესრულებული არ იქნება და საქმეები წარმოებაში მიიღო.

როგორც ვხედავთ, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების დანერგვისა და გაძლიერების მზარდი მნიშვნელობის და ამ კუთხით არსებული გამოწვევების გამო, სასამართლო სულ უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მოსამართლეთა დამოუკიდებლობის საკითხებს და თავის პრაქტიკაში სულ უფრო მეტ შესაძლებლობას აძლევს მოსამართლეთა, დაიცვან თავიანთი უფლებები საერთაშორისო მართლმსაჯულების დონეზე.

1.3.2 მოსამართლეთა სარჩელების მატერიალური განხილვის შედეგები. რას ამბობს სასამართლო მოსამართლის თავისუფალი აზრის გამოთქმის უფლებაზე

როგორც ზემოთ დავრწმუნდით, სასამართლომ საკმაო მოქნილობა გამოიჩინა, რათა უზრუნველყო მოსამართლის პროცესუალური უფლებები მოსამართლეთა სარჩელების მატერიალურ-სამართლებრივი განხილვის შემთხვევაშიც, მან ახლებური მიდგომა შეიმუშავა და ახალი პრინციპები ჩამოაყალიბა.

გამოხატვის თავისუფლების, როგორც მატერიალური უფლების, განხილვისას აზრის გამოთქმის სანქციონირების დასაშვებობის შეფასების დროს სასამართლო, პირველ რიგში, ითვალისწინებს მოსამართლის თვალსაზრისს. სა-

სამართლო ამკარად აცნობიერებს ამგვარი საქმეების მნიშვნელობის ზრდას არა მხოლოდ ცალკეული მოსამართლის, არამედ საზოგადოებისთვისაც, რომელსაც ისინი ემსახურებიან. სასამართლო სულ და უფრო ხშირად განიხილავს მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური ზომების დაწესებას მართლმსაჯულების ამოცანის ზოგად კონტექსტში და ადგენს მათი გარე გავლენებისგან დაცვის აუცილებლობას.²²

იმავედროულად, სასამართლომ თავის პრაქტიკაში მრავალჯერ აღნიშნა, რომ სასამართლო სისტემის წარმომადგენლების მხრიდან გამართლებულია ლოიალურობისა და კონფიდენციალურობის მოლოდინი სისტემის მიმართ, ისევე როგორც, ეს მოქმედებს საჯარო მოხელეების შემთხვევაში, როდესაც ვსაუბრობთ მოხელის კონფიდენციალურობისა და ლოიალურობის ვალდებულებაზე დამსაქმებლის მიმართ. ამიტომ ლეგიტიმურად შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფოს მხრიდან მოსამართლეთა მსგავსი ვალდებულების დაკისრება.²³ როგორც სასამართლო საქმეში ფოგტი გერმანიის წინააღმდეგ დაადგინა, სახელმწიფოს მიერ კონფიდენციალურობის მოვალეობის დაკისრება თანამდებობის პირებისთვის, მათი სტატუსიდან გამომდინარე, შესაძლოა, ლეგიტიმური იყოს.

მოსამართლეთა სარჩელები, ძირითადად, კონვენციის მე-8 (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) და მე-10 (გამოხატვის თავისუფლება)²⁴ მუხლებს ეხება. ჩვენი მიზნებისთვის საინტერესოა შემთხვევები, როდესაც საქმე ეხება მოსამართლის გამოხატვის უფლების შეზღუდვას, როგორც კონკრეტულ სასამართლო პროცესთან დაკავშირებით, ასევე მისი კონკრეტული საქმიანობისგან დამოუკიდებლად, როდესაც იგი მონაწილეობას იღებს საჯარო დისკუსიაში.

პირველ შემთხვევაში, როდესაც საქმე გვაქვს კონკრეტულ სასამართლო დავასთან, მოსამართლეს აქვს თავის დამოუკიდებლობის ფარგლებში პრაქტიკულად შეუზღუდავი გამოხატვის უფლება, როდესაც იგი გადაწყვეტილებას

²² *Hjörvar*, (სქოლიო 10), 340.

²³ ECtHR, *Vogt v. Germany*, § 53, ასევე ECcHR, *Kudeshkina v. Russia*, §§ 85-97, ასევე ECtHR, *Baka v. Hungary*, § 164.

²⁴ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია: https://www.echr.coe.int/documents/d/echr/convention_kat. (წვდომა 01.08.2024).

იღებს ან გადანყვეტილების დასაბუთებას წერს. შესაბამისად, პროცესის ფარგლებში მოსამართლის მიერ გამოთქმული მოსაზრების გამო მისგან პასუხის მოთხოვნა პრაქტიკულად გამორიცხულია. თუმცა არსებობს რამდენიმე საქმე, მათ შორის *De Carvalho Basso*-ს²⁵ საქმე პორტუგალიის წინააღმდეგ²⁶, როდესაც სასამართლომ ყურადღება მიაქცია სასამართლო პროცესის კონკრეტულ გარემოებებს და ხაზი გაუსვა მოსამართლის დისკრეციის საზღვრების არსებობას, როდესაც საქმე დავის მონაწილის პირადი ინფორმაციის გასაჯაროებას ეხება. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსამართლის გამონათქვამები, რომელსაც ის აკეთებს სამოსამართლო ფუნქციების განხორციელებისას, საბოლოო ჯამში, ცალკეული მოსამართლის გამონათქვამი კი არაა, არამედ მართლმსაჯულების აზრს წარმოადგენს, და ამიტომ არის ძალზე მნიშვნელოვანი, რომ მოსამართლეებმა მართლმსაჯულების განხორციელებისას შეინარჩუნონ მიუკერძოებლობის პრინციპი და მაქსიმალურად სცენ პატივი მხარეთა ინტერესებს, რომელიც შეიძლება შეილახოს სასამართლოს პროცესზე გაჟღერებული ინფორმაციების შედეგად.

რაც შეეხება სასამართლოს ფარგლებს გარეთ მოსამართლის მიერ საჯარო სივრცეში აზრის გამოთქმის უფლებას, საქმეებში: *Wille vs. Liechtenstein*²⁷, ასევე *Baka vs. Hungary*²⁸ სასამართლომ ადგენს, რომ მოსამართლეს აქვს უფლება, მიიღოს მონაწილეობა საჯარო დებატებში, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს დებატები მწვავე პოლიტიკურ ხასიათს ატარებს.²⁹ სასამართლო

ასკვნის, რომ გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით მოსამართლის მონაწილეობა საჯარო დისკუსიაში მისი არა მხოლოდ უფლება, არამედ ვალდებულებაც არის, თუ ეს საკითხები მართლმსაჯულების გამონათქვამებს, სამართლის რეფორმებს, ან სასამართლო სისტემის ფუნქციონირების პრობლემებს ეხება.

კუდეშკინას საქმეში რუსეთის წინააღმდეგ³⁰ მოსამართლე კუდეშკინამ კრიტიკული მოსაზრებები გამოთქვა პრესაში რუსული მართლმსაჯულების მიმართ, რის გამო ის გაათავისუფლეს თანამდებობიდან და აუკრძალეს მოსამართლეობა. სასამართლომ დაადგინა, რომ, მოხელის ლოიალურობის ვალდებულების მიუხედავად, მოცემულ შემთხვევაში მომჩივანი უფლებამოსილი იყო, საზოგადოებისთვის გაეზიარებინა საკუთარი შეხედულებები, განსაკუთრებით, რადგან საქმე ეხებოდა სასამართლოში კორუფციისა და პოლიტიკური ზენოლის ფაქტებს, რაც საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს.

ამასთან ერთად, სასამართლომ ხაზი გაუსვა იმას, რომ მსგავს საჩქიებს ასევე უარყოფითი „დამაშინებელი ეფექტიც“ აქვს და შეიძლება, მოსამართლეებს თანამდებობის დაკარგვის შიშის გამო თავისუფალი აზრის გამოთქმის სურვილი საბოლოოდ დაუკარგოს³¹.

ყველა ზემოთ დასახელებულ და მსგავსი საქმეების უმეტესობაში სასამართლომ დაადგინა სახელმწიფოების მიერ კონვენციის მე-10 მუხლის (გამოხატვის თავისუფლება) დარღვევა.

²⁵ ECtHR, *De Carvalho Basso v. Portugal*, §§ 58-61 (საქმე ეხებოდა სხვა საკითხებთან ერთად მოსამართლის მიერ რომას ეროვნების (ბოშები) პროცესის მონაწილეთა მიმართ, მომჩივანთა აზრით, რასობრივი დისკრიმინაციის შემცველი გამონათქვამების წარმოთქმას სასამართლოს მსვლელობისას, რის გამოც მათ ადვოკატ კარვალის მეშვეობით სარჩელი შეიტანეს მოსამართლის წინააღმდეგ. სარჩელი დაუშვებლად იქნა მიჩნეული დაუსაბუთებლობის გამო. ამის შემდეგ მოსამართლემაც შეიტანა სარჩელი ადვოკატის წინააღმდეგ მის მიმართ დაუსაბუთებელი სისხლის სამართლის სარჩელის შეგნებულად აღძვრის გამო. პორტუგალიის სასამართლომ ადვოკატს 10.000 ევროს გადახდა დაუნესა. სტრასბურ-

რგის სასამართლომ ჩათვალა, რომ გამოხატვის თავისუფლების დარღვევა ადვოკატის მხრიდან არ ყოფილა და თუმცა მოსამართლის გამონათქვამები არ სცილდებოდა ეთიკის ნორმებს, მას მაინც ევალება, მაქსიმალურად შეინარჩუნოს ნეიტრალური დამოკიდებულება მხარეების მიმართ).

²⁶ *Hjörvar*, 336.

²⁷ ECtHR, *Wille v. Liechtenstein*, 28 October 1999, § 67-70.

²⁸ ECtHR, *Baka v. Hungary*, 23 June 2016.

²⁹ ECtHR, *Wille v. Liechtenstein*, § 67.

³⁰ ECcHR, *Kudeshkina v. Russia*, 26 February 2009, §§ 85-97.

³¹ იქვე, ასევე ECtHR, *Cuz v. Poland*, 15 October 2020.

2. მედიების ზრდადი ძალაუფლება. მედია – მეოთხე ხელისუფლება?

საზოგადოებასა და სასამართლოს შორის ურთიერთობის სამართლებრივი „დალაგება“ მე-19 საუკუნეში დაიწყო, სასამართლო პროცესის საჯაროობის მოთხოვნასთან ერთად. სასამართლო პროცესის გამჭვირვალობა, პირველ რიგში მიზნად ისახავდა მართლმსაჯულების თავნებობის თავიდან აცილებასა და სამართლიანობის ხელშეწყობას.

მეორე მიზანი ემყარებოდა მე-19 საუკუნეში გავრცელებულ ე. წ. „გენერალური პრევენციის“ თეორიას,³² რომლის მიხედვით, სასამართლო პროცესებზე დასწრება, განსაკუთრებით სისხლის სამართლის საქმეებზე, უნდა ყოფილიყო მოქალაქეთა მიერ დანაშაულის ჩადენისა და მოსალოდნელი სასჯელის გაცნობიერების ფაქტორი და უნდა დაერწმუნებინა ისინი, რომ დანაშაულის ჩადენის გამო დაწესებული სასჯელი უფრო „ძვირად დაუჯდებათ“, ვიდრე დანაშაულის შედეგად მიღებული სარგებელი და შედეგად ისინი თავს შეიკავებენ დანაშაულის ჩადენისგან (ნეგატიური პრევენცია). თუმცა შემდგომმა თეორიულმა კვლევებმა და ემპირიულმა მონაცემებმა ეს მოსაზრება არ დაადასტურეს.³³

სასამართლოსა და საზოგადოების ურთიერთობა ბოლო ათწლეულებში, ძირითადად, პროცესებზე მედიების წარმომადგენლობის დასწრებასა და ელექტრონულ მედიებში გახმაურებული საქმეების განხილვას გულისხმობს. ამგვარად, მართლმსაჯულების საჯაროობა უკვე დიდი ხანია, მედიების მიერ გასაჯაროებულ ინფორმაციას წარმოადგენს და მედიების მიერ ამ ინფორმაციების შერჩევისა და შეფასების გამო პრობლემატურია სასამართლოსთვის.³⁴

მართლმსაჯულების საქმიანობის გაშუქება მედიების მიერ საჭიროა მოსახლეობის სამართლებრივი თვითშეგნების ასამაღლებლად. ასევე იმისათვის, რომ მართლმსაჯულების გამართული ფუნქციონირების გაშუქებით შეუწყოს ხელი მოსახლეობის ნდობის ამაღლებას სასამართლოს მიმართ. რასაკვირველია, მედიების დანიშნულება არის ასევე, მართლმსაჯულების სისტემაში ხარვეზებისა და პრობლემების არსებობაზე ყურადღების გამახვილება, ნაკლოვანებების ანალიზი და ჯანსაღი კრიტიკა.

2.1 შეიძლება თუ არა ქართული სასამართლოს კრიტიკას კონსტრუქციული ვუნდოთ?

საქართველოში ბოლო წლებში ჩატარებულ სასამართლო რეფორმებს საზოგადოების მხრიდან შეუწვევებელი კრიტიკა ახლავს თან. თავდაპირველად ეს განპირობებული იყო იმ გარემოებებით, რომ, 2012 წელს მომხდარი ხელისუფლების ცვლილების მიუხედავად, სასამართლო სისტემის, რომელიც სრულიად დისკრედიტირებული იყო სააკაშვილის რეჟიმის დროს, ძირეული რეფორმა არ მოჰყოლია. საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც წინა წლებში შეკვეთილი სასამართლო გადაწყვეტილებების, სახელმწიფოს მიერ მოგონილი ბრალდებებით ბიზნესის დაყაჩაღების, ტოტალური მიყურადების, ციხეებში წამების ფაქტების მონმენი იყვნენ, ელოდნენ სისტემის საფუძვლიან ცვლილებებს, განსაკუთრებით სასამართლო სისტემის სფეროში. შესაბამისად, სასამართლოს სათავეებში იმავე მოსამართლეების დარჩენამ, რომლებიც უსამართლობისა და მოსყიდულობის სიმბოლოებად იყვნენ ქცეული ქართული საზოგადოების თვალში, დიდი იმედგაცრუება გამოიწვია. ამდენად, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებისა³⁵ და მედიების მხრიდან გამოთქმული

³² Joachim Scherer, Justiz und Massenmedien. Kontrollierende oder kontrollierte Medienöffentlichkeit? in: Zeitschrift für ausländisches öffentliches Recht und Völkerrecht (ZaöRV), 1979, 40.

³³ Hans Mathias Kepplinger, Thomas Zerback, Der Einfluss der Medien auf Richter und Staatsanwälte. Art, Ausmaß und Entstehung reziproker Effekte, in: Publizistik, January 2012, 4.

³⁴ Joachim Scherer, Justiz und Massenmedien. Kontrollierende oder kontrollierte Medienöffentlichkeit? Justiz und Massenmedien, in: Zeitschrift für ausländisches öffentliches Recht und Völkerrecht (ZaöRV), 1979, 40.

³⁵ იხ.: ანა ნაცვლიშვილი, სასამართლო რეფორმა საქართველოში და ასოცირების ხელშეწყობა. ძველი ღვინო ახალ კასრში - რა იცვლება? ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო, თბილისი, 2016; Group of Independent Lawyers, Selection of Judges Transitional Democracies,

კრიტიკა სასამართლო სისტემის გაჯანსაღების სკენ, პროცესების გამჭვირვალობის სკენ, სასამართლოს მიმართ ნდობის აღდგენისა და მართლმსაჯულებასა და საზოგადოებას შორის კომუნიკაციის გაუმჯობესების სკენ იყო მიმართული. სამწუხაროდ, ამ კრიტიკას არ მოჰყვა სათანადო რეაგირება ხელისუფლების მხრიდან. ხელისუფლების მხრიდან ამ პროცესების არც რაიმე სერიოზული, არგუმენტირებული ახსნა-განმარტება მომხდარა, მიუხედავად საზოგადოებაში არსებული მწვავე კითხვებისა. შემდგომში პროცესები გამოიწვია ასევე საზოგადოებაში არა-გამჭვირვალედ აღქმულმა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნის პროცესმა, რომელიც რამდენჯერმე ჩაიშალა მწვავე კრიტიკის გამო.

მიუხედავად ამისა, ჩვენი აზრით, გაუმართლებელია ამ თავდაპირველად კონსტრუქციული კრიტიკის, შემდგომში არასამთვაროზო ორგანიზაციებისა და განსაკუთრებით ოპოზიციური მედიების მხრიდან, არსებული პოლიტიკური კონტექსტის ფონზე, სულ უფრო დაუსაბუთებელ, აგრესიულ და, რაც მთავარია, სასამართლოს ავტორიტეტის დამაზიანებელ პოზიციასში გადაზრდა, რაც, საბოლოო ჯამში, გამოიხატება მთლიანად ქართული სასამართლოს უარყოფასა და პრაქტიკულად ნებისმიერი გადაწყვეტილების კრიტიკაში. რა თქმა უნდა, ქართული სასამართლო სისტემა ჯერ კიდევ შორსაა იდეალურისგან, თუმცა ბოლო წლების სასამართლო პრაქტიკის მიუკერძოებელი შესწავლის შედეგად უნდა დავადგინოთ, რომ აშკარად მატულობს პროფესიულად დასაბუთებული, დამოუკიდებელი, მათ შორის მთავრობისთვის არასასურველი გადაწყვეტილებების მიღება, რაც მიანიშნებს მოსამართლეთა დამოუკიდებლობის ხარისხის ზრდაზე. ქართული მედიების პოზიცი-

ის არამართებულობა კი უკვე რამდენჯერმე დადასტურა სტრასბურგის სასამართლომ ბოლო წლებში მიღებული გადაწყვეტილებებით, საქართველოსთან დაკავშირებულ გახმაურებულ საქმეებზე, მაგ., (*Rustavi 2 Broadcasting Company Ltd and Others v. Georgia*³⁶ (09.12.2019), *Makarashvili and others v. Georgia*³⁷ (30.01.2023), *M. Saakashvili's request to be transferred to Poland*³⁸ (12.05.2023), *Melia v. Georgia*³⁹ (07.09.2023), *Okropiridze v. Georgia*⁴⁰ (07.09.2023).

2.2 ვინ გააკონტროლებს მედიას?

გერმანიის ფედერალური უმაღლესი სასამართლოს მოსამართლე, პროფესორი ბერტრამ შმიტი ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს, რომ მართლმსაჯულებას უდავოდ სჭირდება მედიები, და ის თავად ცდილობს მასთან თანამშრომლობის დამყარებას. თუმცა მართლმსაჯულებას ესაჭიროება პროფესიული გაშუქება, რომელიც დამყარებულია პასუხისმგებლიან მიდგომაზე, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს საზოგადოებაში სამართლებრივი სისტემის აღიარებასა და სამართლის პატივისცემას. „მაგრამ მე ისიც ვიცი – ამბობს ის, რომ ეკონომიკური მარწუხები, რომლებშიც მოქცეულია მედია, მაინცდამაინც არ უწყობენ ხელს ამ პასუხისმგებლობის რეალიზაციას. მოვლენების პროფესიული და განონანსწორებული გაშუქება, სამწუხაროდ, ხშირად ვერ იყიდება ისე კარგად, როგორც ემოციური და მხოლოდ გართობაზე ორიენტირებული გაშუქება“.⁴¹

შესაბამისად, მართლმსაჯულების ავტორიტეტი და საზოგადოების ნდობის გაძლიერება თუ შესუსტება მნიშვნელოვანწილად მედიების მიერ გავრცელებულ შეფასებებზე გადის.

USAID, Tbilisi, 2021; ანა პაპუაშვილი, სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუციური მოწყობის ევროპული მოდელი: ხსნა თუ დაბრკოლება წარმატებული სასამართლო რეფორმის გზაზე, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, თბილისი, 2021.

³⁶ RUSTAVI 2 BROADCASTING COMPANY LTD AND OTHERS v. GEORGIA (coe.int).

³⁷ MAKARASHVILI AND OTHERS v. GEORGIA (coe.int).

³⁸ <https://agenda.ge/en/news/2023/1874> (ნვდომა 01.08.2024).

³⁹ MELIA v. GEORGIA (coe.int).

⁴⁰ OKROPIRIDZE v. GEORGIA (coe.int).

⁴¹ *Bertram Schmitt*, Der mediale Druck auf die Rechtsprechung hat zugenommen. Auch Richter sind für einen Applaus empfänglich, Zeitschrift für Rechtspolitik, 13. Oktober 2011, 44. Jahrg., 222.

უდავოა, რომ მედიას მართლაც ძალუძს საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მოხდენა და რომ მისი ძალაუფლება, განსაკუთრებით ინტერნეტის მიერ მსოფლიოს დაპრეცობის პირობებში, სულ უფრო იზრდება. უნდა ვაღიაროთ, რომ ვდგავართ მოცემულობის წინაშე, როდესაც მედია სერიოზულ ძალაუფლებას წარმოადგენს და გავლენას ახდენს უკვე პოლიტიკაზეც და ცხოვრების სხვა სფეროებზეც, მას ამიტომაც უწოდებენ ხშირად „მეოთხე ხელისუფლებას“.⁴²

ამავდროულად, არ უნდა დაგვავინყდეს, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში მედიების პოლიტიკის განხორციელებისას ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანი არის ცალკეული პირების ან ჯგუფების მიერ საზოგადოებრივ აზრზე გადამეტებული გავლენის მოხდენის, ე. წ. „გავლენის ძალაუფლების“ თავიდან აცილება.⁴³ დემოკრატიის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპი ხომ აზრთა სხვადასხვაობის არსებობის უზრუნველყოფაა. ამ პრინციპის განხორციელება სულ უფრო რთულ ამოცანად გვევლინება, რადგან მედიის მიერ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებისა და მისი მანიპულირების მექანიზმების დადგენა და, მით უმეტეს გაკონტროლება, პრაქტიკულად შეუძლებელია.

მედიების მიერ ინფორმაციის არასათანადო და ზედაპირული შესწავლის შედეგად სასამართლო საქმეების არასწორმა გაშუქებამ შეიძლება არა მხოლოდ ზიანი მიაყენოს ადამიანის რეპუტაციას, არამედ გამოუსწორებელი ტრავმა მიაყენოს მის ფსიქიკას და საბოლოოდ დაანგრის მისი სასიცოცხლო გარემო. ამის მრავალი მაგალითი არსებობს: გერმანიის პრეზიდენტები – ჰორსტ კიოლერი (2004-2010) და კრისტიან ვულფი (2010-2012) პრესის მიერ გაჩაღებული კამპანიის მსხვერპლნი გახდნენ, რაც, როგორ მოგვიანებით დადგინდა, გადამეტებული და დაუსაბუთებელი იყო.

ჰორსტ კიოლერს თავს დაესხნენ ერთი ფრაზის გამო, როდესაც მან თქვა, რომ საგარეო პოლიტიკა შესაძლებელია, ქვეყნის ეკონომიკურ ინტერესებსაც ითვალისწინებდესო.⁴⁴ მან იმთავითვე ახსნა, რომ გულისხმობდა სომალიელი პირატების მიერ გერმანული გემების ბანდიტურ ძარცვებს, თუმცა პრესაში მას ავლანეთში გერმანიის მისიის ეკონომიკურ მიზეზებთან დაკავშირება დააბრალებს, და, მიუხედავად განმეორებითი ახსნისა, ეს ვერსია პრაქტიკულად ყველა მედიაში მეორდებოდა. კიოლერი გადადგა.

კრისტიან ვულფს გაზეთმა „ბილდ“-მა ("Bild") სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება დასდო ბრალად, რადგან მან მანქანა იაფი განვადებით გამოიტანა და კიდევ ესპანეთში, მეგობრის სახლში, ერთი კვირა ქირის გარეშე იცხოვრა. ეს თემა შემდეგ მთელმა მედიამ აიტაცა. რამდენად წარმოადგენდა ეს ყველაფერი სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას, უნდა დადგენილიყო არსებული რეგულაციების ანალიზის საფუძველზე⁴⁵, თუმცა პრესამ მოვლენების ანალიზი და მათი კანონთან შესაბამისობის შესწავლა საჭიროდ არ ჩათვალა და ქვეყნის პრეზიდენტი კრიტიკის ქარცეცხლში მოაქცია. კრისტიან ვულფმა პროკურატურის მიერ გამოძიების წამოწყებისთანავე დატოვა თავისი პოსტი. პროკურატურა და შემდგომში სასამართლო მას სთავაზობდნენ საქმის დახურვას გარკვეული საჯარიმო თანხის გადახდის სანაცვლოდ, მაგრამ ვულფმა უარით უპასუხა და განაცხადა, რომ მას სურს, სასამართლომ სიმართლე დაადგინოს და იგი სრულად გაამართლოს.

⁴² Volker Boehme-Neßler, Die Medien als Richter? Vocer-Blog, 2012: <https://www.vocer.org/die-medien-als-richter/> (წვდომა 01.08.2024).

⁴³ Uwe Hasebrink, Meinungsbildung und Kontrolle der Medien, bpb (Bundeszentrale für politische Bildung), Medienpolitik: <https://www.bpb.de/themen/medien-journalismus/medienpolitik/172240/meinungsbildung-und-kontrolle-der-medien/#node-content-title-0> (წვდომა 01.08.2024).

⁴⁴ Martin Kriele, Zwischenruf: Die Macht der Medien, Zeitschrift für Rechtspolitik, 1. März 2012, 45. Jahrg., H. 2 (1. März 2012), 53.

⁴⁵ იქვე, გვ. 54: სტატიაში ავტორი ასახელებს ოთხ პუნქტს, რომლებიც უნდა გარკვეულიყო, რათა დადგენილიყო ვულფის ქმედებების შესაბამისობა კანონთან და, შესაბამისად, მისი ბრალეულობის საკითხი. ანალიზს ავტორი ასრულებს სიტყვებით: „ასე იქმნება სკანდალი, რომელიც თავისთავად არ არსებობს“.

სასამართლომ ვულფი გაამართლა, თუმცა სასამართლოს განაჩენმა ვერ გადანონა პრესაში აგორებული სკანდალის⁴⁶ გამო ვულფის და ასევე კიოლერის რეპუტაციისათვის მიყენებული ზიანი. გერმანიის პოლიტიკურ და სამეცნიერო წრეებში ხშირად ისმის სინანული იმის თაობაზე, რომ ამ პრეზიდენტებმა ვერ მოახდინეს თავიანთი, მართლაც დიდი რესურსების რეალიზება ქვეყნის საკეთილდღეოდ და ასე უსახელოდ დაასრულეს თავიანთი მოღვაწეობა.

როგორც მსგავსი დეფამაციის სხვა მსხვერპლი იორგ კახელმანი⁴⁷, რომელსაც ბრალი ედებოდა საკუთარი მრავალწლიანი პარტნიორი ქალბატონის გაუპატიურებისთვის და ხანგრძლივი პროცესის შედეგად გამართლებულ იქნა სასამართლოს მიერ, ამბობს: პროცესში კი გავიმარჯვე, მაგრამ მაინც წავაგეო...

მოგებული კი ამ ბრძოლებში მართლმსაჯულებასა და მედიას შორის ისევე მედიაა...

2003 წელს შვეიცარიის ფედერალური უზენაესი სასამართლოს რამდენიმე მოსამართლეს, მათ შორის თავმჯდომარეს, მარტინ შუბარტსა და ჟურნალისტ მარკუს ფელბერს შორის ურთიერთობა მორიგ ჯერზე დაიძაბა,⁴⁸ როდესაც ჟურნალისტმა „ციურიხის ახალ გაზეთში“ (NZZ) სტატია⁴⁹ დაბეჭდა, სადაც სასამართლოს მიერ გადანყვეტილებების ანონიმიზაციას აკრიტიკებდა და, ამასთან ერთად, სასამართლოს ბრალს სდებდა, მედიასთან თანამშრომლობაზე უარისა და პირადად მისი კრიტიკული შენიშვნების უგულვებლყოფის გამო. მანამდე ის მრავალჯერ აქვეყნებდა ძალზე კრიტიკულ სტატიებს სასამართლოს და, კერძოდ, თავმჯდომარე შუბარტის მიმართ. მაგალითად, ხელახალი არჩევის პერიოდში ახასიათებდა მას, როგორც თავშეუკავე-

ბელ ავტორიტარულ და უსამართლო თავმჯდომარეს. 2003 წელს სასამართლოს დერეფანში გავლისას შუბარტმა იქვე მდგარ ფელბერს სახეში შეაფურთხა. ამ მოვლენის გამო სასამართლომ დაუყოვნებლივ ოფიციალურად დაგმო შუბარტის საქციელი და მისგან დისტანცირება მოახდინა. 2004 წლის ივნისში შუბარტი გადადგა.

რასაკვირველია, მოსამართლის მხრიდან მსგავსი უპრეცედენტო საქციელი სრულიად დაუშვებელი და მიუღებელია, მიუხედავად იმისა, თუ რა ისტორია და მოვლენები უძლოდა მას წინ. ამავდროულად, ეს შემთხვევა იმის მაგალითია, თუ რამდენად ღრმა და, ზოგ შემთხვევაში, დაუძლეველი შეიძლება იყოს კონფლიქტი მართლმსაჯულებასა და მედიას შორის.

ანგლოსაქსურ სამართალში სასამართლო პროცესების ირგვლივ არამართებული და მიკერძოებული ინფორმაციის გავრცელებამ («contempt of court», რაც ნიშნავს სასამართლოსადმი უპატივცემულობას) შესაძლებელია, სამართლებრივი დევნა და სასჯელიც კი გამოიწვიოს ამ ინფორმაციის გამავრცელებლების მიმართ.⁵⁰ ეს წესი მონოდებულია, რათა უზრუნველყოს სამართლიანი სასამართლო, დაიცვას მოსამართლის დამოუკიდებლობა, და, განსაკუთრებით, თავიდან აიცილოს მსაჯულებასა და პროცესის სხვა მონაწილეებზე გავლენის მოხდენა საზოგადოების და, პირველ რიგში, მედიების მხრიდან. ამ რეგულაციის მიხედვით, შეიძლება აიკრძალოს პუბლიკაციები, და ცალკეული მედიები გასამართლდეს კიდევაც ამ რეგულაციით დადგენილი წესების დარღვევის გამო.

კონტინენტურ-ევროპული სამართლის წარმომადგენლების აზრით, ბრიტანული კანონმდე-

⁴⁶ Peter Seybold, Horst Köhler und die „freien Handelswege“, Hamburg 2012.

⁴⁷ Michael Borgers, Lehren aus dem Kachelmann-Prozess, Deutschlandfunk, Justiz und Medien, 30.05.2021.

⁴⁸ Untersuchung von besonderen Vorkommnissen am Bundesgericht, Bericht der Geschäftsprüfungskommissionen des Nationalrates und des Ständerates, 6. Oktober 2003: BBI 2004 5647(admin.ch), 5673; იხ. ასევე Regina Kiener, Die Abberufung eines Bundesrichters. Richterliche Unabhängigkeit am Wendepunkt?: Kiener Regina_Die Abberufung eines Bundesrichters_Richterliche Unabhängigkeit

am Wendepunkt_NZZ_030313 (2).pdf. (წვდომა 01.08.2024).

⁴⁹ Bestätigte Schuldsprüche wegen Bestechung. Drei Nichtigkeitsbeschwerden in der Wirteaffäre abgewiesen: https://jusletter.weblaw.ch/jus-lissues/2000/78/_600.html__ONCE&login=false . (წვდომა 01.08.2024).

⁵⁰ Thommen, Marc; Müller, Georg Unabhängigkeit versus Öffentlichkeit der Justiz, in: Justiz und Öffentlichkeit. Justice et public, Band 7, 2007, 35; Franz Zeller. Zwischen Vorverurteilung und Justizkritik, Diss. Bern 1998.

ბლობა ამ კუთხით ძალზე შორს მიდის, და გამოხატვის თავისუფლების უფლებას ავინროებს. კონტინენტური ევროპის ქვეყნები უარს ამბობენ მსგავს ინსტრუმენტზე იმ დასაბუთებით, რომ მართლმსაჯულების კონტროლი მედიებისა და საზოგადოების მხრიდან არ უნდა შეიზღუდოს და მედიების თვითკონტროლი საკუთარი ეთიკური ნორმების დაცვით მის ობიექტურობას უნდა უზრუნველყოფდეს. გაზეთ **Sunday Times**-ის ცნობილ საქმეში ბრიტანეთის წინააღმდეგ⁵¹ სტრასბურგის სასამართლომ **ინტერესი, საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციების გავრცელების თაობაზე, მართლმსაჯულების ფუნქციებში შეჭრისა და პროცესის მონაწილეებზე ზეგავლენის მოხდენის საფრთხის აცილების ინტერესზე უფრო მაღლა დააყენა**. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ეს გადანყვეტილება სასამართლოს პრაქტიკაში ხმათა იშვიათი თანაფარდობით იქნა მიღებული: 11 ხმა 9-ის წინააღმდეგ.

პრესისა და საზოგადოების ტელევიზიის და ინტერნეტის მიერ ბოლო ათწლეულებში გაჩენილმა, ინფორმაციის გავრცელების პრაქტიკულად უსაზღვრო შესაძლებლობებმა, უფრო ხარისხიანი ინფორმაციის მიწოდება კი არ გამოიწვია, არამედ, პირიქით, სულ უფრო მზარდი კონკურენციის ფონზე მიგვიყვანა მაქსიმალურად მოკლე, დაძაბული, სკანდალური შინაარსით დატვირთულ პუბლიკაციებამდე, რაც არ ითვალისწინებს საკითხის საფუძვლიან გარკვევას და განმარტებითი ინფორმაციის მიწოდებას.⁵² ცხადია, რომ ამ პროცესებს გაკონტროლება სჭირდება, თუმცა ვინ უნდა გააკონტროლოს მედია? მაკონტროლებელი ფუნქცია ხომ თავად მედიას

აქვს? გერმანელი პროფესორი კრილე თვლის, რომ მედიების მიერ მედიის გაკონტროლება შეუძლებელია და მოცემული პრობლემა ქვეყნის დემოკრატიის პოლიტიკური კულტურის პრობლემაა. „ჩვენმა მედიებმა გაიმარჯვეს ძალაუფლებისათვის ბრძოლაში, თუმცა მათ არ აქვთ მორალური თვითკმაყოფილების საფუძველი“, – წერს ის.⁵³

გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლო თავის 1960 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილებაში აყალიბებს მოთხოვნას მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების მიმართ, და მოუწოდებს მათ, დაიცვან შინაარსობრივი წონასწორობის, პროფესიონალიზმისა და ურთიერთპატივისცემის მინიმალური სტანდარტები.⁵⁴

3. მედიის ინტერესი vs. მართლმსაჯულების ინტერესი

ზემოთ უკვე ვახსენეთ მედიებისა და მართლმსაჯულების ურთიერთობის პრობლემატიკა, როდესაც მედიების მიერ მოვლენების პროფესიონალურად გაშუქებაზე ვსაუბრობდით. თუმცა ეს არა მხოლოდ მართლმსაჯულებას, არამედ პოლიტიკასაც და ცხოვრების სხვა სფეროებისა და მედიების ურთიერთობასაც ეხება. მედიას თავისი მოტივაცია აქვს მოვლენების შესწავლა-შეფასებისა და მათი გაშუქების პროცესში. მართლმსაჯულებასა და მედიებს სხვადასხვა მიზანი ამოძრავებთ. მართლმსაჯულების მიზანია, ხშირად რთული და ჩახლართული საქმეების შესწავლა და ამოხსნა, სიმართლის დადგენა და სამართლებრივი მშვიდობის დამყარება.

⁵¹ ECHR *Sunday Times vs. The United Kingdom*, 26 April 1979: THE SUNDAY TIMES v. THE UNITED KINGDOM (No. 1) (coe.int) საქმე ეხებოდა ერთ-ერთი ფარმაკოლოგიური კომპანიის მიერ წარმოებული, ჩვილებისთვის განკუთვნილი დამამშვიდებელი მედიკამენტის „კონტურგანის“ გამო აღძრულ პროცესებზე მიღებულ გადაწყვეტილებებს. გაზეთი აკრიტიკებდა გადაწყვეტილებებს და მიიჩნევდა, რომ დაწესებული კომპენსაციები მშობლების სასარგებლოდ არაადეკვატური იყო და ითხოვდა დეტალური დოკუმენტაციის გამოქვეყნებას. პროკურატურამ სტატის აკრძალვა დაუნწესა, რაც მოგვიანებით დადასტურებულ იქნა ლორდთა პალატის მიერ, რომელმაც ჩათვალა, რომ ჟურნალისტური პუბ-

ლიკაციები ცდილობენ, გავლენა მოახდინონ განაჩენზე, თავის თავზე იღებენ მოსამართლის ფუნქციას, რაც წარმოადგენს დაუშვებელ „საგაზეთო სასამართლოს“ (trial by newspaper).

⁵² *Ina Hunecke, Cui bono? Gerichtsberichterstattung und ihre Auswirkungen. Litigation PR und Schlagzeilenjournalismus als Gefahr für den Rechtsstaat?* In: *Neue Kriminalpolitik*, 2011, Vol. 23, No. 3 (2011), 96.

⁵³ *Martin Kriele, Zwischenruf: Die Macht der Medien, Zeitschrift für Rechtspolitik*, 1. März 2012, 45. Jahrg., H. 2 (1. März 2012), 55.

⁵⁴ BVerfGE 12, 205 - 1. Rundfunkentscheidung: DFR - BVerfGE 12, 205 - 1. Rundfunkentscheidung (unibe.ch), P. 10, Rn 182. (წვდომა 01.08.2024).

ამისთვის მას სჭირდება არა დრამები და ემოციები, არამედ, პირიქით, სიმშვიდე და მოთმინება, ფაქტების ზედმინევენით დადგენა და კანონის ნორმების შესწავლა, ანალიზი და მათი სუბსუმცია.

მედიების მიზანი კი არის სულ უფრო გამწვავებული ეკონომიკური კონკურენციის პირობებში თავის გატანა. მედიებისთვის მთავარია მკითხველის ან მაყურებლის ყურადღების მიპყრობა. მეტი ყურადღება ნიშნავს მეტ კვოტას, მეტ ტირაჟს და, შესაბამისად, მეტ შემოსავალს. მედიების გაშუქების ცენტრში ამიტომ არის ისტორიები, დრამები, სკანდალები,⁵⁵ კონფლიქტები – ერთი სიტყვით, ემოციები, რომლებიც მათ მიმართ ყურადღების გაზრდას უზრუნველყოფენ.

ერთ-ერთ კვლევაში ასეთ საინტერესო დახასიათებასაც ვხვდებით: „მართლმსაჯულების საწყისი ინტერესი არის სამართალი, მედიების საწყისი ინტერესი კი არის უსამართლობა“.⁵⁶ მედიები წარმოადგენენ პათოლოგიებს არა იმიტომ, რომ ადამიანებში სამართლიანობის მიმართ მგრძობიარობა გაზარდონ, არამედ იმისთვის, რომ მათში ემოციები აღძრან.

დასახელებული ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორებიდან გამომდინარე, არ უნდა ველოდოთ მედიებისგან ინფორმაციების მაინცდამაინც აკურატულად შესწავლას და მათ ზედმინევენით ობიექტურად გაშუქებას.⁵⁷

ჩვენს ნაშრომში, ძირითადად, გერმანულ და შვეიცარიულ სამართალს ვეყრდნობით, რომელიც ევროპულ-კონტინენტური სამართლის ნაწილს წარმოადგენს, და რადგანაც საქართვე-

ლოც ამ სამართლის წრეს მიეკუთვნება, ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია. თუმცა ანგლოსაქსონური სამართლის ქვეყნებშიც მსგავს შეფასებებს ვხვდებით, მიუხედავად ამ სფეროში არსებული გარკვეული განსხვავებებისა (ამაზე უფრო დანვრილებით ქვემოთ): ბრიტანული პუბლიკაციების ავტორების უმეტესობაც საუბრობს პრესისა და სასამართლოს ინტერესების განსხვავებულობაზე: „ის, რაც საინტერესოა ადვოკატებისთვის და მოსამართლეებისთვის, შეიძლება, ნაკლებად მიმზიდველი იყოს პუბლიკისტებისთვის“.⁵⁸

4. ახდენს თუ არა საზოგადოებისა და მედიების აზრი და მოლოდინები გავლენას მოსამართლეზე?

მედიების ზეგავლენა მართლმსაჯულებაზე, მკვლევართა აზრით, საკმარისად შესწავლილი არ არის,⁵⁹ განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ეს ურთიერთობა მუდმივი განვითარების პროცესშია, რაც, ძირითადად, მედიების გავლენის ზრდას გულისხმობს, კომუნიკაციის საშუალებების მიერ საზოგადოების დაპყრობასა და ინფორმაციების სწრაფ გავრცელებასთან ერთად. სხვადასხვა ემპირიული კვლევის შედეგებმა აჩვენეს, რომ მოსამართლეები, დიახაც, ექვემდებარებიან საზოგადოებრივი აზრის გავლენას, რადგან ისინიც, რა თქმა უნდა, ჩართულნი არიან არსებულ საზოგადოებრივ გარემოში და მის ნაწილს წარმოადგენენ. გერმანიაში 1996 და 2000 წლებში ჩატარებული გამოკითხვების შედეგად მოსამართლეთა და პროკურორთა თითქმის ნახევარი აღიარებდა, რომ ისინი

⁵⁵ Ina Hunecke, Cui bono? Gerichtsberichterstattung und ihre Auswirkungen. Litigation PR und Schlagzeilenjournalismus als Gefahr für den Rechtsstaat? In: Neue Kriminalpolitik, 2011, Vol. 23, No. 3 (2011), 96; იხ. ასევე: Volker Boehme-Neßler, Die Medien als Richter? Vocer-Blog: <https://www.vocer.org/die-medien-als-richter/>. (წვდომა 01.08.2024).

⁵⁶ Kepplinger, Zerback, 4.

⁵⁷ Sandra Pöschl, Nicola Döring, Der Einfluss von Medien auf Gerichtsverfahren - Ein Forschungsüberblick aus kommunikationswissenschaftlicher und psychologischer Perspektive, in: Frank Fechner (Hrsg.), Zeugenbeeinflussung durch Medien - Philosophische, psychologische und

juristische Gedanken zu einem Aspekt der „Litigation-PR“, Medienrechtliche Schriften, Band 9, Münster 2012, 110: <https://d-nb.info/102380347X/34> (წვდომა 09.08.2024).

⁵⁸ Kelli Sager, Matthew Leish, In Defense of Public Trials, Litigation, 2003, Vol. 29, No. 4, 56: <https://www.jstor.org/stable/29760378>. (წვდომა 01.08.2024).

⁵⁹ Rudolf Gerhardt, Die Richter und das Medienklima: Welchen Einfluss hat die Gerichtsberichterstattung in den Medien auf das Strafverfahren und das Urteil? Zeitschrift für Rechtspolitik, 2009, 42. Jahrg., H. 8, 247.

თავინთი გადაწყვეტილებების მიღებისას ფიქრობენ საზოგადოების რეაქციაზე. ერთ-ერთმა რესპონდენტმა, რომელსაც ამასთან დაკავშირებით კითხვა დაუსვეს, უპასუხა: „მოსამართლეებიც ხომ მხოლოდ ადამიანები ვართ“.⁶⁰ გერმანიის ქალაქ დიუსელდორფის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე ბრიგიტე კოპენჰოფერი, რომელიც ცნობილია როგორც მრავალი მაღალი საზოგადოებრივი ინტერესით დატვირთული საქმის მოსამართლე, ამბობს, რომ მედიების ზეგავლენა მოსამართლეებზე უეჭველია, და ამ ფაქტის არ აღიარება სახიფათოც კი არის მართლმსაჯულებისთვის. ის იხსენებს, რომ გერმანიის ფედერალური უმაღლესი სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილების გამოცხადებისას პალატის თავმჯდომარემ ასე დაიწყო თავისი სიტყვა: „მიუხედავად საზოგადოებრივი წნეხისა... მივიღეთ გადაწყვეტილება...“.⁶¹

2006 წელს გერმანიაში ისევ ჩატარდა მოსამართლეთა ანონიმური გამოკითხვა იმის დასადგენად, თუ რა გავლენას ახდენს მოსამართლეებისა და პროკურორების მუშაობაზე მედიებში სასამართლო პროცესების გაშუქება.⁶² მოსამართლეთა ნახევარზე მეტი (55%) თვალყურს ადევნებს მედიაში მათ მიერ წარმოებული პროცესების გაშუქებას, აქედან მოსამართლეთა 63% თვლის, რომ გაშუქება ნაწილობრივ სწორი, ნაწილობრივ დამახინჯებული იყო, ამ მოსამართლეთა თითქმის ნახევარი კი (49%) თვლის, რომ არასწორად იყო წარმოდგენილი გარემოებები, რომლებზეც მოსამართლეს გავლენა არ გააჩნია. საბოლოო ჯამში, მოსამართლეები ადასტურებენ მედიების გავლენას განსაკუთრებით სისხლის სამართლის პროცესზე და ამბობენ, რომ ეს გავლენა, პირველ რიგში, სასამართლო დარბაზში არსებულ ატმოსფეროს აყალიბებს, თუმცა ასევე მთლიანად პროცესის წარმართვასა და სასჯელის ზომაზეც ახდენს ზეგავლენას (25%).⁶³

ინგლისელი მკვლევრებიც იმავე შედეგამდე მიდიან – მედიების მიერ გაშუქება სასამართლო პროცესის დაწყებამდე სასამართლოზე გავლენას ახდენს. ერთ-ერთ კვლევაში, რომელიც განსაკუთრებულად სისხლის სამართლის საქმეებს ეხებოდა, და რომლის მეთოდიკა დიდი რუდუნებითა და მრავალმხრივი შემოწმებების შედეგად შემუშავდა, შეისწავლეს, მედიების ყურადღების ინტენსივობა რა გავლენას ახდენს განაჩენის სიმკაცრეზე. კვლევა სამი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა და სწავლობდა გახმაურებული მკვლევარების საქმეებს. შედეგად დადგინდა, რომ, რაც უფრო ინტენსიურად ხდება მედიების მიერ პროცესის გაშუქება და რაც უფრო მეტია საზოგადოებრივი ინტერესი კონკრეტული საქმისადმი, მით უფრო მკაცრი განაჩენია მოსალოდნელი.⁶⁴

2018 წელს კლიმატის აქტივისტთა ჯგუფი შვეიცარიული ბანკის, Credit Suisse-ის, ლოზანის ფილიალში შეიჭრა, რათა გაეპროტესტებინათ ბანკის მიერ მთელ მსოფლიოში წარმოებული გარიგებები, როგორც გარემოსთვის საზიანო საქმიანობა. საქმე, კერძო საკუთრების ხელყოფის ბრალდებით, სასამართლოში მოხვდა. ლოზანის სასამართლოს დარბაზი უკანასკნელ ადგილამდე შევსებული იყო კლიმატის დაცვის აქტივისტებითა და მათი მომხრეებით, იქვე იმყოფებოდნენ პრესის წარმომადგენლები და აქტივისტების 13 ადვოკატი. დარბაზში სუფევდა ერთიანი განწყობა, რომელიც კლიმატის ცვლილების შესახებ იმ დროს საზოგადოებაში ძალზე აქტიური დებატებით და მომხდარი შემთხვევის ირგვლივ მედიების განცხადებებით იყო გაძლიერებული. ძნელი წარმოსადგენი არაა, რამხელა წნეხის ქვეშ იმყოფებოდა მოსამართლე ფილიპ კოლელუ, რომელმაც მრავალსაათიანი განხილვის შემდეგ თორმეტი ბრალდებული დარბაზშივე გაათავისუფლა.⁶⁵ ამ გადაწყვეტილებას იურისტების გაკვირვება და სერიოზული კრიტიკა

⁶⁰ იქვე, 248.

⁶¹ Justiz und Medien - Lehren aus dem Kachelmann-Prozess (deutschlandfunk.de) (წვდომა 01.08.2024).

⁶² Kepplinger, Zerback (სქოლიო 31), 9.

⁶³ იქვე, გვ. მე-15 და მომდევნო; იხ. ასევე Gerhardt, Die Richter und das Medienklima (სქოლიო 59), 248.

⁶⁴ Jon Bruschke, William E. Loges, Relationship Between Pretrial Publicity and Trial Outcomes in: Journal of Communication, Volume 49, December 1999, 104–120: <https://doi.org/10.1111/j.1460-2466.1999.tb02819.x>. (წვდომა 01.08.2024).

⁶⁵ Daniel Gerny, Die Angst der Richter vor der öffentlichen Meinung – wie die politische Stimmung die Rechtsprechung beeinflusst, NZZ 05.02.2020:

მოჰყვა, თუმცა მას სწორედ მოსამართლის საზოგადოებრივი აზრისა და არსებული მოლოდინების მიმართ შიშით ხსნიდნენ. და მართლაც, საბოლოო ჯამში, ეს გადანყვეტილება მეორე და მესამე ინსტანციის სასამართლოებმა გააუქმეს და საქმე ბანკმა მოიგო.⁶⁶ ამ შემთხვევამ კიდევ ერთხელ ცხადყო არსებული პრობლემა და ისევ გააჩინა კითხვა, რამდენად ახდენს ზეგავლენას არსებული პოლიტიკური განწყობა მართლმსაჯულებაზე.

როგორც ვხედავთ, იმ არსებული – თუნდაც შედარებით მცირე – მასალებიდან, რომლებიც მედიასა და მართლმსაჯულებას შორის ურთიერთობას ეხება, ევროპული ქვეყნების გამოცდილება გვაჩვენებს, რომ სულ უფრო მეტად ისმის კრიტიკა მედიების მიმართ და ნუხილი იმის თაობაზე, რომ მედიები სულ უფრო მეტ ძალაუფლებას იძენენ საზოგადოებაში და ზეგავლენას ახდენენ მოსამართლეებზე. თუმცა, გერმანიის მაგალითზე, გამოკითხვების შედეგად დადგინდა, რომ მოსამართლეთა და პროკურორთა 64% შეეგუა მედიების მხრიდან არსებულ მუდმივ კრიტიკას⁶⁷. ეს უდავოდ პოზიტიური ფაქტორია, რადგან ამით იქმნება იმის წინაპირობა, რომ მოსამართლე აღარ აღიქვამს მწვავედ მის მიმართ გამოთქმულ კრიტიკას ან ფაქტების დამახინჯებულ აღწერას, და შეძლებს გაუძლოს საზოგადოებრივ წნეხს, შეინარჩუნოს თავისი შინაგანი დამოუკიდებლობა და მიიღოს ისეთი გადანყვეტილებები, რომლებიც, შესაძლებელია, არ იქნეს მოწონებული⁶⁸ არსებულ პოლიტიკურ ფონზე. იმავდროულად, ვაღიარებთ, რომ ეს საკმაოდ რთული ამოცანაა და მოსამართლის განსაკუთრებულ შინაგან სიძლიერეს მოითხოვს.

5. კომუნიკაცია სასამართლოსა და საზოგადოებას შორის

აშკარაა, რომ მედიების ზეწოლა მოსამართლეებსა და სასამართლო პროცესებზე იმატებს

მომავალშიც – როგორც რაოდენობრივად, ასევე ხარისხობრივად, და სულ უფრო რთული იქნება მოსამართლის მიერ საკუთარი დამოუკიდებლობის შენარჩუნება.⁶⁹ სწორედ ამიტომ არის ძალზე მნიშვნელოვანი, რომ მართლმსაჯულებამ კარგად გააცნობიეროს და გაიაზროს საჯაროობის ძალა და ზემოქმედება, რათა შეძლოს, მას საკუთარი დამოუკიდებლობა და პროფესიონალიზმი დაუპირისპიროს.

როგორც ჩანს, არსებული გამოცდილების და, პირველ რიგში, მედიასა და მართლმსაჯულებას შორის არსებული განსხვავებები, მათ მიზნებსა და მეთოდებში, მათ შორის დაპირისპირებას გარდაუვლად აქცევს. მიუხედავად ამისა, უნდა ვიფიქროთ გამოსავალზე და ამ მოცემულობის საუკეთესოდ გამოყენების შესაძლებლობებზე. იქნებ შესაძლებელია, მედიებს „დავასწროთ“ მათ მიერ კონკრეტულ სასამართლო საქმეებთან დაკავშირებული მოვლენების ინტერპრეტაციაში, ობიექტური, არგუმენტირებული ინფორმაციის მიწოდებით, და – რაც უაღრესად მნიშვნელოვანია საქართველოს შემთხვევაში – ასევე სასამართლო სისტემის შიგნით მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით?

5.1 გადანყვეტილებების „თარგმნა“ საზოგადოებისთვის

თუ კომუნიკაცია მედიასა და სასამართლოს შორის გარდაუვალია, და თუ გვინდა, გავლენა მოვახდინოთ სასამართლოს შესახებ საზოგადოებაში შექმნილ წარმოდგენაზე, მაშინ აშკარაა, რომ – ზემოთ მოყვანილი გამოცდილებებიდან და მოსაზრებებიდან გამომდინარე – უნდა მოხდეს აქამდე არსებული კომუნიკაციის ფორმების სიღრმისეული გადახედვა და ახლებურად ჩამოყალიბება. საჯარო კომუნიკაციისას მართლმსაჯულების მთავარი ამოცანა უნდა იყოს, საკუთარი საქმიანობისადმი საზოგადოებაში

<https://www.nzz.ch/schweiz/die-angst-der-richter-vor-der-oeffentlichen-meinung-wie-der-mediale-druck-die-rechtsprechung-beeinflusst-ld.1537591>. (წვდომა 01.08.2024).

⁶⁶ Urteil des Bundesgerichts - Credit Suisse setzt sich gegen Klimaaktivisten durch | Tages-Anzeiger (tagesanzeiger.ch). (წვდომა 01.08.2024).

⁶⁷ *Kepplinger, Zerbak*, 13.

⁶⁸ *Schmitt* (სქოლიო 4), 221.

⁶⁹ *Volker Boehme-Neßler*, Die Medien als Richter? Vocer-Blog, 2012: <https://www.vocer.org/die-medien-als-richter/>. (წვდომა 01.08.2024).

ნდობა, გაგება და მიმღებლობა მოიპოვოს – ანუ საკუთარი მოღვაწეობა უფრო გასაგები გახადოს საზოგადოებისთვის და თავიდან აიცილოს ნეგატიური ან არასწორი წარმოდგენების შექმნა.⁷⁰ ეს ეხება განსაკუთრებით მაღალი საზოგადოებრივი ინტერესისა და მნიშვნელობის მქონე სასამართლო გადაწყვეტილებებს: როგორც ნესი, ასეთ გადაწყვეტილებებს რთული სამართლებრივი არგუმენტაცია უდევს საფუძვლად, და ამიტომ ისინი არაიურიდიულ საზოგადოებას გასაგები ენით ჩამოყალიბებული უნდა მიეწოდოს,⁷¹ და თანაც, მისთვის განმარტებული უნდა იყოს გადაწყვეტილების მიღების მოტივები და შესაძლო შედეგები. რასაკვირველია, ამას მოსამართლისათვისაც დიდი მნიშვნელობა აქვს: მოსამართლეს ხომ „მხოლოდ ადამიანია“, და მას ურჩევნია, რომ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გაგებულ და მიღებულ იქნეს საზოგადოებაში, რა თქმა უნდა, მასაც უხარია ქება და აღიარება, და მასაც გააჩნია, როგორც ნებისმიერ ადამიანს, პატივმოყვარეობა. ასევე, მედიებიც დაინტერესებული უნდა იყვნენ კვალიფიციური და დასაბუთებული ინფორმაციის მიწოდების შედეგად საზოგადოებაში მათ მიმართ ნდობის გაზრდით, რაც, საბოლოო ჯამში, მათთვის ეკონომიკურადაც გამართლებული იქნება.

5.2 სასამართლოს პრესსამსახური

ხმის მიწოდება საზოგადოებისთვის და მისთვის მართლმსაჯულების საქმიანობის „თარგმნა“ ისევ მედიების საშუალებით უნდა მოხდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლოსა და მედიებს შორის კონსტრუქციული, ეფექტიანი და

ურთიერთპატივისცემაზე აგებული თანამშრომლობა უნდა აენციოს. ამის გარდაუვალ საჭიროებას ევროპის წამყვანი ქვეყნების მართლმსაჯულების წარმომადგენლებიც ხაზს უსვამენ. გერმანელი მოსამართლე, ბრემენის მიწის უმაღლესი სასამართლოს და მოსამართლეთა გაერთიანების თავმჯდომარე ვოლფგანგ არენჰოველი გერმანული სამართლის პოლიტიკის ჟურნალში დაბეჭდილ ერთ-ერთ სტატიაში, რომლის სახელწოდებაცაა „სასამართლო გადაწყვეტილებების, მოსამართლეებისა და პროკურორების მიმართ უსაგნო და დამამცირებელი კრიტიკა სულ უფრო მატულობს“⁷² ამბობს, რომ მუდმივი, კარგი თანამშრომლობა ჟურნალისტებთან სასამართლოს ფუნქციონირების განუყოფელი ნაწილი უნდა იყოს.⁷³ იგი ასევე თვლის, რომ მნიშვნელოვანი სასამართლო გადაწყვეტილებები საზოგადოებაში მომზადებულ უნდა იქნენ, რომ მოქალაქეებს უნდა ავუხსნათ, რატომ ვიღებთ ამა თუ იმ გადაწყვეტილებას გარკვეულ საკითხებზე, და რა მნიშვნელობა აქვს ამ გადაწყვეტილებებს სამართლებრივი სახელმწიფოსთვის.⁷⁴

ვინ უნდა ითავოს კომუნიკაციის ეს ფუნქცია სასამართლოსა და საზოგადოებას შორის მართლმსაჯულების მხრიდან?

არსებობს მოსაზრებები იმის თაობაზე, რომ აუცილებელია სასამართლოსთან მიმაგრებული ჟურნალისტების სპეციფიკური გადამზადება, მათზე რედაქციების მხრიდან პოლიტიკური ან ეკონომიკური მოტივებით ზეგავლენის მოხდენისგან დაცვის უზრუნველყოფა.⁷⁵ საუბარია ასევე სადავო ან განზრახ არასწორი ინფორმაციების მოწოდებისას მკითხველების, მსმენელების ან სხვა დაინტერესებული პირების მიერ შესაბამისი პუბლიკაციის გაპროტესტების შე-

⁷⁰ *Eliane Welte*, *Strafjustiz vs. Medien und Öffentlichkeit - zwei Akteure mit gegensätzlichen Interessen*, in: *Die juristische Open-Access Zeitschrift*, 2017: Anzeige von Strafjustiz vs. Medien und Öffentlichkeit – zwei Akteure mit gegensätzlichen Interessen | sui generis (sui-generis.ch). (წვდომა 01.08.2024).

⁷¹ *Schmitt* (სქოლიო 4), 221.

⁷² *Wolfgang Arenhövel*, *Unsachliche, herabsetzende Kritik an Urteilen, Richtern und Staatsanwälten nimmt zu. Aber die Justiz kommt in den Medien besser weg als die Politik*, in: *Zeitschrift für Rechtspolitik*, 37. Jahrg., Heft 2, 2004.

⁷³ იქვე, 62.

⁷⁴ *Wolfgang Arenhövel*, *Wichtige Urteile sollten in der Öffentlichkeit vorbereitet werden - Die Kommunikation der Justiz mit den Medien ist besser geworden, aber noch nicht gut*, in: *Zeitschrift für Rechtspolitik*, 38. Jahrg., Heft 2, 2005, 69.

⁷⁵ *Ina Hunecke*, *Cui bono? Gerichtsberichterstattung und ihre Auswirkungen. Litigation PR und Schlagzeilenjournalismus als Gefahr für den Rechtsstaat?* In: *Neue Kriminalpolitik*, 2011, Vol. 23, No. 3 (2011), 96.

საძლებლობის გამარტივებაზე, მედიების მიმართ სანქციების შემოღებაზე მრავალჯერადი დარღვევის შემთხვევაში – ანუ მედიებზე კონტროლის გაძლიერებაზე და ა. შ.

თუმცა ყველაზე ეფექტურად ითვლება ჰოლანდიაში არსებული მოდელი, სადაც ყოველ სასამართლოს ჰყავს თავისი პრესსპიკერი, რომელიც თავად მოსამართლეა, და მასთან ერთად მუშაობს პროფესიონალური განათლების მქონე კომუნიკაციის სპეციალისტი.⁷⁶ მათი მჭიდრო თანამშრომლობით ხდება კომუნიკაცია საზოგადოებასთან და კონკრეტულ მედიებთან, რაც განაპირობებს საგნობრივად დასაბუთებულ და გასაგებად ჩამოყალიბებული ინფორმაციების გასაჯაროებას მნიშვნელოვანი სასამართლო საქმეებისა და, ზოგადად, სასამართლო სისტემის ირგვლივ.

როგორც ვნახეთ, ევროპის განვითარებული ქვეყნების მასშტაბითაც კი მოსამართლის გამოხატვის თავისუფლების, სასამართლოს და მედიების ურთიერთობის საკითხები საკმაოდ რთულ და პრობლემატურ სფეროებს წარმოადგენენ. შესაბამისად, გასაკვირი არაა, რომ საქართველოში, ქვეყანაში, რომელიც ჯერ კიდევ დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების პატივისცემით განმსჭვალული საზოგადოების აშენების გზაზეა, ეს საკითხები კიდევ უფრო დიდ გამოწვევას წარმოადგენს.

სასამართლოსადმი საზოგადოების მხრიდან ნდობის ჩამოყალიბება რთული პროცესია, მისი დანგრევა კი ძალზე ადვილია. იქნებ მართლმსაჯულებასა და მედიებს შორის სწორი, გააზრებული კომუნიკაციის სისტემის არსებობა საქართველოში აგვაცილებდა თავიდან, მაგ., რუსეთის 2-ის საქმის მოსამართლეების, განსაკუთრებით პირველი ინსტანციის მოსამართლის რეპუტაციის შელახვას და მის – როგორც შემდგომში სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგინდა – სრულიად უსამართლოდ საჯაროდ გალანძღვას ყველა სახის მედიაში?⁷⁷ ან

იქნებ ამ პრინციპებზე დაფუძნებული კვალიფიციური, არგუმენტირებული კომუნიკაცია საზოგადოებასა და მედიასთან უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებად კონკრეტული კანდიდატების არჩევასთან დაკავშირებით უფრო დადებით შედეგებს გამოიღებდა და არ მიგვიყვანდა იმ მოცემულობამდე, რომ დღესაც მოსამართლეთა ვაკანტური ადგილები ჯერ კიდევ დიდწილად არაა შევსებული⁷⁸, რაც მოქმედი მოსამართლეების, ქრონიკულად გადატვირთვის პირობებში, საქმეების განხილვის გაჭიანურებას იწვევს?

დასკვნა

მართლმსაჯულება საზოგადოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბურჯია, მას ჰაერივით ესაჭიროება აღიარება და საზოგადოების ნდობა („Justice should not only be done, but should ... be seen to be done“). მოსამართლეს გააჩნია გამოხატვის უფლება, ამ უფლების გამოყენებისას იგი შეზღუდულია სასამართლოს რეპუტაციისადმი ზიანის მიყენებისა და საკუთარი დამოუკიდებლობის მიმართ შესაძლო ეჭვების გაჩენის გამო. მოსამართლის და, ზოგადად, სასამართლო სისტემის მიზანი უნდა იყოს, საზოგადოებამდე მიიტანოს გადაწყვეტილებების მიღების მოტივები და გააძლიეროს ნდობა სასამართლოს მიმართ. ამ მიზნის მისაღწევად საზოგადოებრივი განვითარების დინამიკისა და მასობრივი კომუნიკაციის გამარტივებისა და აჩქარების გათვალისწინებით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნებოდა მართლმსაჯულების მხრიდან მედიასთან, რომელიც სულ უფრო მეტად განაპირობებს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას და მის მართვას, ახლებური, კონსტრუქციული ურთიერთობის დამყარება და მისთვის, როგორც სასამართლოსა და საზოგადოებას შორის „შუამავლისათვის“, ობიექტური და დასაბუთებული ინფორმაციის მიწოდება სასამართლო სისტემაში არსებულ პროცესებთან დაკავშირე-

⁷⁶ Justiz und Medien - Lehren aus dem Kachelmann-Prozess (deutschlandfunk.de) (წვდომა 01.08.2024).

⁷⁷ ლია შატბერაშვილი, კობა ყალიჩავა, სასამართლოს დამოუკიდებლობის ძირითადი ასპექტები ევროინტეგრაციის კონტექსტში: შედარებითი ანალიზი: საჯარო სამართლის ჟურნალი, თსუ, 1/2023, 135-ე და მომდევნო

გვერდები. https://journalofpubliclaw.tsu.ge/img/sajaro-samartlis-Jurnali_1-2023.pdf (წვდომა 01.08.2024).

⁷⁸ <https://courtwatch.ge/articles/vakanturiadgilebisasamartloshi/#1> (წვდომა 01.03.2024).

ბით. ეს კომუნიკაცია, სასამართლოსადმი ნდობის გაძლიერების გარდა, ასევე შესაძლებლობას მისცემდა მართლმსაჯულებას, გამოიყენოს

მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები ეროვნული სამართლისა და კანონის უზენაესობის პრინციპების აღქმისა და აღიარებისთვის.

საქართველოში მიმდინარე დავის წარმოების შეჩერება უცხო ქვეყნის არბიტრაჟის მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე

პროფ. დოქ. ნუნუ კვანტალიანი
თსუ, გრ. რობაქიძის უნივერსიტეტი

I. შესავალი

ქვემოთ მოცემული ტექსტი შეეხება საკითხს, ვალდებულია თუ არა სასამართლო, სსკ-ის 279 დ) მუხლის საფუძველზე, შეაჩეროს საქართველოში მიმდინარე დავის წარმოება საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო სარჩელის საფუძველზე დაწყებულ საარბიტრაჟო დავაზე გადაწყვეტილების მიღებამდე.

II. განსასჯელი ფაბულა

ფაქტობრივი გარემოებები: შპს „კომპანია 2“ საქართველოში დაფუძნდა 2014 წელს, რომლის მფლობელი/პარტნიორი იყო შპს „კომპანია 4“. „კომპანია 4“-ის ერთადერთი პარტნიორი კი იყო და არის ფიზიკური პირი. 2018 წელს „კომპანია 4“-მა საქაატენგში დაარეგისტრირა 4 სასაქონლო ნიშანი (შემდეგში „სადავო ინტელექტუალური საკუთრება“). 2018 წლის მაისიდან „კომპანია 2“ აქტიურად იყენებდა „სადავო ინტელექტუალურ საკუთრებას“ თავის ბიზნეს საქმიანობაში. შპს „კომპანია 4“-სა და შპს „კომპანია 3“-ს შორის ორ ეტაპად (1. 51% წილი - 2019 წლის იანვარში; და დარჩენილი 49% წილი - 2022 წელს) დადებული წილის ნასყიდობის ხელშეკრულებით შპს „კომპანია 3“-მა იყიდა ბიზნესი. მითითებული ბიზნესი რამდენიმე კომპანიისგან

შედგებოდა, თუმცა მათ შორის უმთავრესი გახლდათ „კომპანია 2“, რომელიც უკვე მრავალი წელია სთავაზობს მომსახურებას მომხმარებლებს. „წილის ნასყიდობის ხელშეკრულების“ მომწესრიგებელი სამართალია ინგლისური სამართალი, ხოლო მხარეთა შორის წარმოშობილი დავის განმხილველი ორგანო არის უცხო ქვეყანაში არსებული არბიტრაჟი. „წილის ნასყიდობის ხელშეკრულებაში“ მითითებული იყო რომ: „კომპანია 2“-ს ჰქონდა მოპოვებული ყველა საჭირო ნებართვა/ლიცენზია, რომელიც არსებული ფორმით საქმიანობის გასაგრძელებლად იყო საჭირო; ყველა ინტელექტუალური საკუთრების ობიექტი, რომელიც „კომპანია 2“-ს საქმიანობის განსახორციელებლად სჭირდება იყო „კომპანია 2“-ის საკუთრება, ან ლიცენზიით ჰქონდა გადაცემული ან უშუალოდ „წილის ნასყიდობის ხელშეკრულებით“. 2021 წლის მარტში საქართველოში დაფუძნდა „კომპანია 1“. 2022 წლის მაისში „კომპანია 4“-სა და „კომპანია 1“-ს შორის დაიდო სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციიდან გამომდინარე უფლებების გადაცემის ხელშეკრულება, რომელიც შეეხებოდა „სადავო სასაქონლო ნიშნებს“ და საავტორო უფლებების გადაცემის ხელშეკრულება, რომელიც შეეხებოდა „სადავო ლოგოს“. „კომპანია 3“-მა საარბიტრაჟო სასამართლოში შეიტანა საარბიტრაჟო განაცხადი „კომპანია 4“-სა და მისი ერთადერთი

პარტნიორის წინააღმდეგ. საარბიტრაჟო დავის ფარგლებში შპს „კომპანია 3“ ითხოვს, რომ დადასტურდეს ლიცენზიის არსებობა. ამასთან, საარბიტრაჟო განაცხადით მოთხოვნილია დადასტურდეს, რომ „წილის ნასყიდობის ხელშეკრულებით“ „კომპანია 4“-მა „სადავო ინტელექტუალური საკუთრების“ გამოყენების მუდმივი, გამოუხმობადი, მესამე პირისათვის გადაცემადი, წინასწარ სრულად გადახდილი, უსასყიდლო ლიცენზია მისცა პირდაპირ „კომპანია 2“-ს ან „კომპანია 3“-ს. „კომპანია 1“-მა სარჩელით მიმართა საქალაქო სასამართლოს „კომპანია 2“-ის წინააღმდეგ და მოითხოვა, რომ მოპასუხეს აეკრძალოს „სადავო ინტელექტუალური საკუთრების“ გამოყენება ნებისმიერი ფორმით, მათ შორის აეკრძალოს „კომპანია 2“-ს გამოყენოს ისინი ბიზნეს საქმიანობაში იმ ფორმით, როგორც იყენებდა 2019 წლის იანვრის მდგომარეობით. სარჩელი ეფუძნება იმას, რომ მოსარჩელე „სადავო ინტელექტუალური საკუთრების“ მფლობელია (2022 წლის ხელშეკრულებების საფუძველზე). მოპასუხე არ ეთანხმება სარჩელს იმ დასაბუთებით, რომ მოპასუხე „სადავო ინტელექტუალური საკუთრებას“ იყენებს, რადგან „კომპანია 4“-მა, რომელიც „სადავო ინტელექტუალური საკუთრების“ თავდაპირველი მესაკუთრე იყო, „წილის ნასყიდობის ხელშეკრულებით“ კომპანია 2“-ზე გასცა თანხმობა/ლიცენზია. „სადავო ინტელექტუალური საკუთრება“ მოსარჩელეზე გადავიდა ლიცენზიით/თანხმობით. მოსარჩელე „კომპანია 3“-თან დაკავშირებული პირია.

III. ზოგადად საქმის წარმოების შეჩერებაზე

საქმის წარმოების შეჩერების ინსტიტუტი არსებით გავლენას ახდენს სამოქალაქო სამართალწარმოების სწორად წარმართვაზე, სამოქალაქო დავის დროულად განხილვასა და გადაწყვეტაზე. სამართალწარმოების სხვადასხვა სტადიაზე არსებულ გარემოებათა გამო, შესაძლე-

ბელია, შეიქმნას იმგვარი ფაქტობრივი ვითარება, რომლის არსებობის პირობებში შეუძლებელია ან არ არის მიზანშეწონილი დავის განხილვა და გადაწყვეტა. ასეთი შემთხვევისათვის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომში „სსკ“) XXX თავი ითვალისწინებს სამოქალაქო საქმის წარმოების შეჩერებას 279-280-ე მუხლებით დადგენილი პროცესის შემაფერხებელი გარემოებების აღმოფხვრამდე. მითითებულ ნორმათა ანალიზით, საქმის წარმოების შეჩერება გულისხმობს საპროცესო მოქმედებების შეწყვეტას ნორმაში ამომწურავად ჩამოთვლილი ობიექტურად შემაფერხებელი გარემოებების არსებობის შეწყვეტამდე. ამ გარემოებების წარმოშობა-შეწყვეტა სასამართლოს ან საქმეში მონაწილე პირების ნებაზე არ არის დამოკიდებული. შესაბამისად, საქმის წარმოების შეჩერება დამოკიდებულია მათი წარმოშობის მომენტზე და დასაშვებია საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე.

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს საქმის წარმოების შეჩერების სავალდებულო და ფაკულტატურ საფუძველებს.¹ საქმის წარმოების შეჩერების კანონით გათვალისწინებული ცალკეული საფუძვლის შინაარსობრივი ანალიზით ცალსახაა, რომ უმეტეს შემთხვევაში, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, განსაზღვროს საქმის განხილვის გადადების დრო, ვინაიდან ამ გარემოებათა არსებობის ხანგრძლივობა ობიექტურად უცნობია. თუ საქმის განხილვის შემაფერხებელი გარემოების აღმოფხვრა შესაძლებელია (სსკ-ის 279 ა) მუხლი) ან მათი არსებობის ხანგრძლივობა განჭვრეტადია (მაგ. სსკ-ის 280 გ, ე) მუხლი), სსკ-ის 281-ე მუხლი ადგენს შეჩერების ვადას. ამასთან, განსხვავებით საქმის წარმოების სავალდებულო შეჩერებისგან, სსკ-ის 280-ე მუხლით გათვალისწინებული ფაკულტატური საფუძველების არსებობის შემთხვევაში, სასამართლოს მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, რომ ობიექტური შეფასების საფუძველზე, საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, არ შეაჩეროს საქმის წარმოება და გადადოს საქმის

¹ ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, II ნაწილი, 2023, გვ.157.

განხილვა, თუ განხილვის გაგრძელება ობიექტურად შესაძლებელია და არ არღვევს მხარეთა უფლებებს.² საქმის წარმოების სავალდებულო შეჩერების ცალკეული საფუძვლის არსებობისას საქმის წარმოების შეჩერება ობიექტური აუცილებლობაა. ამ შემთხვევაში საქმის განხილვის გაგრძელება გამორიცხავს მხარის უფლებას, სრულად განახორციელოს კანონით მინიჭებული უფლებები. ამავდროულად, საქმის შემდგომი განხილვა პროცესის შემაფერხებელი გარემოებების შეწყვეტამდე შეუძლებელი და არაგონივრულია. საქმის წარმოების სავალდებულო შეჩერებას იწვევს სსკ-ის 279-ე მუხლში დასახელებული ნებისმიერი ფაქტის არსებობა. ამასთან, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უტყუარად უნდა დადგინდეს შემაფერხებელი ფაქტის არსებობა და მისი რეალური უარყოფითი ზემოქმედება საქმის განხილვის გაგრძელებაზე.

საკვლევი საკითხი ეფუძნება სსკ-ის 279 დ) მუხლს, რომლის თანახმად, სასამართლო ვალდებულია, შეაჩეროს საქმის წარმოება, თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადანყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართლის ან ადმინისტრაციული წესით. ნორმის მიზანი ეფექტური სამართალწარმოების მიღწევა, პროცესის მონაწილეთა და სასამართლოს რესურსების დაზოგვა და სამართლებრივი სტაბილურობის შენარჩუნებაა. ნორმის გამოყენებისთვის აუცილებელია შემდეგი წინაპირობების კუმულატიურად არსებობა:

1. სამოქალაქო სამართლის ან ადმინისტრაციული წესით განსახილველ საქმეზე მიმდინარე სამართალწარმოება; და
2. სამოქალაქო სამართლის/ადმინისტრაციული წესით განსახილველი საქმის გავლენა შესაჩერებელ საქმეზე, რაც განაპირობებს საქმის განხილვის შეუძლებლობას.

V. სსკ-ის 279 დ) მუხლის დათქმის (სამოქალაქო სამართლის ან ადმინისტრაციული წესით განსახილველი საქმე) გავრცელება საარბიტრაჟო წესით განსახილველ საქმეზე

არბიტრაჟში დავის განხილვა და გადაწყვეტა გამორიცხავს იმავე დავის სასამართლოს მიერ განხილვას. შესაბამისად, არბიტრაჟის კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას იგივე საბოლოო (*res judicata*) ეფექტი (აღსრულებადობა, განმეორებით განხილვის და გასაჩივრების დაუშვებლობა) აქვს, რაც საერთო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას. „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 44 I მუხლით, იმ ქვეყნის მიუხედავად, სადაც გამოტანილ იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, იგი შესასრულებლად სავალდებულოა და სასამართლოში წერილობითი შუამდგომლობის წარდგენის შემთხვევაში უნდა აღსრულდეს ამ მუხლისა და ამ კანონის 45-ე მუხლის დებულებათა გათვალისწინებით. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 73¹-ე მუხლით, საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება ხდება „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების მიმართ მოქმედებს გათანაბრების თეორია, რომლის მიხედვით, უცხოური აქტი უნდა იქნეს აღქმული და იურიდიულად გაუთანაბრდეს შიდასახელმწიფოებრივ სასამართლო გადაწყვეტილებას.³ უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ ნიუ-იორკის კონვენციის („ნიუ-იორკის კონვენცია“) მე-3 მუხლის თანახმად, ყოველი ხელშემკრელი სახელმწიფო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს ცნობს როგორც სავალდებულოს და აღასრულებს მათ იმ ტერიტორიის პროცესუალური ნორ-

² ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მე-2 გამოცემა, 2023 წ., გვ.454.
³ გოთუა ლ., უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტი-

ლებების აღსრულება, სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, 2010წ., გვ.14 ციტირებულია სუსგ №ა-3946-შ-103-2023, 04 დეკემბერი, 2023 წელი.

რმებით, სადაც მოითხოვება ამ გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა არის პროცესი, რომლის შედეგადაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ხდება ეროვნული სამართლებრივი სისტემის ნაწილი. უმეტეს შემთხვევაში, ცნობა ხდება განცალკევებული წარმოების პირობებში. ასეა მაგალითად, მხარემ შეიძლება მოითხოვოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა იმ მიზნით, რომ დააყენოს პრეიუდიციული შესაგებელი და ამ გზით თავიდან აიცილოს იმ საკითხის ხელმეორედ განხილვა სასამართლოში, რომელიც უკვე გადაწყვეტილი იქნა უცხო ქვეყნის არბიტრაჟის მიერ ან მოითხოვოს ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა, უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით მინიჭებულ უფლებასთან მიმართებით.⁴

revision au fond-ის აკრძალვის სახელით ცნობილი პრინციპი კატეგორიულად უარყოფს უცხო ქვეყნის სასამართლოს თუ არბიტრაჟის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების შინაარსობრივ გადამოწმებას.⁵ ცნობისა და აღსრულების საკითხის გადაწყვეტისას არ ხდება საცნობი გადაწყვეტილების სამართლებრივი გამართულობის შემოწმება და მხარეთა შორის წარმოშობილი დავის ხელმეორედ არსებითი განხილვა. სასამართლო ამომწმებს მხოლოდ უცხო ქვეყნის სასამართლოს/არბიტრაჟის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის დამატარებელი გარემოებების არსებობა-არარსებობის საკითხს.⁶ აღნიშნული კანონის ფორმალურ დანაწესებთან ამ გადაწყვეტილების შემოწმება ხორციელდება იმგვარად, რომ საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, ჩაერიოს, რაიმე ფორმით განმარტოს ან შესწორება შეიტანოს თავად საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში ან მისი სარეზოლუციო ნაწილის რომელიმე პუნქტში.⁷

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსკ-ის

279 დ) და 281 გ) მუხლებში მითითებულ „სამოქალაქო სამართლის წესით საქმის განმხილველ სასამართლოში“ უნდა ვიგულისხმოთ სამოქალაქო დავის განმხილველი საარბიტრაჟო სასამართლოც. შესაბამისად, განსასჯელ ფაბულაში დასახელებული საარბიტრაჟო სასამართლოს წარმოებაში არსებული საქმე შესაძლოა იყოს საქართველოში მიმდინარე დავაზე საქმის წარმოების შეჩერების საფუძველი, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ ორ დავას შორის დადგინდება ისეთი კავშირი, რომლის გამოც საქმის განხილვა შეუძლებელია და მასზე წარმოება უნდა შეჩერდეს.

VI. კავშირი საარბიტრაჟო სასამართლოს წარმოებაში არსებულ საარბიტრაჟო დავასა და საქალაქო სასამართლოს წარმოებაში არსებულ დავას შორის

ზემოთ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებიდან დასტურდება, რომ შპს „კომპანია 4“-სა და შპს „კომპანია 3“-ს შორის დადებული წინასწარი ნასყიდობის ხელშეკრულებით შპს „კომპანია 3“-მა შპს „კომპანია 4“-სგან იყიდა ბიზნესი. საარბიტრაჟო განაცხადის საფუძველზე საარბიტრაჟო სასამართლოს გადასაწყვეტია შპს კომპანია 2-ის („მოპასუხე“) უფლებამოსილება მის მიერ იმ ინტელექტუალური საკუთრების გამოყენებაზე, რომლის გამოყენების აკრძალვაც მოთხოვნილია საქალაქო სასამართლოს წარმოებაში არსებულ კომპანია 1-ის („მოსარჩელის“) სარჩელზე. შესაბამისად, ცალსახად დასტურდება ზემოაღნიშნულ ორ საქმეზე ისეთი კავშირი, რომელიც იწვევს საქალაქო სასამართლოს წარმოებაში არსებულ საქმეზე განხილვის გაგრძელების შეუძლებლობასა და საქმის წარმოების შეჩერების აუცილებლობას. დასკვნა ეფუძნება ფაქტობრივი გარემოებების ანალიზს კანონის, თეორიისა და პრაქტიკის ქრილში, კერძოდ:

⁴ კომერციული არბიტრაჟის საერთაშორისო საბჭო ICCA-ს სახელმძღვანელო 1958 წლის ნიუ-იორკის კონვენციის განმარტებაზე, 2013, გვ.12 https://cdn.arbitration-icca.org/s3fs/public/document/media_document/georgian_translation_judges_guide_website_with_cover_20june.pdf.

⁵ სუსგ №ა-952-შ-23-2016, 06 ივლისი, 2015 წელი, სუსგ №ა-4514-შ-125-2023, 30 აპრილი, 2024 წელი.

⁶ სუსგ №ა-2761-შ-69-2016, 07 ივლისი, 2017 წელი.

⁷ სუსგ №ა-5322-შ-127-2020, 20 იანვარი 2022 წელი; №ა-3947-შ-93-2020, 02 მარტი, 2021 წელი.

სამოქალაქო საქმის წარმოების შეჩერება სხვა საქმის გადანყვეტამდე, რომელიც განხილული უნდა იქნეს სამოქალაქო ან ადმინისტრაციული წესით, დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუკი სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით დასადგენ ფაქტებსა და სამართლებრივ ურთიერთობებს იურიდიული მნიშვნელობა აქვთ მოცემული საქმისათვის.⁸ საქმის წარმოების შეჩერებამდე სასამართლომ ზუსტად უნდა განსაზღვროს, თუ რა კავშირი არსებობს მის მიერ განსახილველ საქმესა და იმ საქმეს შორის, რომელიც სხვა სასამართლოს მიერ განხილვა და რა შემთხვევა შეიძლება ქმნიდეს ისეთ ობიექტურ სირთულეს, რომელიც შეუძლებელს ხდის ამ საქმის გამოკვლევას. საკასაციო სასამართლოს არაერთი განმარტების მიხედვით, სსკ-ის 279 დ) მუხლით გათვალისწინებული საფუძვლით საქმისწარმოების შეჩერების საკითხის გადაწყვეტისას უნდა დადგინდეს, არსებობს თუ არა საქმეთა შორის ისეთი აუცილებელი კავშირი, რაც შეჩერების ღონისძიების გამოუყენებლობის პირობებში ობიექტურად შეუძლებელს გახდის სასამართლოს წარმოებაში არსებული საქმის განხილვას.⁹

„შეუძლებლობა“ წარმოადგენს ისეთ ობიექტურ სირთულეს ან დაბრკოლებას, რომელიც გულისხმობს, უპირველეს ყოვლისა, ისეთი გარემოებების არსებობას, რომელთა დადგომა არის განპირობებული მართლმსაჯულების განხორციელების დამაბრკოლებელი ფაქტორებით¹⁰ და განსახილველი დავის გადაწყვეტას სამართლებრივად აფერხებს სხვა სამოქალაქო სამართლის ან ადმინისტრაციული წესით განსახილველი საქმის გადაწყვეტა.¹¹ მითითებული საფუძვლით (სსკ-ის 279 დ) მუხლი) საქმის წარმოების შეჩერების ვალდებულება პირდაპირ უკავშირდება ისეთ საპროცესო ინსტიტუტს, როგორცაა მტკიცების ტვირთი და ემსახურება ფაქტების დამტკიცების ვალდებულებისაგან მხარეთა გათავისუფლების მიზანს, სამართალწარმოე-

ბის ერთ-ერთი პრინციპის – პროცესის ეკონომიურობის პრინციპის რეალიზაციის უზრუნველყოფას, რაც, თავის მხრივ, ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელების წინაპირობაა.¹² საქმის წარმოების შეჩერება დასაშვებია მხოლოდ იმ პირობით, თუ სხვა საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებას შეიძლება მიეცეს პრეიუდიციული მნიშვნელობა სასამართლოს განხილვაში არსებული საქმის გადაწყვეტისას.¹³

სასამართლო პრაქტიკის ანალიზით, შეჩერების აუცილებლობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ სხვა სამართალწარმოებაში უნდა დადგინდეს პრეიუდიციული მნიშვნელობის ფაქტი, რომლის გადაწყვეტაზეც დამოკიდებულია შესაჩერებელ საქმეზე მისაღები გადაწყვეტილება, ანუ შესაჩერებელ საქმეზე პრეიუდიციული მნიშვნელობა აქვს კონკრეტულ ფაქტს. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ნორმატიული დათქმა – საქმის განხილვის შეუძლებლობა სხვა საქმის გადაწყვეტამდე, გამომდინარეობს სასამართლო დავის განხილვის სამართლებრივი ბუნების ლოგიკიდან, კერძოდ, ყოველი კონკრეტული საქმის გადაწყვეტა სასამართლოში დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოქმნილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი, შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების, ანუ ისეთი ფაქტების საფუძველზე, რომლებსაც სამართლის ნორმა უკავშირებს გარკვეულ იურიდიულ შედეგს. სხვა სამართალწარმოებით საქმის განხილვისას სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების დადგენა რიგ შემთხვევაში შეუძლებელს ხდის კონკრეტული საქმის განხილვას, რამდენადაც ფაქტები, რომლებიც უნდა დადგინდეს სამოქალაქო ან ადმინისტრაციული წესით

⁸ ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, 2015, გვ. 456.
⁹ მრავალთა შორის იხ. სუსგ №ას-1719-2019, 22.01.2020 წ.; №ას-2-2024 07 მარტი, 2024 წ.
¹⁰ სუსგ ას-415-731-09, 2 ივლისი, 2009 წ.

¹¹ სუსგ, №ას-792-2023, 21 ნოემბერი 2023.
¹² სუსგ №ას-528-2021, 18.12.2021წ.; №ას-1422-2023, 28 თებერვალი 2024 წ.; №ას-2-2024 07 მარტი, 2024 წ.
¹³ სუსგ №ას-266-253-2016, 14 ივნისი, 2016 წელი.

განხილვისას, ვერ იქნება გამორკვეული, შეფასებული და დადგენილი კონკრეტული საქმის წარმოებისას, ამავდროულად, ამ ფაქტების დადგენამდე შეუძლებელი უნდა იყოს მოცემული საქმის განხილვა.¹⁴

ამდენად, სხვა საქმის გადაწყვეტამდე, მიმდინარე დავის შეჩერებას იწვევს ორ დავას შორის ისეთი სამართლებრივი ურთიერთკავშირი, რომელიც განპირობებულია იმით, რომ შესაჩერებელ საქმეზე მხარის სამტკიცებელი ფაქტობრივი გარემოება სხვა საქმეში უნდა დადგინდეს. ცხადია, ასეთი ფაქტი შესაჩერებელი დავის მტკიცების საგანში შედის და ამ ფაქტის მითითებული მხარის სამტკიცებელია. სწორედ ამ ფაქტებს ანიჭებს სასამართლო პრეიუდიციულ მნიშვნელობას შეჩერებულ საქმეზე სამართალწარმოების განახლებისას. პრეიუდიციულ ფაქტებში იგულისხმება იურიდიულად ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები, რომლებითაც განსაზღვრულია მხარეთა მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობით გათვალისწინებული უფლებები და ვალდებულებები, რაც საფუძველად დაედო გადაწყვეტილების გამოტანას. როგორც უზენაესი სასამართლო თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში განმარტავს - „ფაქტების პრეიუდიციულობის შემონების დროს მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო იმ პროცესუალურ-სამართლებრივ კრიტერიუმებს, რომლებითაც განისაზღვრება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ფორმალური მოთხოვნები (კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოება თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ), არამედ ამ გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოების შინაარსს (რომელი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზეც იქნა მიღებული გადაწყვეტილება)“.¹⁵

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქმის წარმოების შეჩერების იმპერატიული მოთხოვნით

კანონმდებელი იცავს მტკიცების ტვირთის მატარებელ მხარეს სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევისაგან და აძლევს შეჯიბრებითობის პრინციპით უფლების სრულყოფილად დაცვის შესაძლებლობას. სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევაში იგულისხმება ის გარემოება, რომ მტკიცების ტვირთის მატარებელი მხარე სარჩელით/შეგებებული სარჩელით სათანადოდ ვერ დაიცავს თავს შედავებისგან, ვინაიდან მისი ქმედების მართლზომიერების ფაქტი სხვა სამართალწარმოებით უნდა დადგინდეს. ამავდროულად, სსკ-ის 279 დ) მუხლით გათვალისწინებული გარემოების არსებობისას საქმის წარმოების შეჩერებაზე უარის თქმა ეწინააღმდეგება სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერების, პროცესის ეკონომიურობისა და მართლმსაჯულების ეფექტურობის პრინციპს და არსებითად ლახავს მხარის სამართლიანი სასამართლოს კონსტიტუციურ და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დაცულ უფლებას. მოცემულ დავაში წარდგენილი სარჩელითა და შესაგებლით უდავოა, რომ მოპასუხის სამტკიცებელია „სადავო ინტელექტუალური საკუთრების“ გამოყენებაზე მისი უფლებამოსილება და შესაბამისად, ის გარემოება, რომ „მოსარჩელეს“, 2022 წლის ხელშეკრულებით, „მოპასუხის“ სასარგებლოდ უფლებრივად (ლიცენზიით) დატვირთული „სადავო ინტელექტუალური საკუთრება“ გადაეცა.¹⁶

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, განსასჯელ ფაბულაში მითითებული საარბიტრაჟო სარჩელზე გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება პირდაპირ გასცემს პასუხს საქალაქო სასამართლოს წარმოებაში არსებულ საქმეზე მთავარ დასადგენ ფაქტს - აქვს თუ არა მოპასუხეს „სადავო ინტელექტუალური საკუთრების“ გამოყენების მართლზომიერი უფლება. ვინაიდან, სსკ 279 დ) მუხლით დადგენილი საქმის შეჩერების სტანდარტი პირდაპირ არის და-

¹⁴ სუსგ №ას-212-197-2014, 3 ნოემბერი, 2014 წელი.

¹⁵ სუსგ №ას-827-791-2014 13 ნოემბერი, 2015 წელი.

¹⁶ სასაქონლო ნიშნების შესახებ საქართველოს კანონის 26 X მუხლის თანახმად, სასაქონლო ნიშანზე უფლებების გადაცემა ან ლიცენზია არ ვრცელდება მესამე პირის სახელზე ადრე გაცემულ ლიცენზიაზე. ნორმის

შესაბამისად, სასაქონლო ნიშნის გადაცემის შემდეგ ძალაში რჩება და ახალ მესაკუთრეზე ვრცელდება სასაქონლო ნიშნის გადაცემამდე, ძველი მესაკუთრის მიერ გაცემული ლიცენზია.

კავშირებული ფაქტების მტკიცებასთან, დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკით შესაჩერებელ საქმეში მონაწილე მხარეების გარდა სხვა მხარეების მონაწილეობა სამოქალაქო სამართლის ან ადმინისტრაციული წესით განსახილველ საქმეზე, არ შეიძლება გახდეს საქმის წარმოების შეჩერების დამაბრკოლებელი გარემოება, თუკი სხვა მხარეების მონაწილეობით განსახილველ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს ექნება გავლენა შესაჩერებელ საქმეზე.¹⁷ საქმის წარმოების შეჩერებისთვის, ნორმატიული დათქმა – საქმის განხილვის შეუძლებლობა სხვა საქმის გადაწყვეტამდე, არ გულისხმობს დავის საგნის იგივეობას.¹⁸ სასამართლოს პრაქტიკა მიმდინარე სამართალწარმოებებში სხვა მხარეების მონაწილეობის მიუხედავად საქმის წარმოების შეჩერების აუცილებლობაზე განპირობებულია იმით, რომ საქმის განხილვის შეუძლებლობას ინვეს არა მხარეთა ან დავის საგნის იგივეობა, არამედ ის გარემოება, რომ სხვა საქმეში უნდა დამტკიცდეს ის ფაქტი, რომელიც შესაჩერებელი საქმის მტკიცების საგანში შედის და ამ ფაქტის დადგენის გარეშე გადაწყვეტილების გამოტანა შეუძლებელია.

განხილული შემთხვევა ასეთი ვითარების კლასიკური მაგალითია, ვინაიდან საარბიტრაჟო სასამართლოს დასადგენია საქალაქო სასამართლოს განსახილველ საქმეზე მტკიცების საგანში შემავალი ფაქტი – ინტელექტუალური საკუთრების გამოყენებაზე მოპასუხის უფლებამოსილება (შესაგებლის არგუმენტი). ამ ფაქტის დადგენის გარეშე, ცხადია, სასარჩელო მოთხოვნას ინტელექტუალური საკუთრების გამოყენების აკრძალვის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებით დასაბუთებული პასუხი ვერ გაეცემა და ამავდროულად, უხეშად დაირღვევა მოპასუხის უფლება შეჯიბრებითობის პრინციპით უფლების დაცვაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოპასუხე ინტელექტუალური საკუთრების გამოყენების მართლზომიერებას აფუძნებს „წილის ნასყიდობის ხელშეკრულებაზე“, რომლითაც მხარეები შეთანხმდნენ დავის ინგლისური სამართლით მონესრიგებაზე, ხოლო დავის განმხილველ ორგანოდ გაითვალისწინეს საარბიტრაჟო სასამართლო. შესაბამისად, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მხარეთა უფლება-მოვალეობების, ისევე როგორც ლიცენზიის არსებობა-არარსებობის დადგენა, არ განეკუთვნება საქალაქო სასამართლოს კომპეტენციას.

¹⁷ სუსგ ას-231-556-09, 28 მაისი, 2009 წ.; სუსგ №ას-1071-2019 30 ოქტომბერი, 2019 წელი; სუსგ ბს-907-900(კ-11), 13 ოქტომბერი 2011; №ბს-1658-1630(კ-11).

¹⁸ სუსგ №ას-1071-2019, 30 ოქტომბერი 2019 წელი.

ბლოკჩეინ ტექნოლოგიების გამოყენება და ხელშეწყობა ინტელექტის სისტემის სამართლებრივი რეგულირება საგზაო გადაზიდვაში

გიორგი ელიაძე, *Master of Law (Toulouse)*

მონვეული ლექტორი (საქართველოს უნივერსიტეტი, ევროპის უნივერსიტეტი, ნმ. ანდრეას ქართული უნივერსიტეტი)

გადაზიდვები და ლოჯისტიკური მომსახურება თანამედროვე საზოგადოების ეფექტური ფუნქციონირებისა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. საუკუნეების განმავლობაში მსოფლიო ვაჭრობა და ეკონომიკის განვითარება დამოკიდებული იყო საერთაშორისო გადაზიდვების ხარისხსა და სისწრაფეზე. ისტორიულად, ტვირთების გადატანა მრავალი გზით ხდებოდა: გემით, სარკინიგზო საშუალებით, ეტლით, ურმით და სხვა. წინამდებარე სტატიაში განხილული იქნება ურთიერთმიმართება საერთაშორისო საგზაო გადაზიდვებისა და იმ ტექნოლოგიური გამოწვევებისა, რომლებსაც შეუძლია უფრო ეფექტური და სწრაფი გახადოს პროცესი.

უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო დონეზე ტვირთების საგზაო გადაზიდვებს არეგულირებს „კონვენცია ტვირთების საერთაშორისო საგზაო გადაზიდვების ხელშეკრულების შესახებ და ხელმოწერის პროტოკოლი“¹, რომელიც რატიფიცირებულია ევროპის უმრავლესი სახელმწიფოს მიერ, მათ შორის არის საქართვე-

ლო, რომელიც კონვენციას 1999 წლის 4 აგვისტოს შეუერთდა². თანამედროვე სამყაროში ადამიანები, ხშირ შემთხვევაში, ვერც კი აცნობიერებენ, რომ მათ მიერ ყოველდღიურად გამოსაცემებული ნივთების უმრავლესობა, რომლებიც განთავსებულია სუპერმარკეტების დახლებზე სხვა ქვეყნიდან თუ კონტინენტიდან არის იმპორტირებული. მაგალითად ტელეფონი, რომელსაც მსოფლიო მოსახლეობის უმრავლესობა ყოველდღიურად ჯიბით ატარებს, დამზადებულია იაპონიაში, ამერიკაში, ჩინეთში, ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოში და ა. შ. სატრანსპორტო ინდუსტრიამ, მიუხედავად მისი თანმხლები ბევრი ნაკლოვანებისა, (მაგ.: გარემოს დაბინძურება, საცობები და ა. შ.) დააჩქარა გლობალიზაციის პროცესი და მსოფლიო მოსახლეობის ურთიერთდამოკიდებულება გაზარდა. აღნიშნული პროცესის შედეგად კაცობრიობა მიხვდა, რომ, მაგალითად, ახალ ზელანდიელს, კენიელსა და ამერიკელს, მიუხედავად დიდი მანძილისა და განსხვავებული შეხედულებებისა, შესაძლებელია ჰქონდეთ საერთო ეკონომიკური, კულტურული და სხვა ნებისმიერი სახის ინტერესები.

¹ კონვენცია ტვირთების საერთაშორისო საგზაო გადაზიდვების ხელშეკრულების შესახებ, 19 მაისი, ფენევა 1956 წელი.

² Making freight truly paperless: e-CMR, <https://www.iru.org/innovation/e-cmr> <accessed 12 July 2024>.

შესაბამისად, დღევანდელ მსოფლიოში ადამიანები ისე არიან დაკავშირებულნი და იმდენად სჭირდებათ ერთმანეთი, როგორც არასდროს კაცობრიობის ისტორიის მანძილზე. კონვენცია ტვირთების საერთაშორისო საგზაო გადაზიდვების ხელშეკრულების შესახებ (CMR) შედგენილ იქნა გაეროს მიერ 1956 წელს ქალაქ ჟენევაში, რათა გზის მეშვეობით ტვირთების ეფექტურად გადაზიდვა სამართლებრივად დარეგულირებული ყოფილიყო. კონვენცია გადაზიდვის პროცესში ჩართულ მხარეთათვის უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს, ვინაიდან ის ამარტივებს გადაზიდვის კომპლექსურ სამუშაო პროცესს, ერთიანი სტანდარტით არეგულირებს საქონლის თანმხლებ დოკუმენტაციებს და ადგენს გადამზიდველის პასუხისმგებლობას იმ შემთხვევაში, თუ მოხდება საქონლის დაზიანება ან/და განადგურება³. სასაქონლო ზედნადები (Consignment Note) არის გადაზიდვის პროცესის მთავარი დოკუმენტი. ვინაიდან საგზაო გადაზიდვები ევროპის ქვეყნებში სტატისტიკურად პირველ ადგილზეა, შესაბამისად, სტატისტიკურად, სასაქონლო ზედნადებიც ყველაზე გამოყენებადი დოკუმენტია⁴. სასაქონლო ზედნადების დადგენილი კონკრეტული ფორმა არ არსებობს და კონვენციაც არ შეიცავს ამასთან დაკავშირებით რაიმე სახის განმარტებას. იგულისხმება, რომ გადამზიდველს შეუძლია გამოიყენოს მისთვის მისაღები ნებისმიერი ფორმა, თუ ეს არ ეწინააღმდეგება კონკრეტული ქვეყნის კანონმდებლობას. გადაზიდვის ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია დადებულ იქნას მანამ, სანამ გადამზიდველს გამგზავნი ტვირთს გადასცემს. კონვენცია ასევე არაფერს ამბობს

გადაზიდვის ხელშეკრულების ფორმასთან დაკავშირებით და შესაბამისად, შესაძლებელია ხელშეკრულება დაიდოს, როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ფორმით⁵, თუმცა უნდა ითქვას, რომ პრაქტიკაში გამოიყენება საერთაშორისო საავტომობილო ტრანსპორტის კავშირის (IRU) მიერ მიღებული სასაქონლო ზედნადების ფორმა⁶. საერთაშორისო საავტომობილო ტრანსპორტის კავშირის (IRU) მიერ მიღებული სასაქონლო ზედნადების პირველი ეგზემპლარი (ე. წ. ნითელი ფორმა) გადაეცემა ტვირთის გამგზავნს, იმის დასტურად, რომ ტვირთი გადამზიდველს გადაეცა. მეორე ეგზემპლარი (ე. წ. ლურჯი ფორმა) განკუთვნილია ტვირთის მიმღებისათვის, სადაც აღნიშნულია თუ რა რაოდენობის საქონელი უნდა მიიღოს ტვირთის მიმღებმა გადამზიდველისაგან. მესამე ეგზემპლარი (ე. წ. მწვანე ფორმა) გადაეცემა გადამზიდველს, დასტურად იმისა, რომ გადამზიდველმა ნამდვილად გადასცა ტვირთი მის მიმღებს⁷.

21-ე საუკუნე, როგორც ვიცით, ტექნოლოგიების საუკუნედ მოიხსენიება. თანამედროვე მსოფლიოში ტექნოლოგიური განვითარების შედეგად მრავალი ნივთი თუ საშუალება ჩანაცვლდა. არსებობს პროგნოზი, რომლის მიხედვითაც 2050 წლისათვის სატვირთო გადაზიდვების რიცხვი 50 %-ით გაიზრდება და, შესაბამისად, ლოჯისტიკური ბიზნესი ვერ დაძლევეს არსებულ გამოწვევებს თუ მას შესაბამისად მომზადებული არ დახვდება⁸. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის ქვეყნების მასშტაბით გადაზიდვების 88% შემთხვევაში გამოიყენება ე. წ. ქალაქის სასაქონლო ზედნადები, რაც ძალიან დიდი რიცხვია. კონვენციის შედგენის დროს სა-

³ Miloš Poliak, Jana Tomicová, Marek Jaškiewicz, Identification the Risks Associated With the Neutralization of the CMR Consignment Note, *Transportation Research Procedia*, Volume 44, 2020, Page 23 www.sciencedirect.com Accessed 12nd July 2024.

⁴ Miloš Poliak, Jana Tomicová, Marek Jaškiewicz, Impact of using e-CMR on neutralization of Consignment Note, *Transportation Research Procedia*, Volume 55, 2021, Page 110 www.sciencedirect.com Accessed 12nd July 2024.

⁵ Vesna Polić Foglar, *The Carriage of Goods in Swiss Law, A Comprehensive Overview of the Swiss Legal System, the Liability of Carriers and Freight Forwarders*

and the Marine and Liability Insurance (August 19, 2022, Stämpfli Verlag) 174.

⁶ Andrew Messent, David A Glass, *CMR: Contracts for The International Carriage of Goods by Road* (Routledge, 4th Edn. 2018) 89.

⁷ Poliak, M., Tomicova, J., Cheu, K., Fedorko, G., & Poliakova, A. (2019). The Impact of the CMR Protocol on Carrier Competitiveness. *Journal of Competitiveness*, 11(4), 132–143. <https://doi.org/10.7441/joc.2019.04.09>.

⁸ Dalé Dzemydienė, Aurelija Burinskienė, Kristina Čižiūnienė, Arūnas Miliuskas, *Development of Smart Context-Aware Services for Cargo Transportation, An Operational Management Approach* (Springer Nature Switzerland AG 2022) 92.

საქონლო ზედნადების გაციფრულებაზე საუბარი, რა თქმა უნდა, ვერ წარიმართებოდა, შესაბამისად სატრანსპორტო დოკუმენტაცია საბაზოზე ამოხეჭდილი ფურცლის სახით წარედგინებოდა და დღემდე წარედგინება ბევრ ხელმძღვანელს ქვეყანაში. 2008 წლის თებერვალში, კონვენციას დაემატა პროტოკოლი (e-protocol) რომელიც ძალაში შევიდა 2011 წლის 5 ივნისს⁹. აღნიშნული პროტოკოლი ადგენს ერთიან სტანდარტს სატრანსპორტო ზედნადების ელექტრონული ფორმით გამოყენებისათვის¹⁰. 2008 წლიდან დღემდე, აღნიშნულ პროტოკოლს შეუერთდა 34 სახელმწიფო და ივარაუდება, რომ 2026 წლისათვის ზედნადების ელექტრონული ფორმით გამოყენება სავალდებულო იქნება კონვენციის ნეკრი ყველა სახელმწიფოსთვის¹¹. ზემოხსენებულ 34 სახელმწიფოში, რომლებიც შეუერთდნენ აღნიშნულ პროტოკოლს, საქართველო, ჯერჯერობით, არ არის¹². ყველაზე მნიშვნელოვანი უპირატესობა, რაც ელექტრონულ ზედნადებს აქვს, არის ფურცლებისა და მასთან დაკავშირებული სხვა ადმინისტრაციული დანახარჯების შემცირება, რაც ეკოლოგიური თვალსაზრისითაც სასარგებლოა. ელექტრონული ზედნადების გამოყენების შედეგად აღარ იქნება საჭირო სატრანსპორტო დოკუმენტაციის დასკანერება, ფაქსით გადაგზავნა, დაარქივება და ა.შ. ამასთან, ელექტრონული ზედნადები თავიდან აგვარიდებს საქონლის გაგზავნასა და მისი მიღების დროს წარმოქმნილ რიგ გაუგებრობებს, ვინაიდან აღნიშნული სისტემის დახმარებით რეალურ დროში გახდება შესაძლებელი საქონლის მარშრუტისა და მისი ადგილმდებარეობის მონიტორინგი¹³. აღნიშნული მნიშვნელოვან

გამონვევას წარმოადგენს სატრანსპორტო ბიზნესში ჩართული სუბიექტებისთვის, რომლებიც ნელა და არაეფექტურად უბამენ მხარს შემოთავაზებულ სიახლეებს¹⁴. ნიდერლანდების ტრანსპორტისა და ლოჯისტიკის სააგენტოს (Transport en Logistiek Nederland - TLN) მიერ ჩატარდა კვლევა, რომლის თანახმად ელექტრონული ზედნადების (e-CMR) მასობრივი გამოყენების შედეგად ევროკავშირს შეუძლია დაზოგოს დაახლოებით 180 მილიონი ევრო, რაც, დაახლოებით, 4 ევროს უდრის ერთ სასაქონლო ზედნადებზე¹⁵. მსოფლიოს მასშტაბით ტოპ კომპანიების მენეჯმენტებიც კი აღიარებენ იმ ფაქტს, რომ არსებობს უკეთესი ეკონომიკური ზრდისა და წარმატების პოტენციალი, თუმცა, ამავდროულად, არსებობს რიგი პრობლემები, რომლებიც ხელს უშლის აღნიშნულის განხორციელებას (ე. წ. Trapped Value)¹⁶. მაგალითისთვის ავიღოთ ამერიკის შეერთებული შტატები (აშშ), სადაც ოპერირებს დაახლოებით 500,000 გადამზიდავი კომპანია. აღნიშნული კომპანიების მენეჯმენტი ოპერირებისათვის იყენებს, როგორც ელექტრონულ, ასევე არაელექტრონულ სისტემას, რაც, რა თქმა უნდა, ლოჯისტიკის ქსელში ჩართული მხარეებისთვის ქმნის ერთგვარ დისკომფორტს, ვინაიდან არ არსებობს დოკუმენტის ბრუნვაუნარიანობის ერთიანი სტანდარტი. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის პროგნოზით, მიწოდების ჯაჭვში არსებული ბარიერების შემცირება ბლოკჩეინ ტექნოლოგიის გამოყენე-

⁹ Ratification of the eCMR protocol in Europe Ratification of the eCMR protocol in Europe 2023 - Transfollow Accessed 13th July 2024.
¹⁰ Ayako Kitahama, e-CMR using Blockchain (February 7, 2020) <https://medium.com/> Accessed 12th July 2024.
¹¹ Making freight truly paperless: e-CMR <e-CMR | IRU | World Road Transport Organisation> Accessed 13th July 2024.
¹² The ratification of the eCMR protocol in Europe <<https://transfollow.org/ratification-ecmr-protocol-eu/#:~:text=In%20February%202008%20an%20additional,Belarus>>, accessed 13th July 2024.
¹³ Making freight truly paperless: e-CMR <<https://www.iru.org/what-we-do/facilitating-trade-and-transit/e-cmr>> accessed 14th July 2024.

¹⁴ Dalé Dzemydienė, Aurelija Burinskienė, Kristina Čižiūnienė, Arūnas Miliauskas, Development of Smart Context-Aware Services for Cargo Transportation, An Operational Management Approach (Springer Nature Switzerland AG 2022) 92.
¹⁵ Dirk H. Hartel, Project Management in Logistics and Supply Chain Management Practical Guide With Examples From Industry, Trade and Services (Springer Gabler 2022, Volume 15) 186.
¹⁶ Gianfranco Casati, Using innovation to unlock trapped value Management, teams must develop architecture that embraces innovation throughout the organization, (Published, 7 April 2017) <<https://www.scmp.com/business/companies/article/2084793/using-innovation-unlock-trapped-value>> accessed 14th July 2024.

ბით გამოინვევს მსოფლიო მშპ-ის 5%-ით, ხოლო მსოფლიო ვაჭრობის 15%-ით გაზრდას¹⁷. ბლოკჩეინ ტექნოლოგია სატრანსპორტო ინდუსტრიაში არსებული ადმინისტრაციული და დავების გადაჭრის გზების ეფექტურობის გაზრდისთვის, შესაძლო, ერთადერთი სწორი გასაღებია. ამასთან, ჯამური სამედიცინო ტვირთბრუნვის 8.5%-ის შემთხვევაში სახეზე გვაქვს ტემპერატურული სტანდარტების დარღვევა, რაც ხელს უშლის აღნიშნულ პროდუქციას რათა გაიაროს საბაჟო კონტროლი. სატვირთო კომპანიების 90 %-ს საკუთრებაში ჰყავს 6 ან 6-ზე ნაკლები სატვირთო ავტომობილი, რაც საბოლოოდ პრობლემას ქმნის გადამზიდავ კომპანიებთან, ვინაიდან, გადაზიდვისათვის საჭირო რაოდენობის საქონლის მიწოდება დროულად ვერ ხერხდება. კვლევა აჩვენებს, რომ შედეგად, სატვირთო ავტომობილები წლიურად 29 მილიარდ მილს გადის ნაწილობრივ დატვირთულ ან/და სრულიად ცარიელ რეჟიმში. საპროცესო და ადმინისტრაციული ხარჯები გაზრდილი დოკუმენტური ბიუროკრატის შედეგად ტრანსპორტირების ღირებულების დაახლოებით 20%-ს შეადგენს. IBM-მა და Maersk-მა ჩაატარეს ექსპერიმენტი და კენიის ქალაქ მომბასადან გააგზავნეს ყვავილებით დატვირთული კონტეინერი ნიდერლანდების მთავარ საპორტო ქალაქ როტერდამში. ექსპერიმენტის მანძილზე აღმოჩნდა, რომ უბრალო სამაცივრე გადაზიდვას, დასჭირდა 30 სხვადასხვა ორგანიზაციის ჩართულობა და 200 დამოუკიდებელი კომუნიკაცია. ერთი ნებისმიერი არასწორი კომუნიკაციის ან დასტურის მიუღებლობის შემთხვევაში ტვირთი შეიძლება სამუდამოდ გაჩერებულიყო პორტში ან საერთოდაც დაკარგულიყო¹⁸.

ხელოვნური ინტელექტი (AI) ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი გახდა. მრავალი კომპანია იყენებს ხელოვნურ ინტელექტს თანამშრომლების უკეთ მომზადების ან სულაც, რიგი თანამშრომლების ჩანაცვლების კუთხით.

ისეთი კომპანიები, როგორებიცაა ალფაბეტი და ამაზონი უკვე იყენებენ მცირე ზომის ტვირთბის გადასაზიდად დამოუკიდებელ ე. წ. უპილოტო სატვირთო მანქანებს. იმისათვის, რომ ზემოხსენებული საკითხი შორეულ პერსპექტივად არ მოგვეჩვენოს, უნდა აღვნიშნოთ, რომ უპილოტო სატვირთო მანქანები უკვე დადის აშშ-ის რიგ ქალაქებსა და ქუჩებში. ამიტომ, სრულებით შესაძლებელია ძალიან მალე დადგეს დრო, როდესაც ტვირთების საერთაშორისო საგზაო გადაზიდვების ხელშეკრულების შესახებ (CMR) კონვენციამ ვერ დაარეგულიროს უპილოტო სატვირთო ავტომობილებით ტვირთრების გადაზიდვის პროცესი¹⁹. სანამ ხელოვნური ინტელექტის დახმარებით ტვირთების გადაზიდვის სამართლებრივ რეგულირებაზე გადავალთ, მნიშვნელოვანია განვიხილოთ ხელოვნური ინტელექტის სისტემის კატეგორიზაციები, რომლებიც ეხმარებიან თვითმართვად მანქანებს ტვირთის გადაზიდვაში. შეგვიძლია გამოვყოთ ხელოვნური ინტელექტის სისტემის სამი კატეგორიზაცია: პირველი კატეგორიზაცია არის სატრანსპორტო საშუალება, რომლისთვისაც ხელოვნური ინტელექტის სისტემა არის მისი განუყოფელი ნაწილი. მეორე კატეგორიზაციაა, როდესაც ხელოვნური ინტელექტის სისტემა განცალკევებულია სატრანსპორტო საშუალებისგან, მაგალითად - Google Self-Driving Car Project. მეორე კატეგორიზაციის დროს შესაძლებელია ტრადიციული, სტანდარტული მანქანები აღიჭურვოს შესაბამისი პროგრამით და პროგრამის მეშვეობით მოხდეს მათი თვითმართვად ავტომობილად გადაკეთება. მესამე კატეგორიზაციის შემთხვევაში ხელოვნური ინტელექტის სისტემა აღიქმება, როგორც ავტოსატრანსპორტო საშუალების დამატებითი მოწყობილობა, რომელიც იძლევა სხვადასხვა სახის ოფციას. ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ტესლას ავტოპილოტი, რომელიც შეზღუდული ავტონომიური

¹⁷ World Economic Forum, Enabling Trade Valuing Growth Opportunities (Published by World Economic Forum, Geneva, Switzerland, 2013) <http://www3.weforum.org/docs/WEF_SCT_EnablingTrade_Report_2013.pdf> accessed 14th July 2024.

¹⁸ HOW BLOCKCHAIN IS REVOLUTIONIZING THE WORLD OF TRANSPORTATION AND LOGISTICS

[INFOGRAPHIC]

<<https://www.winnnesota.com/blockchain>> accessed 14th July 2024.

¹⁹ Dr. Wouter Verheyen, CMR 60 Years, Time for retirement of Furure Proof? (Paris Legal Publishers. 2017) Pages 139-140.

ბით გამოირჩევა. ვინაიდან ხელოვნური ინტელექტის სისტემა შეიძლება ჩაითვალოს ავტოსატრანსპორტო საშუალების ნაწილად, დამატებით მონყობილობად ან დამხმარე აგენტად, მნიშვნელოვანია იგი განვიხილოთ კონვენციის მუხლებთან მიმართებაში.

კონვენცია ტვირთების საერთაშორისო საგზაო გადაზიდვების ხელშეკრულების შესახებ (CMR) 1-ელი მუხლის მიხედვით სატრანსპორტო საშუალებაში იგულისხმება "საგზაო მოძრაობის შესახებ" 1949 წლის 19 სექტემბრის კონვენციის მე-4 მუხლით განსაზღვრული, სატვირთო ფურგონები, სანეწარა და ნახევრად სანეწარა სატვირთო ავტომობილები²⁰. იმის გათვალისწინებით, თუ როდის იქნა მიღებული კონვენცია, ფუნდამენტურ იდეას წარმოადგენს, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალებას უნდა მართავდეს მძღოლი. აქედან გამომდინარე, სწორედ ამიტომ არ აქვთ კონვენციაში ხელშემკვრელ მხარეებს დაკონკრეტებული, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალებას აუცილებლად ფიზიკური პირი უნდა მართავდეს, რომელიც იღებს სრულ პასუხისმგებლობას. ამიტომაც დღეს, როდესაც თვითმართვადი ავტომობილები უკვე რეალობის ნაწილია, მსგავსი ხარვეზი რიგ პრობლემებს წარმოშობს. როგორც ზემოთ აღინიშნა, ჯერ კიდევ დამუშავების პროცესშია საკითხი, ხელოვნური ინტელექტის სისტემა ავტოსატრანსპორტო საშუალების განუყოფელი ნაწილი იქნება თუ მისი დამატებითი, დამხმარე საშუალება, თუმცა მისი მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში პასუხისმგებლობის საკითხი შეგვიძლია კონვენციაში ვეძებოთ²¹. იმ შემთხვევაში თუ ხელოვნური ინტელექტის სისტემას, ავტოსატრანსპორტო საშუალების ერთიან ნაწილად განვიხილავთ, მაშინ სისტემის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში გადამზიდველის პასუხისმგებლობა შესაძლებელია დადგეს კონ-

ვენციის 17 III მუხლის მიხედვით, რომელიც ადგენს, რომ გადამზიდველი არ თავისუფლდება საკუთარი ვალდებულების შესასრულებლად გამოყენებული სატრანსპორტო საშუალების ნაკლოვანების, ასევე მომსახურეთა, წარმომადგენელთა და იმ პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად წარმოშობილი ზიანიდან გამომდინარე პასუხისმგებლობისაგან, რომელთაგან ნაქირავები (იჯარით აღებული) აქვს სატრანსპორტო საშუალება²². იმ შემთხვევაში, თუ ხელოვნური ინტელექტის სისტემას განვიხილავთ, როგორც დამატებით მონყობილობას, მაშინ გადამზიდველის პასუხისმგებლობა შესაძლოა დადგეს კონვენციის 17 IV მუხლის შესაბამისად, რომელიც კავშირშია ასევე კონვენციის 18 IV მუხლთან. მეტად მნიშვნელოვანია გადამზიდველის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საკითხი განხილულ იქნას კონვენციის მე-17 მუხლთან დაკავშირებით. ხელშემკვრელი სახელმწიფოების უმრავლესობა აღიარებს, რომ გადამზიდველი თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან თუ სახეზე გვაქვს დაუძლეველი ძალა (ფორსმაჟორი). უბრალოდ მნიშვნელოვანია ითქვას, რომ ფორსმაჟორის დეფინიციასთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული მოსაზრებები. მაგალითად, გერმანია მეტად ემხრობა ტვირთის მესაკუთრის უფლებების დაცვას, მაშინ როდესაც ნიდერლანდები უფრო მეტად იცავს გადამზიდველის უფლებებს. შესაბამისად, გერმანიაში ფორსმაჟორის მტკიცება უფრო მარტივია, ვიდრე ნიდერლანდებში²³. ნიდერლანდებში, იმისათვის, რომ მხარემ დაამტკიცოს ფორსმაჟორი, დამდგარი შემთხვევა უნდა იყოს გარდაუვალი, რომელიც დადგა მხარის მიერ განეული ნებისმიერი მცდელობის მიუხედავად. ამასთან მსგავსი, მაგრამ ოდნავ შერბილებული დამოკიდებულება აქვს გერმანულ სასამართლოებს.

²⁰ კონვენცია გზის მეშვეობით საქონლის საერთაშორისო გადაზიდვის ხელშეკრულების შესახებ და ხელმოწერის პროტოკოლი შესრულებულია ჟენევაში 1956 წლის 19 მაისს, 1-ელი მუხლი.

²¹ Dr. Wouter Verheyen, CMR 60 Years, Time for retirement of Furure Proof? (Paris Legal Publishers. 2017) Pages 148 – 149.

²² კონვენცია გზის მეშვეობით საქონლის საერთაშორისო გადაზიდვის ხელშეკრულების შესახებ და ხელმოწერის პროტოკოლი შესრულებულია ჟენევაში 1956 წლის 19 მაისს, მე-17 III მუხლი.

²³ Delphine Defossez, CMR: what if the courts got it wrong?, Uniform Law Review, Volume 21, Issue 1, March 2016, Pages 75–100, <https://doi.org/10.1093/ulr/unw003>.

თუ ხელოვნური ინტელექტის სისტემას არ განვიხილავთ არც ავტოსატრანსპორტო საშუალების ერთიან ნაწილად და არც დამატებით მონყობილობად, მაშინ გადამზიდველის პასუხისმგებლობა შესაძლოა დადგეს კონვენციის 17 I მუხლის შესაბამისად. ზემოხსენებული მაგალითებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გადამზიდველი ვერცერთ შემთხვევაში აირიდებს თავიდან პასუხისმგებლობას. ხელოვნური ინტელექტის სისტემის გამართულობა ტექნიკური ხასიათის ცოდნას მოითხოვს და, შესაბამისად, გადამზიდველის აბსოლუტური პასუხისმგებლობა მისი გაუმართაობით დამდგარი ზიანის შემთხვევაში, სულ მცირე, უსამართლოდ შეიძლება მოგვეჩვენოს. შეგვიძლია განვიხილოთ ერთ-ერთი ვარიანტი, როდესაც სისტემის გაუმართაობით გამონვეულ პასუხისმგებლობას ხელშეკრულებით აიღებს მწარმოებელი (მაგალითად ვოლვო) და არა გადამზიდველი. კონვენციის 41-ე მუხლიდან გამომდინარე გადამზიდველი მაინც ვერ აირიდებს პასუხისმგებლობას თავიდან, ვინაიდან ამგვარი შეთანხმება წარმოადგენს კონვენციის სავალდებულო მუხლებისგან გადახვევას და შესაბამისად იქნება ბათილი. გადამზიდველის პასუხისმგებლობის საკითხი მაშინაც დადგება, როდესაც ხელოვნური ინტელექტის სისტემას განვიხილავთ, რო-

გორც მომსახურე აგენტს ტვირთის გადაზიდვის დროს. კონვენციის მე-3 მუხლი პირდაპირ აკისრებს პასუხისმგებლობას გადამზიდველს საკუთარი წარმომადგენლების, მომსახურეთა ან იმ პირთა ქმედებისათვის, რომელთა მომსახურებასაც იყენებს საკუთარ ვალდებულებათა შესასრულებლად²⁴.

შესაბამისად, შეგვიძლია გავაკეთოთ მოკლე დასკვნა. პირველ რიგში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მიუხედავად კონვენციის რიგი მუხლების კონსერვატიული ბუნებისა, ხელოვნური ინტელექტის სისტემის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში გადამზიდველის პასუხისმგებლობა შესაძლებელია მაინც დადგეს. მეორე და ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი არის ის, რომ ვინაიდან ხელოვნური ინტელექტი ჯერ კიდევ განვითარების სტადიაშია, მკაფიოდ არ არის განსაზღვრული მისი სამართლებრივი სტატუსი და შესაბამისად, გარკვეული დრო და კვლევა დასჭირდება ტვირთების საერთაშორისო საგზაო გადაზიდვების ხელშეკრულების შესახებ (CMR) კონვენციასთან შესაბამისობის დასადგენად²⁵. ამასთან საყურადღებოა კონვენციის 41-ე მუხლი, რომელიც ჩამკეტის ფუნქციას ასრულებს და ხელოვნური ინტელექტის სისტემის გაუმართაობის შემთხვევაში პასუხისმგებლობა მაინც გადამზიდველს ეკისრება.

²⁴ კონვენცია გზის მეშვეობით საქონლის საერთაშორისო გადაზიდვის ხელშეკრულების შესახებ და ხელმოწერის პროტოკოლი შესრულებულია ჟენევაში 1956 წლის 19 მაისს, მე-3 მუხლი.

²⁵ Dr. Wouter Verheyen, CMR 60 Years, Time for retirement of Furure Proof? (Paris Legal Publishers. 2017) Page 150.

ნასყიდობის გაყვლად დარგარეგულდ დაკვალიფიცირების წინაპირობები

1. უხეში შეუსაბამობა შესრულებასა და საპირისპირო შესრულებას შორის, რომელიც განაპირობებს ვარაუდს, რომ [„ზედმეტი“ შესრულების] მიმღებს აქვს დასაძრახი სუბიექტური დამოკიდებულება, სახეზეა უკვე მაშინ, როდესაც მიღებული შესრულების ღირებულება თითქმის ორჯერ აღემატება გაცემულის ღირებულებას.

2. თუ გამყიდველმა სახელშეკრულებო მოლაპარაკებების წარმოება და ხელშეკრულების დადება მთლიანად ხელქვეითს მიანდო, რომელიც ერთადერთია, ვინც საქმის გარემოებების შესახებ სრულ ცოდნას ფლობს, მისი ცოდნა გამყიდველს, გსკ-ის 138 I პარაგრაფის მიხედვით, მაშინაც კი შეეარაცხება (გსკ-ის 166 I პარაგრაფი), როდესაც ხელქვეითი მოქმედებდა გარიგების დადების უფლებამოსილების გარეშე და წარმოდგენილმა მისი ქმედებები მხოლოდ შემდგომში მოიწონა.

გერმანიის ფედერალური უმაღლესი სასამართლო, 08.11.1991, Az.: V ZR 260/90

გსკ-ის 138 II პარაგრაფი

ფაქტობრივი გარემოებები: მოსარჩელემ და მისმა მეუღლემ მოპასუხეებისაგან 1986 წლის 19 ნოემბერს იყიდეს ორი ბინა, ერთი – 50 000, მეორე კი – 110 000 გერმანულ მარკად. მოსარ-

ჩელემ, რომელსაც მეუღლემაც დაუთმო საკუთარი მოთხოვნები, მოპასუხეებისგან ითხოვდა, ბინების უკან დაბრუნების სანაცვლოდ, ნასყიდობის ფასის, 160 000 გერმანული მარკის, უკან დაბრუნებას. ის უთითებდა იმ გარემოებაზე, რომ თითო ბინა მაქსიმუმ 30 000 გერმანული მარკა ღირდა და ეს მოპასუხეებმაც იცოდნენ. პირველი ინსტანციისა და ზემდგომმა სამხარეო სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა.

საკასაციო სასამართლოს მოტივებიდან: გერმანიის უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლო, სარჩელის დასაბუთებულობის შემოწმების ნაწილში (გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 519 II 3 პარაგრაფის მიხედვით), არ უნდა შემოფარგლულიყო მხოლოდ იმ საკითხის განხილვით, თუ რამდენად დაარღვიეს მოპასუხეებმა ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება; მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელე მხოლოდ იმაზე უთითებდა, რომ გამყიდველებმა იცოდნენ და უნდა ეცნობებინათ მყიდველებისათვის ბინების ღირებულების ვარდნის შესახებ. სააპელაციო სასამართლოს დამოუკიდებლად და მხარეთა სამართლებრივი მოსაზრებებისაგან თავის შემოზღუდვის გარეშე, სამართლებრივად უნდა შეეფასებინა საქმის ყველა არსებითი გარემოება. სამართალშეფარდება მხარეთა დისპოზიციას არ ექვემდებარება. ამ საბა-

ბით საკასაციო ინსტანციამ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გააუქმა და საქმე უკან დაუბრუნა მას ხელახალი განხილვისა და ახალი გადაწყვეტილების მისაღებად.

მართალია, სააპელაციო სასამართლომ სასამართლებრივად უშეცდომოდ და სწორად განსაჯა, რომ ზოგადად არ არსებობს შეძენილი ქონების რეალური ღირებულების გამჟღავნების ვალდებულება, მაშინაც კი, თუ ის მნიშვნელოვნად დაბალია მოთხოვნილ ფასზე. თუმცა, თუ ღირებულება თვალშისაცემად ჩამოუვარდება მასში გადახდილ ფასს, სასამართლომ ყოველთვის უნდა იმსჯელოს საკითხზე, არის თუ არა ხელშეკრულება ბათილი გსკ-ის 138 I, II პარაგრაფის მიხედვით, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების უკუქცევის საფუძველს კონდიქციური დანაწესების მიხედვით.

სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია მოსარჩელის არგუმენტი, რომ, გაცვლილი შესრულებებიდან (რომლებიც ერთმანეთის ექვივალენტური უნდა ყოფილიყო), ერთის ღირებულება შეადგენდა 160 000 გერმანულ მარკას, ხოლო მეორესი, ჯამში, მხოლოდ – 60 000 მარკას გაყიდვის მომენტისათვის, და მოპასუხებმა ეს იცოდნენ. ამ დროს, სენატის მიერ ჩამოყალიბებული უცვლელი პრაქტიკის თანახმად, სახეზეა განსაკუთრებით უხეში შეუსაბამობა შესრულებებს შორის, რომელიც მიუთითებს [„ზედმეტის“ მიმღების] დასაძრახ სუბიექტურ დამოკიდებულებაზე. „განსაკუთრებით უხეში შეუსაბამობა“, რომელიც განაპირობებს ვარაუდს, რომ „ზედმეტის“ მიმღებს აქვს დასაძრახი სუბიექტური დამოკიდებულება, სახეზეა უკვე მაშინ, როდესაც მიღებული შესრულების ღირებულება თითქმის ორჯერ აღემატება გაცემულის ღირებულებას. თუ გამყიდველი სახელშეკრულებო მოლაპარაკებების წარმოებასა და ხელშეკრულების დადებას მთლიანად ხელქვეითს მიანდობს, რომელიც ერთადერთია, ვინც საქმის გარემოებების შესახებ სრულ ცოდნას ფლობს, მისი ცოდნა გამყიდველს, გსკ-ის 138 I პარაგრაფის ფარგლებში პასუხისგებისას, მაშინაც კი შეერაცხება (გსკ-ის 166 I პარაგრაფი), როდესაც ხელქვეითი მოქმედებდა გარიგების დადების უფლებამოსილების გარეშე და წარმოდგენილმა მისი ქმედებები მხოლოდ შემდგომში მოიწონა.

კომენტარი:

I. გამყვლეფი გარიგება: გარდა გამყვლეფი გარიგებისა, რომელიც 2012 წლამდე სკ-ის 55 I მუხლში იყო მოწესრიგებული, ხოლო ამჟამად 54-ე მუხლის მე-3 ვარიანტიდან გამომდინარეობს, ამავე დანაწესიდან გამომდინარეობს ე. წ. „გამყვლეფის დარი გარიგების“ (*Wucherähnliches Geschäft*) ბათილობა, რომელსაც, განსხვავებით გამყვლეფი გარიგებისაგან, აქვს არა სამი, არამედ ორი წინაპირობა: 1. მკვეთრი დისპროპორცია შესრულებებს შორის და 2. დასაძრახი სუბიექტური დამოკიდებულება. გამყვლეფსა და გამყვლეფის დარ გარიგებებს შორის განსხვავება ძირითადად სიტუაციის გამოყენების სიმძიმესა და შესრულებებს შორის დისპროპორციის ხარისხში მდგომარეობს. გამყვლეფი გარიგება სახეზეა მაშინ, როდესაც ერთი მხარე განზრახ იყენებს მეორის მძიმე მდგომარეობას – მძიმე ეკონომიკურ სიტუაციას, გამოუცდებლობას, განსჯის უნარის ნაკლებობას ან ნების მნიშვნელოვან სისუსტეს – რათა თავად მიიღოს მისგან შეუსაბამო სარგებელი ან მიანიჭოს ეს სარგებელი მესამე პირს (განზრახი გამყვლეფა). გერმანიაში გამყვლეფი გარიგება ბათილია გსკ-ის 138 II პარაგრაფის მიხედვით და შეიძლება წარმოადგენდეს გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 291-ე პარაგრაფით დასჯად ქმედებას.

II. გამყვლეფის დარი გარიგება: ამის საპირისპიროდ, გამყვლეფის დარ გარიგებებს განეკუთვნება ხელშეკრულებები, რომლებიც, მართალია, არ შეიცავს გამყვლეფის დასრულებულ ელემენტებს, მაგრამ მაინც ახასიათებს მკვეთრი დისპროპორცია შესრულებასა და საპირისპირო შესრულებას შორის. კერძოდ, მისი დეტალური წინაპირობებია: მკვეთრი დისპროპორცია შესრულებებს შორის და არ არის აუცილებელი, რომ გამონვეული იყოს მეორე მხარის მძიმე მდგომარეობით, გამოუცდებლობითა თუ სისუსტით. თუმცა „ზედმეტი“ შესრულების მიმღებს უნდა ჰქონდეს „გასაკიცხი სუბიექტური დამოკიდებულება“ (სულ მცირე, გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში გაბატონებული მოსაზრების თანახმად). ამ წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, გარიგება, მიუხედავად გამყვლეფი გარიგების მკაცრი კრიტერიუმების ვერდაკმაყოფილებისა, ბათილია გსკ-ის 138 I პარაგრაფის

მიხედვით (ამორალური გარიგების ბათილობის გენერალური დათქმა = სკ-ის 54-ე მუხლი მე-3 ვარიანტი), თუმცა არ ინვესსისსხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

1. მკვეთრი დისპროპორცია შესრულებებს შორის: როგორც აღინიშნა, გაყვლეფის დარი გარიგების ობიექტური წინაპირობაა ექვივალენტურობის დარღვევა, რომელიც გამოიხატება შესრულებებს შორის ცალსახა შეუსაბამობაში.¹ თუ გარიგების ფარგლებში ხდება ქონებრივი ღირებულებების გაცვლა, მათი შეფასება უნდა მოხდეს ობიექტური ღირებულების (საბაზრო ფასი, სამოქალაქო ბრუნვაში აღიარებული ღირებულება) და არა – მონაწილეთა სუბიექტური ინტერესის მიხედვით;² თუმცა სამოყვარულო და სპეკულაციური ინტერესი, რა თქმა უნდა, გათვალისწინებადია საერთო შეფასების ფარგლებში. მაგალითად: ნასყიდობის ფარგლებში ერთმანეთს უნდა შეუპირისპირდეს ნასყიდობით შეთანხმებული ფასი და საბაზრო ფასი³; სამაკლერო ხელშეკრულებების შემთხვევაში შედარება უნდა მოხდეს ჩვეულებრივად მიჩნეულ პროვიზიასა და შეთანხმებულ პროვიზიას შორის;⁴ იჯარის ხელშეკრულებისას – ობიექტური საიჯარო ქირა არის ბაზარზე ორიენტირებული და არა მოგებაზე;⁵ ქირაფნობის შემთხვევაში შეფასებას საფუძვლად უნდა დაედოს მოცემულ ადგილზე ჩვეულებრივად მიჩნეული ქირა;⁶ შრომით ხელშეკრულებებში – ჩვეულებრივად ითვლება სატარიფო გასამრჯელო.⁷ პროცესის მონაწილის ვალდებულება, მიუთითოს მისი პოზიციის გამამართლებელ გარემოებებზე (სსკ-ის 102-ე მუხლი), მისი მხრიდან შესრულებულად ითვლება, თუ ის დაასახელებს გარკვეულ თანხას, როგორც საბაზრო ფასს და წარმოადგენს

ექსპერტის დასკვნას, რომელიც მას ადასტურებს.⁸

ა) განსაკუთრებით უხეში შეუსაბამობა (*Besonders grobes Missverhältnis*): მართალია, გსკ-ის შემქმნელებმა და, მათი გავლენით ასევე ქართველმა კანონმდებელმაც, უარი თქვა ექვივალენტურობის კონტროლისათვის მყარ ზღვარზე ორიენტირებაზე, როგორც არის, მაგალითად, *laesio enormis*, რომელიც მოწესრიგებულია საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1674-ე და მომდევნო მუხლებში და ავსტრიის ზოგადი სამოქალაქო კოდექსის 934-ე და მომდევნო მუხლებში.⁹ თუმცა გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში ჩამოყალიბდა პრინციპი, რომლის მიხედვითაც ორმაგი ან ნახევარი ღირებულების გადახდა წარმოადგენს მინიშნებას ექვივალენტურობის ამორალურ დარღვევაზე.¹⁰ მაგალითად, თუ საკუთარი სახლი, რომელიც 25 000 ევრო ღირს, გაიყიდება 54 000 ევროდ, სახეზეა უხეში შეუსაბამობა, რომელიც მიანიშნებს სარგებლის მიმღები პირის დასაძრახ სუბიექტურ დამოკიდებულებაზე.¹¹ მაშინაც კი, როდესაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, შესრულების ღირებულება ოდნავ აღემატება საპირისპირო შესრულების ორმაგ ღირებულებას, ჩვეულებრივ, სახეზეა განსაკუთრებით უხეში აცდენა შესრულებასა და საპირისპირო შესრულებას შორის,¹² რომელიც, სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, განაპირობებს დასაძრახი სუბიექტური დამოკიდებულების პრეზუმფციას (იხ. ქვევით). მინის ნაკვეთებზე დადებული გარიგებების შემთხვევაში, გერმანიის ფედერალური სასამართლოს მიხედვით, ეს დარღვევა სახეზეა საბაზრო ღირებულების უკვე 90%-ით გადაჭარბებისას.¹³ თუ მინის ნაკვეთის სასყიდლიანი მოპოვებისას

¹ S. Jung, Das wucherähnliche Rechtsgeschäft, München 2001, 113.

² BGH NJW 1981, 1206; BGH NJW 2001, 1128; BGH NJW-RR 2011, 880.

³ BGH NJW 2000, 1255; BGHZ 160, 14; OLG Dresden NJW-RR 2000, 1305.

⁴ BGH JR 1995, 334; BGH NJW 2000, 2669; BGHZ 144, 343; OLG Nürnberg NZM 2001, 481.

⁵ S. Jung, Das wucherähnliche Rechtsgeschäft, München 2001, 209; BGHZ 141, 257.

⁶ BGH NJW 2015, 1093.

⁷ BAG NJW 2000, 3590; BAGE 110, 79; BAG NZA 2009, 837.

⁸ BGH NJW 2001, 431; BGH NZM 2009, 797.

⁹ BGHZ 80, 156, Th. Mayer-Maly, Renaissance der laesio enormis, FS Larenz, München 1983, 403.

¹⁰ BGHZ 104, 105; BGH NJW-RR 1989, 1068; BGH NJW 1992, 900.

¹¹ BGH NJW 2012, 1570.

¹² BGH NJW 1992, 900; BGH NJW 1994, 1347; BGH NJW 2008, 3210.

¹³ BGH NJW 2014, 1652; BGH NJW-RR 2016, 692; BGH NJW 2016, 1251 Rn. 8.

შესრულებისა და საპირისპირო შესრულების ღირებულებას შორის აცდენა განსაკუთრებით დიდია, ამ დროს დასაძრახი სუბიექტური დამოკიდებულება მოსარგებლის მხრიდან სახეზეა მაშინაც კი, როდესაც მან არ იცოდა ღირებულებებს შორის ამგვარი შეუსაბამობის შესახებ.¹⁴

ბ) მკვეთრი დისპროპორცია (*Auffälliges Missverhältnis*): (მხოლოდ) მკვეთრი დისპროპორცია შესრულებასა და საპირისპირო შესრულებას შორის სახეზეა მაშინ, როდესაც ღირებულებებს შორის აცდენა არ არის იმ მასშტაბის, რომ დააკმაყოფილოს განსაკუთრებით უხეში შეუსაბამობის წინაპირობები (იხ. ზემოთ). ამ შემთხვევებში ამორალურობა შეიძლება გამომდინარეობდეს სხვა გარემოებებთან ურთიერთკავშირიდან.¹⁵ განსაკუთრებით ყურადსაღები და გასათვალისწინებელია ხელშეკრულების ის პირობები, რომლებიც ტვირთად აწვება მეორე მხარეს.¹⁶ გარდა ამისა, ამორალურობა შეიძლება სახეზე იყოს მაშინაც, როდესაც შეუსაბამობა მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება 100%-ზღვარს, მაგრამ მოვალე (ვის საზიანოდაც არის შესრულებები ერმანეთს აცდენილი) იმყოფებოდა რა მძიმე მდგომარეობაში, იძულებული იყო დაედო ეს გარიგება. ამ შემთხვევაში გამყვლეფ გარიგებასთან მიჯნა ყოველთვის ცალსახა არ არის.

2. დასაძრახი სუბიექტური დამოკიდებულება: გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, აუცილებელია, რომ შესრულებებს შორის ობიექტურად მოცემულ, მნიშვნელოვან შეუსაბამობას დაემატოს ასევე ამ შეუსაბამობით მოსარგებლე მხარის დასაძრახი სუბიექტური დამოკიდებულება (*verwerfliche Gesinnung*), რათა ის გაბათილდეს გაყვლეფის დარი ხასიათის გამო. ხელშეკრულების ერთი მხარის დასაძრახი სუბიექტური დამოკიდებულება შეიძლება განპირობებული იყოს იმით, რომ ის შეგნებულად იყენებს მეორე

მხარის ეკონომიკურად დაქვემდებარებულ მდგომარეობას მისგან სარგებლის მისაღებად და, სულ მცირე, გაუფრთხილებლობით არიდებს თავს იმის გაცნობიერებას, რომ მეორე მხარემ, მხოლოდ გარემოებებით იძულებულმა, გამოუცდელობით ან ნების სხვაგვარი, მნიშვნელოვანი სისუსტის გამო დადო მისთვის არახელსაყრელი გარიგება.¹⁷ ამისათვის არ არის აუცილებელი, რომ სარგებლის მიმღებმა გააცნობიეროს, რომ დადებული გარიგება მისთვის განსაკუთრებით ხელსაყრელია (განსხვავებით გამყვლეფი გარიგებისაგან¹⁸);¹⁹ თუმცა შეუსაბამობა მისთვის შეცნობადი უნდა იყოს. გერმანიის ფედერალური სასამართლო დასაძრახი განზრახვის არსებობის პრეზუმფციას აყენებს შესრულებებს შორის მხოლოდ განსაკუთრებით უხეში შეუსაბამობისას (იხ. ზემოთ).²⁰ ეს პრეზუმფცია განსაკუთრებით აქტუალურია ისეთი გარიგებების შემთხვევაში, როგორცაა სესხის ხელშეკრულება საკრედიტო ინსტიტუტებსა და კერძო პირებს შორის,²¹ სამაკლერო ხელშეკრულებები,²² ფინანსური ლიზინგის ხელშეკრულებები,²³ მინის ნაკვეთის ნასყიდობები²⁴ და ა. შ. სესხის შემთხვევაში ეს „ორმაგი აღმატებულობა“ განისაზღვრება არა ძირითადი თანხისა და მსესხებლის მიერ გადასახდელია ურთიერთმიმართებით, არამედ საბაზრო საპროცენტო განაკვეთისა და კონკრეტულ შემთხვევაში შეთანხმებული საპროცენტო განაკვეთის ურთიერთმიმართებით. თუ კონკრეტული საპროცენტო განაკვეთი ორჯერ აღემატება ჩვეულებრივ საპროცენტო განაკვეთს, ეს გაყვლეფის დარი გარიგების არსებობაზე მიანიშნებს (იხ. ქვემოთ პრეზუმფციის გაქარწყლებასთან დაკავშირებით).²⁵

სწორედ განზრახვის არასავალდებულოობა და გაუფრთხილებლობის საკმარისად მიჩნევა, გაყვლეფის პირდაპირი განზრახვის არასავალდებულოობასთან ერთად, არის წინაპირობების

¹⁴ BGH NJW 2001, 1127.

¹⁵ BGH NJW 2004, 2673.

¹⁶ BGH NJW-RR 1989, 1068.

¹⁷ BGHZ 146, 301; BGH NJW 2010, 363.

¹⁸ Brox/Walker, Allgemeiner Teil des BGB, 31. Aufl., München 2007, 185.

¹⁹ BGHZ 146, 303; BGHZ 160, 17.

²⁰ BGH NJW 1992, 900; BGHZ 125, 140; BGH NJW 2002, 3166; BGH NJW-RR 2017, 1261.

²¹ BGHZ 80, 161; BGHZ 98, 178; BGH NJW 2004, 3555.

²² BGHZ 125, 140.

²³ BGHZ 128, 267.

²⁴ BGH NJW 2000, 1488; BGHZ 146, 302; BGH NJW 2004, 3555.

²⁵ BGHZ 110, 338 Palandt/Heinrichs, BGB 79. Aufl. § 138, Rn. 27.

ის „შერბილება“, რაც ახასიათებს გაყვლეფის დარ გარიგებას, გამყვლეფ გარიგებასთან მიმართებით. ამის საპირისპიროდ, ის ფაქტი, რომ მიღებული შესრულება, ჩვეულებრივ (იხ. გამოწინააღმდეგარისათვის ზემოთ), ორჯერ უნდა აღემატებოდეს გაცემულს²⁶, არის ის გამკაცრება, რომელმაც უნდა დააზღვიოს და აღკვეთოს მოცემული ინსტიტუტის თვითნებური და ზღვარგადასული გამოყენება.

დასაძრახი სუბიექტური დამოკიდებულების პრეზუმფცია (განსაკუთრებით უხეში შეუსაბამობის დროს), რა თქმა უნდა, შეიძლება, გაქარწყლდეს.²⁷ მისი გაქარწყლება შეიძლება, პირველ რიგში, იმ გარემოებაზე მითითებით, რომ მხარეებმა ქმედითი მეთოდის გამოყენებით სცადეს შესაბამისი, რეალური ფასის გამორკვევა²⁸ ან მაშინ, როდესაც გამყიდველმა არ იცის სხვადასხვა დასაშვები მეთოდით გამოთვლილი ფასის ვარირების შესახებ. ამ კონტექსტში გერმანიის ფედერალური სასამართლო ამბობს შემდეგს: „მინის ნაკვეთის გამყიდველს არ სჭირდება უფრო მეტი საზრიანობის ან გულისხმიერების გამოვლენა, ვიდრე სამოქალაქო ბრუნვის სხვა მონაწილეს.“²⁹ მაგალითად, მინის ნაკვეთის გამყიდველს შეიძლება არ ჰქონდეს დასაძრახი სუბიექტური დამოკიდებულება, თუ ნაკვეთის გაყიდვისას მას აქვს სპეკულატიური იმედი, რომ ნაკვეთის გამოყენება შესაძლებელია სამშენებლოდ, რაც მოგვიანებით არ მართლდება.³⁰

ამის საპირისპიროდ, მხოლოდ დაზარალებული მხარის ცოდნა შესრულებებს შორის აცდენის შესახებ, არ არის საკმარისი პრეზუმფციის შესარყევად, რადგან მხოლოდ აქედან არ გამომდინარეობს, რომ დაზარალებული საკუთარი გადაწყვეტილების მიღებისას თავისუფალი იყო, როგორც ეს მაგალითად, სამოყვარულო ინტერესის შემთხვევაშია სახეზე.³¹ პრეზუმფციას არ არყევს არც „ზედმეტი“ მიმღების მტკიცება, რომ მან არ იცოდა შესრულებების ღირებულების აცდენის შესახებ და ეყრდნობოდა არასწორ დასკვნას, თუ ის ფლობდა საკმარის ცოდნას და შეეძლო დამოუკიდებლად გადაემონმებინა მისი ვალიდურობა.³² გამყიდველმა, იმისათვის, რომ გააქარწყლოს პრეზუმფცია, კონკრეტულ გარემოებებსა და არგუმენტებზე დაყრდნობით, დამაჯერებლად უნდა დაასაბუთოს, თუ რატომ მიენდო ის, საკუთარი კომპეტენციის ქონის მიუხედავად, ობიექტურად ძალზე მცდარი დასკვნის სისწორეს და რატომ არ მიიჩნია ნასყიდობის ფასი ამორალურად გაზრდილად. „ზედმეტი“ შესრულების მიმღები პირის მისათითებელი და დასამტკიცებელია ყველა ის გარემოება, რომელიც არყევს და აქარწყლებს პრეზუმფციას, რომ დაზარალებული მხარის თავისუფალი ნების შემზღუდველი ფაქტორის გამოყენება მოხდა შეგნებულად, ან სულ მცირე, უხეში გაუფრთხილებლობით.³³

გიორგი რუსიაშვილი

²⁶ რაც არ არის სავალდებულო გამყვლეფი გარიგებისათვის, სადაც ეს შეუსაბამობა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მხარეთა ინტერესების ანონ-დანონვის შედეგად უნდა განისაზღვროს და შესაბამისად, სამართლის შემფასებელს მისი დადგენის მეტი დიაპაზონი აქვს, რაც გამართლებულია დანარჩენი ორი წინაპირობის არსებობით (მძიმე მდგომარეობა და ამ მდგომარეობის გაყვლეფის მიზნით განზრახ გამოყენება მეორე მხარის მიერ).

²⁷ BGH NJW 2002, 3166; BGH 2008, 3210.

²⁸ BGH NJW 2002, 3165; OLG Koblenz NJOZ 2015, 1514.

²⁹ BGHZ 160, 17; OLG Hamm NJW-RR 2015, 1189.

³⁰ OLG Hamm NJW-RR 2015, 1189.

³¹ BGH NJW 2007, 2841; BGHZ 146, 305.

³² BGH BeckRS 2013, 17570.

³³ BGH BeckRS 2013, 17570.